# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი 17 ნოემბერი 1998 №209 (744) ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი

14 ტური

14 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 1 |
| სამგურალი | 1 |

15 ნოემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| დილა | 0 |
| გორდა | 1 |
| ტორპედო | 7 |
| სიონი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 1 |
| კოლხეთი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

16 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ოდიში | 2 |
| ბათუმი | 1 |

# გურიას მოკვეთა ემუქრება!

*გუშინ აუტსაიდერი ლანჩხუთის „გურია" თბილისს „მერანთან" სათამაშოდ არ ეწვია. გურულებს ჩემპიონატის დებულებით გათამაშებიდან უეჭველი მოხსნა ერგებათ, მაგრამ ფედერაცია გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, ჯერ მიზეზი შევიტყოთ და მერე ვნახოთო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 10 | 3 | 0 | 41:7 | 33 |
| ტორპედო | 14 | 10 | 2 | 2 | 38:14 | 32 |
| კოლხეთი | 13 | 8 | 2 | 3 | 31:17 | 26 |
| ლოკომოტივი | 14 | 5 | 9 | 0 | 15:5 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:13 | 23 |
| დილა | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 21 |
| იბერია | 14 | 5 | 2 | 7 | 24:29 | 17 |
| არსენალი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:24 | 17 |
| ოდიში | 14 | 5 | 1 | 8 | 12:24 | 16 |
| სიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:28 | 15 |
| სამგურალი | 14 | 4 | 2 | 8 | 13:28 | 14 |
| თსუ | 14 | 3 | 4 | 7 | 13:19 | 13 |
| გორდა | 14 | 2 | 7 | 5 | 8:15 | 13 |
| მერანი | 13 | 2 | 7 | 4 | 7:13 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 2 | 8 | 14:17 | 11 |
| გურია | 13 | 3 | 1 | 9 | 14:32 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა




REUTERS დუბლინიდან

# ეროვნული და არა კლუბებისო

ოთხშაბათს, 18 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ეროვნულ სტადიონზე ამხანაგურად გაეჯიბრება ესტონეთის ეროვნულ გუნდს. შეხვედრა 16 საათზე დაიწყება. დიახ, ბატონო, საქართველოს ეროვნული გუნდი და არავითარი კლუბების ნაკრები. ეს მატჩი ოფიციალურია და მისი შედეგიც აუცილებლად შევა ფიფას რეიტინგში.

ეროვნული გუნდის თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა ადრე გამოძახებული 20 ფეხბურთელიდან 18 დაიტოვა. ნაკრები გუშინ სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბანაკდა.

გუცაევი ბიჭებს დღეს, გუშინდელის დარად, დილის 11 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ავარჯიშებს.

ადრე გამოცხადებული ოცი ფეხბურთელიდან ნაკრებმა ოთხი კაცი მოისაკლისა. უკრაინულ „შახტიორში" მოთამაშე მიხეილ ფოცხვერიამ ნაოპერაციევი ფეხი ისევ დაიშავა, ჯვარედინი იოგები გაუწყდა და კვლავ სამკურნალო შეიქნა. ტრავმებმა ალანიელ გიორგი დემეტრაძეს, მამუკა წერეთელს და ისრაელის „ზაფრირიმში" მოთამაშე გიორგი დარასელიასაც შეუშალა ხელი. დემეტრაძე და წერეთელი საზარდულს შეუწუხებია, ხოლო ძუკუმ ისრაელის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ფეხი იტკინა. გუცაევმა სამაგიეროდ ორი კაცი შეიმატა — დინამოელი დავით მუჯირი და ლოკომოტიველი ვაჟა თარხნიშვილი. ახლა გუცაევს თვრამეტი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ გუშინ საღამოს სასტუმრო „მესაზღვრეში" მისულებს კოლხი მცველი მიხეილ ქობულაძე არ დაგვიხვდა. მისი შეგვიანების მიზეზი ნაკრების ხელმძღვანელობისთვის უცნობი იყო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების საბოლოო 18 — კაციანი შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლომაია; მცველები: გივი დიდავა, ზვიად ჯელაძე, ზურაბ ფოფხაძე, გიორგი რევაზიშვილი, გიორგი ბალაშვილი, ვაჟა თარხნიშვილი, გია ჩხაიძე, მიხეილ ქობულაძე; ნახევარმცველები: ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, რატი ალექსიძე, დავით მუჯირი, კახა კვეტენაძე, გიორგი ლუდუშაური; თავდამსხმელები: მიხეილ აშვეთია, დავით ჯანაშია.

ჩვენი ბალტიისპირელ სტუმრები თბილისს დღეს ეწვევიან, 13 საათზე და სასტუმრო „აჭარაში" დაბინავდებიან, ეროვნული სტადიონის გაზონს კი 18 საათისთვის მოსინჯავენ.

**გიორგი ვაშაკიძე**
**მიხეილ საბახტარიშვილი**

მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი
დუბლინი, „ლენსდაუნ როუდი",
14 ნოემბერი

**ირლანდია 70:0 საქართველო**

**ირლანდია:** ოშეი (დემპსი 54); ბიშოპი, დიგანი, ბელი, მეგსი; ელვუდი, მაკგინესი (სკალი 54); კოსტელო (ოკინიგენი 60), უორდი, მილერი, ოკელი (ფიცპატრიკი 63), ჯოუნსი (კაპიტანი), უოლასი, ნესდეილი (კლარკი 28), კლოისი (დევიდსონი 60)

**საქართველო:** აბაშიძე; ბუგიანიშვილი, ძაგნიძე (ჯიმშელაძე 40), კაცაძე, ქავთარაშვილი; ტეფნაძე, ჯანელიძე; კ. კობახიძე (მჭედლიშვილი 40), ლაბაძე (ხამაშურიძე 40), ა. კობახიძე, ნადირაძე (კაპიტანი), ზედგენიძე, შველიძე, ჯაველიძე, ჩიქავა (ცაბაძე 69)

10 ლელო: უოლასი (6), ჯოუნსი (20), მეგსი (36), ოშეი (38), კოსტელო (45), დიგანი (52), ბელი (59), დემპსი (61), სკალი (68), დემპსი (75)

10 გარდასახვა: ელვუდი

მსაჯი: რ. დევისი (უელსი)

# ჰოლანდიამ 0:110 წააგო!
## ირლანდია — საქართველო 70:0

ზურაბ მეძველია
დუბლინიდან



...შაბათ საღამოს, მატჩის შემდეგ, ლონდონში მეუღლეს შევეხმიანე ტელეფონით — როგორ ხარ, ხომ არ მოიწყინემეთქი. მაგისთვის წახვედი მთელი ერთი კვირით, ამხ... ა სირცხვილისთვის გეყურებინაო. შენ რაგბიში ვერ ერკვევი, ჩვენებს ასეთი ტაქტიკა ჰქონდათ-მეთქი — რაღაც ამგვარი ვთქვი და პასუხად — რაგბი და ტაქტიკა არ ვიცი, მაგრამ მათემატიკა მახსოვს და 70:0 რაც არის, მშვენივრად ვხვდებიო — მივიღე.

ჰოდა, ვზივარ ახლა დუბლინის ერთი სასტუმროს ჰოლში და იმ დროს ვნატრობ, ათასგვარი შეფერხებების გამო „სარბიელი" კვირაში ერთხელ რომ გამოდიოდა — დაველოდებოდი რუმინეთთან თამაშს და... მერე გააჩნია შედეგს: მოვიგებთ? ვიღას ეხსომება 0:70...

გახდება ჩვენი გუნდის ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი მეორე ზეპ ჰერბერგერი — საკითხავი, აი, ეს არის! ფეხბურთში 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონ გერმანელთა მწვრთნელის დარად მან უბრალოდ დათმო პირველი მატჩი — 11 ძირითადი მოთამაშე დაასვენა. აქედან შვიდი (რაფავა, ლეჟავა, მთიულიშვილი, გიორგაძე, ურჯუკაშვილი, მაჩიტიძე და გიორხელიძე) საერთოდ არ ათამაშა, ოთხი კი მოგვიანებით შეუშვა „ლენსდაუნ როუდის" იდეალურ მინდორზე. მაშინ, 44 წლის წინ გერმანიის საფეხბურთო ნაკრებმა 3:8 წააგო უნგრეთთან. ამ შაბათს კი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა თავის ისტორიაში უდიდესი მარცხი იწვნია. ჰერბერგერმა ორიოდ კვირაში იმავე უნგრეთს მოუგო და გერმანია პირველად გახადა მსოფლიოს ჩემპიონი. კლოდ სორელის ამოცანა უფრო იოლია — ხვალ რუმინეთს მოუგოს და გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშოს. იქ კი, ჩვენების თქმით, სულ სხვა გუნდი ვიქნებით და ირლანდიასაც, 70:0 კი არა, მოგებაც გაუჭირდება ჩვენთან. თუმცა ამაზე ხვალ ვილაპარაკებთ, ახლა კი შაბათის მატჩზე.

მოკლედ, ჩვენებურთა ტაქტიკა თავიდანვე ცხადი იყო — ამაში ირლანდიელი ჟურნალისტებიც კი უმალ გაერკვნენ, რაც საკვირაო პრესამაც დაადასტურა: ქართველებმა მინიმალური ძალებით ითამაშესო. მხოლოდ 6 წუთი დასჭირდათ მასპინძლებს პირველი ლელოს გასატანად — იქვე ერიკ ელვუდმა გარდასახა და 7:0. სამ წუთში ქართველთა სამი შანსიდან პირველი — საჯარიმო დარტყმა, თუმცა ერთობ შორიდან და კუთხიდან — ძაგნიძეს გაუცუდდა, მეოცე წუთზე კი ანგარიში გაორმაგდა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# იორდანესკუ ფულს დახარბდა

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ქვეყნის ეროვნული ნაკრების რუმინელი თავკაცი, ანგელ იორდანესკუ ალბანელებთან ოთხშაბათის მატჩის შემდეგ თანამდებობას დასტოვებს. იგი ათენის აეკ-ის გაძღოლას დაყაბულებია.

— ალბანეთთან თამაში მისთვის ბოლო იქნება. მან აეკ-ის მწვრთნელობა არჩია და გახდა ჩვენს ისტორიაში პირველი, ვინც ნაკრებთან კონტრაქტი დაარღვია — განუცხადა სააგენტო „როიტერს" ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ათენის აეკ-ი, კლუბი სადაც ინგლისურ „ნიუკასლში" გადასვლამდე ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია თამაშობდა, ბრიტანული საინვესტიციო ჯგუფის, ENIC-ის საკუთრებაა. ოქტომბერში აეკ-მა თანამდებობიდან დაითხოვა იუგოსლაველი მწვრთნელი დრაგან სტეპანოვიჩი და მისი შემცვლელის ძიებაში იყო.

იორდანესკუ, რომელიც რუმინეთის ნაკრებს ორჯერ გაუძღვა მსოფლიოს ჩემპიონატზე, საბერძნეთს ივლისში ჩავიდა, სადაც ამ ქვეყნისთვის არნახული ხელფასი, წლიური 320 ათასი დოლარი დაუნიშნეს.

— ფედერაცია თვლიდა, რომ მისი გამოცდილება საბერძნეთის ნაკრების ევრო 2000-ზე გასაყვანად გამოადგებოდა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. იორდანესკუმ საშუალო შედეგებს მიაღწია — დასძინა „როიტერის" რესპონდენტმა, რომლის განცხადებით სლოვენიასთან ნათამაშევი ფრე 2:2 და საქართველოს 3:0 დამარცხება ქვეყნის უმაღლეს საფეხბურთო წრეებში კარგ რეზულტატად არ მიიჩნიეს.

— ალბანეთთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის და რაოდენ სამწუხაროა, რომ ტირანაში იორდანესკუ აეკ-ზე ფიქრით იქნება გართული. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ფეხბურთელები თავად მოიკრებენ ძალ-ღონეს, რათა ეროვნული დროშის ღირსება არ შეილახოს — თქვა იმავე ჩინოსანმა.

აეკ-იდან გამოსული ხმების თანახმად, ამ კლუბში რუმინელ მწვრთნელს წლიურად 543 ათას დოლარს გადაუხდიან.

იორდანესკუ თავის გეგმებზე დაწვრილებით საუბარს ტირანას მატჩის შემდეგ აპირებს, თუმცა უკვე თქვა, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ძალიან უჭირდა ურთიერთობა.

თავის მხრივ ფედერაცია ბჭობს აღძრას თუ არა კონტრაქტის დამრღვევი რუმინელის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში.

— იორდანესკუს აუცილებლად ბერძენი მწვრთნელი შეცვლის, რადგან უცხოელი, როგორც კი მეტ ფულს შესთავაზებენ, მიგატოვებს — დაავგირგვინა ფედერაციის მოხელემ.

**პაპუნა ძიდია**

# ისრაელში ისე არ წვიმს

მოგეხსენებათ, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ისრაელურ შეკრებაზე გამგზავრება ერთხანს საეჭვოც გახლდათ. ამის მიზეზად თითქოსდა იქ არსებულ არასტაბილურ ვითარებას ასახელებდნენ, თუმცა ჩვენში დარხეული ხმები გადაჭარბებული აღმოჩნდა და გუშინწინ, თბილისის დროით ღამის თორმეტი საათისთვის, ქვეყნის პირველი გუნდი ისრაელს ჩაფრინდა, სადაც ერთ-ერთ პატარა ქალაქ ნათანიაში, ვინგეიტის საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდა.

აღთქმულ მიწას ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილთან და მწვრთნელებთან — პაატა გურასპაულთან და ზაზა ცაგარეიშვილთან ერთად შვიდი კალათბურთელი ეწვია: ძმები ვატო და გიგი ნაცვლიშვილები, ირაკლი ჯაფარიძე, აჩიკო ჟღენტი, ლევან ქარაბაკი, მამუკა აბრამიძე და გიორგი გაგნიძე. ორიოდ დღეში მათ რეზო ჩხეიძე და ირაკლი ვაშაკიძეც შეუერთდებიან, ხოლო დანარჩენი ლეგიონერები — სტეფანია, ბოისა და ბერძენიშვილი გუნდს პრაღაში დაუხვდებიან, რის შემდეგაც 25 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრის მატჩში ჩვენებურები ქალაქ ოპავაში ჩეხეთს გაეჯიბრებიან.

ქართული მხარე ისრაელური პირობებით კმაყოფილი დარჩენილა, გუშინ დილით მსუბუქადაც წაუვარჯიშიათ და საღამოსთვის სრულფასოვანი ვარჯიშიც დაუგეგმავთ. როგორც ნაკრების კაპიტანმა ვატო ნაცვლიშვილმა გვამცნო, ახლა სპარინგ-პარტნიორებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და უახლოეს ხანში მათ ვინაობასაც შევიტყობთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

# კალენდარი ხომ არსებობს...

თბილისი
15 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**დინამო 4:0 დილა**

1:0 მუჯირი (18), 2:0 ალექსიძე (37), 3:0 აშვეთია (45), 4:0 მუჯირი (48)
დინამო: სოლოლაშვილი, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, ზ. არჩვაძე, ა. სახვაძე, კიკნაძე (კვარაცხელია 87), ალექსიძე, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი (რუხაძე 86), აშვეთია (გ. შენგელია 75)
*სათადარიგონი:* გვარამაძე, ქემოკლიძე, ი. მახარაძე
დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია, ნ. ახალკაცი (რ. ახალკაცი 55)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, არუთუნიანი, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი
გაფრთხილება: ფეზუაშვილი (65)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. კახიანი, ს. შალამბერიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

**კობა ინასარიძე**

თამაშამდე ვინმესთვის რომ გეკითხათ, აუცილებლად გეტყოდათ, რას ლაპარაკობ, „დინამო" — „დილა" მე-14 ტურის ცენტრალური მატჩია, არ გახსოვთ, გასულ თასის გათამაშებაში გორელებმა ჩემპიონები კინაღამ შეიწირესო. კაცმა რომ თქვას, სიმართლეც იყო, ინტრიგა მართლაც ახლდა ამ თამაშს. თუმცა რად გინდა — მატჩამდელი სეირის მოლოდინი რომ მოლოდინადვე დარჩა, ამას ანგარიშიც მეტყველებს. ყველაზე ცუდი ისაა, ლიდერთა მატჩი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ რიგით შეხვედრას რომ დაემსგავსა, ისეთს, როცა თბილისის „დინამო" უპრობლემოდ, წარბშეუხრელად ამარცხებს მეტოქეს, როცა ჩემპიონი თავისი კარის სიახლოვეს არავის აჭაჭანებს.

ეროვნულ სტადიონზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. „დინამო" სათამაშოდ იყო განწყობილი. გამოვიდნენ მასპინძლები მინდორზე, ნორმალურად არც გაოფლილან, რამდენიმე გონივრული კომბინაცია გაითამაშეს და იქ შებრუნდნენ, სადაც რატომღაც თვითმმართველობის საარჩევნო უბანი იყო მოთავსებული. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ეტყობა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩი არად ჩააგდო, თანაც კალენდარში არ ჩაუხედავთ მის წევრებს, თორემ იქნებ სხვა ნაგებობა გამოეყენებინათ ამისთვის. ალბათ, იმაზეც დაფიქრდებოდნენ, რომ კაცების გასახდელის კართან ქალის ყურყუტი, მეტი რომ არა, ცოტა უტაქტოა. კიდევ კარგი, პორტუგალიური „ბრაგას" ფეხბურთელების მსგავსად შაბათს ქართველებისთვის არ დაურტყამს საშხაპეში დენს და გასაპნულები გარეთ არ გამოცვენილან, თორემ სანახაობა მერე იქნებოდა.

გორელებმა ღმერთსა და „დინამოს" ფეხბურთელებს ერთად უთხრან მადლობა, სატურნირო ცხრილში მათ მიერ გაშვებულ-გატანილი ბურთების სხვაობა, შაბათამდე პლუს ოთხი, თბილისში სტუმრობის შემდეგ მინუს ოთხით ან მეტით რომ არ შეიცვალა. დინამოელებს საგოლე მომენტების თუნდაც ნახევარი რომ გამოეყენებინათ, ანგარიში ორნიშნა იქნებოდა. მატჩის დაწყებიდანვე „დინამოს" უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, თამაშმა ფორმალური სახე მიიღო.

უფულო და რამდენიმე თვე ხელფასმიუღებელი „დილა" ერთხელ დაემუქრა მასპინძელთა კარს. პირველი ტაიმის შუაში მარეხაშვილს შეეძლო დაერტყა, მაგრამ რომ დააყოვნა, მცველებმაც ამიტომ დაასწრეს. ეს იყო. ისე, ამასაც არ აღვნიშნავდით, მაგრამ კაცს რომ გულით სურს, რაიმე გამოყოს, ხომ იცით, საამისო მიზეზს მაინც იპოვის. ხურცილავამ, ეტყობა, იფიქრა, დღეს კარში სოლოლაშვილს დავაყენებ, დიდი ხნის უთამაშებელს მეკარეობა სულ არ დაავიწყდესო, მაგრამ ამით არც მწვრთნელს მოუგია, არც სოლოლაშვილს, 90 წუთის მანძილზე ბურთის სამ-ოთხჯერ ხელში დაჭერა მაინცდამაინც ვერ წაადგებოდა მეკარის სათამაშო პრაქტიკას.

გორელები კი ჯერ დავით მუჯირმა დაამწუხრა, როცა ჯარიმიდან მისი დარტყმული ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და რიკოშეტით კარში შეგორდა, მერე ტრავმამოშუშებულმა რატი ალექსიძემ დაუფასა შრომა გიორგი კიკნაძეს და მდივანთან თითქმის პირისპირ დარჩენილმა გააორა ანგარიში, ტაიმის ბოლო წუთზე კი მიხეილ აშვეთიამ თანაგუნდელთა მილოცვა და თავში მუშტი ლამის ერთდროულად მიიღო: მუჯირის ჩაწოდებულზე მიხომ მეკარეს თავით თამაში დაასწრო. ბურთი ცხრიანში შევარდა, თავდამსხმელი კი შეუძლოდ შეიქნა, მდივანმა მუშტი ბურთის ნაცვლად მას მოარტყა.

„დინამომ" საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრა. „დილა" ოდნავ წინააღმდეგობასაც ვერ უწევდა ჩემპიონებს. შესვენების შემდეგ სამ წუთში კი მუჯირმა მეოთხე გოლი რომ გაიტანა, თანაც ბურთი კარის ხაზიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრში გააჩერა, ჯობდა, ლაცაბიძეს მაშინვე ჩაესტვინა, არჩევნებში მონაწილენი დროს მაინც მოიგებდნენ...



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

მიხეილ აშვეთიამ არც ამჯერად დატოვა მინდორი უგოლოდ

ფოთი
15 ნოემბერი
14 საათი
ფაზისი
1500 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 2:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 წივწივაძე (12), 2:0 შალამბერიძე (40), 2:1 მენთეშაშვილი (86)
კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე, ტორჩინავა, გიორგობიანი, შალამბერიძე, ლალანიძე, გაბისონია, კალანდაძე, გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ბაჩილავა, დ. ნოზაძე, შავგულიძე, კრასოვსკი, გოროზია
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, ვ. ქუთათელაძე (ი. კაპანაძე 51), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ა. ბოკერია, დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი (გ. გვაზავა 72)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, თ. ბოკერია, ვ. გოჩაშვილი
გაფრთხილება: აბაზაძე (25)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

# კარგი იყო, სუპერგოლიც გვენახა

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

რომ ვთქვა, ჩემპიონატში მერვე გამარჯვება „კოლხეთს" დიდი გარჯის ფასად ერგო-მეთქი, ტყუილი იქნება. მასპინძლები თავიდანვე შესამჩნევად სჯობდნენ მეტოქეს და პრაქტიკულად პირველ ტაიმში გადაწყვიტეს თამაშის ბედი, თუმცა...

ანგარიში კოლხთა გოლეადორმა წივწივაძემ გახსნა და საკმაოდ ეფექტურადაც. ჰამლეტმა ვიტელთა საჯარიმოში მარცხენა კუთხიდან შეაღწია თუ არა, უმალ კარს დაუმიზნა. ჭურაძე ძლიერ დარტყმას წინ ვერ აღუდგა, ბურთი მისგან შორეულ ცხრიანში შეფრინდა. მერე სტუმრებმაც მოინდომეს. ერთხანს ინიციატივა მათ ხელში გადავიდა. მე-20 წუთზე არჩილ ბოკერიას ჰქონდა გაყაიმების რეალური შანსი. წივწივაძისა არ იყოს, ისიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, თანაც გაცილებით ხელსაყრელ პოზიციაში. ვიტელი სულ ახლოდან ურტყამდა თავით, მაგრამ ქვაჩახიამ იმარჯვა, თავისიანები აშკარა ხიფათს გადაარჩინა. სულ ეს იყო. ტაიმის ბოლომდე კოლხთა გოლკიპერს სამუშაო არ გასჩენია. არც მისი კოლეგა იყო დიდად დასაქმებული, თუმც ორჯერ არასასიამოვნო სიტუაციაში მაინც აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში ჭურაძემ ლალანიძის შორიდან დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან უმალ წივწივაძე გაჩნდა და სველ მინდორზე ფეხი რომ არ დაცდენოდა, ალბათ, „დუბლს" არ დაგვამადლიდა.

მე-40 წუთზე სტუმრები თავისსავე ნახევარზე ქობულაძის წაქცევისათვის დაჯარიმდნენ. კარამდე 27-28 მეტრი იქნებოდა. აქედან პირდაპირ დარტყმას თითქოს აზრი არ ჰქონდა, მაგრამ შალამბერიძემ სხვაგვარად იფიქრა. უძლიერესი დარტყმით მეორედ შეარხია ჭურაძის კარის ბადე.

მეორე ტაიმი პირველს თამაშითაც სჯობდა და საგოლე მომენტების სიუხვითაც გამოირჩეოდა. ორი ბურთის გაქვითვა ძნელი საქმე კი იყო, მაგრამ სტუმრები თავისას ეცადნენ. 52-ე წუთზე ისევ არჩილ ბოკერიას მიეცა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ აშკარად გადააჭარბა მოვალეობას. მას კოლხთა საჯარიმოში ბურთის მიღებისთანავე უნდა დაერტყა კარში, მაგრამ მცველის მოტყუება მოისურვა, დააწვინა კიდევაც ერთი, ახლა მაინც დაერტყა, მაგრამ არა, მეორე კოლხსაც „გაეთამაშა" და იმ მეორემ ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა. მართალია, მოგერიებული ზვიად გვაზავამ ისევ შეაბრუნა კარისკენ ძლიერი დარტყმით, მაგრამ ხარიხას გადააცილა. იგივე ბედი ეწია 62-ე წუთზე კაპანაძის მიერ საჯარიმოდან დარტყმულსაც. რამდენიმე წუთში კი სტუმრები ზედიზედ გადაურჩნენ გოლს. მასპინძელთა შეტევას გაბისონია აგვირგვინებდა, მაგრამ მეკარის ბაქნის წინა ხაზიდან სუსტად დაარტყა და ჭურაძემ ფეხით მოიგერია. გაბისონიამ მეორედაც ვერ ივარგა. იგი წივწივაძის ჩაწოდებულს სამეკარეოსთან ახლო კი დაუხვდა, ოღონდ სიჩქარეში კარს ააცილა. კიდევ ერთი საგოლე მომენტი გელამ 82-ე გაუშვა ხელიდან. კალანდაძის ზუსტი პასი, გაბისონიას თავური და... მეკარემ იმარჯვა.

ბოლო წუთებში თამაში ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. ვიტელებმა ერთი ბურთი გაქვითეს. ეს მას შემდეგ, რაც კოლხთა საჯარიმოში მენთეშაშვილი „შეიპარა". სტუმართა მცველმა ქვაჩახიასგან შორეული დაბალი კუთხე ამოიღო მიზანში და 15 მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა. ორ წუთში ფოთელები მეორედაც კინაღამ დაისაჯნენ. გიორგი გვაზავამ მასპინძელთა საჯარიმოს წინა ხაზთან ახლო ითამაშა ჩინებულად, მაღალი ბურთი ფეხით ჩამოიღო, ძირს დაუშვებლად მეორე ფეხზე გადაიტანა და შემობრუნებით დაარტყა. „კოლხეთს" ფორტუნამ გაუღიმა, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. არადა, სუპერგოლი იქნებოდა. მასპინძლებსაც შეეძლოთ გატანა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ქობულაძემ ახლოდან ხარიხას მოახვედრა.

კარგი იყო თამაშის ბოლო წუთები. კარგი იქნებოდა, სუპერგოლიც რომ გვენახა. არ მოხერხდა. მაგრამ ვნახეთ სხვა რამ, უჩვეულო, ძალზედ იშვიათი. მეორე ტაიმში, მატჩის არბიტრს ბურთი ხელში „აუფეთქდა", ანუ გასკდა ბურთი.

ბოლნისი
15 ნოემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:0 ლოკომოტივი**

სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე (ე. ჯაფარიძე 65), მოსეშვილი, ჯაგიდისი, გაგუა (ჩალაძე 63)
*სათადარიგონი:* სულთანოვი, დ. ჯაფარიძე, ქობელაშვილი, ძნელაძე
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, კოტორაშვილი, ნ. მინდიაშვილი, დაუშვილი (მარღიშვილი 46), დ. გოდერძიშვილი (ხორგუაშვილი 75), გ. ღუდუშაური (კაციაშვილი 57)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ქვარცხავა, კ. მელქაძე, გიორგი ქორიძე
გაფრთხილება: ბაქრაძე (25), კ. გოგოლაძე (25), დ. გოდერძიშვილი (30)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

# მატარებელი ნელ-ნელა ამუხრუჭებს

**პაატა თოთაძე ბოლნისიდან**

ბოლო წუთზე ჯაგიდისის მიერ დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ხარიხას მოხვდა. ეს მის გამოსათხოვარ მატჩში მოხდა.

ერთნი კმაყოფილნი იყვნენ შედეგით, მეორენი კი ზემოთ აღწერილი ფაქტის გამო წუხდნენ. თუმცა არა მარტო ამიტომ.

მანქანამდე მსაჯები სამართალდამცავებმა მიაცილეს, გულმოსულ მაყურებელს რაიმე უმსგავსოება რომ არ ჩაედინა. საამისო მიზეზი კი „სიონის" გულშემატკივრებს მას შემდეგ მიეცათ, რაც მოსეშვილის მიერ ჩაწოდებული ბურთი, მაყურებელთა აზრით, ბარნოვს საკუთარ საჯარიმოში ხელზე მოხვდა და მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, თუმცა გულშემატკივრებმა თავიანთი მანამდეც არაერთხელ გამოხატეს.

მონასტერი ამის შემდეგ აირია. ფეხბურთელები და, რაღა თქმა უნდა, მაყურებლები ნერვიულობდნენ, ილანძღებოდნენ. ვითარება ვერც შეხვედრის დამთავრებამ განმუხტა.

უგოლო მატჩის მიუხედავად, შეხვედრა სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. გოლებიც შეიძლებოდა გასულიყო. მომენტები ორივე მხარეს საკმარისი ჰქონდა. მათგან ყველაზე აღსანიშნავი სტუმართა მიერ პირველი ტაიმის მეოცე წუთზე განხორციელებული შეტევა იყო. ჯერ ღუდუშაურის დარტყმული ბურთი მასპინძელმა გოდერძიშვილმა გამოიტანა კარის ხაზიდან, დამატებაზე კი გოგოლაძემ ვერ ივარგა — მცველებმა იგი კუთხურზე გადააგდეს. იქიდან ჩაწოდებული უკვე სტუმარმა გოდერძიშვილმა დაარტყა თავით, მაგრამ ამჯერადაც მისმა მოგვარემ მოიგერია კარის ხაზიდან. ამის შემდეგ მასპინძელ გოგოლაძეს და სტუმარ კოტორაშვილს მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ორივემ მცირე მანძილით ააცილა კარს.

საგოლე მომენტები მეორე ნახევარშიც საკმაოდ შეიქნა — კახა გოგოლაძის თავურები, მირზა და თემურ სამხარაძეების სახიფათო დარტყმები, სტუმარ გოდერძიშვილის მეკარესთან ლამის ერთი-ერთზე გასვლა, ჯაგიდისის მიერ ხარიხას მორტყმული ბურთი, გოლი კი არ გავიდა.

მატჩის შემდეგ ორივე მწვრთნელი გულდაწყვეტილი იყო შედეგით, მაგრამ თუ სტუმართა თავკაცი შეგირდების თამაშის ხარისხითაც იყო უკმაყოფილო, სპარტაკ არჩვაძეზე ეს არ ითქმის. აშკარაა, რომ მისი გადასვლის შემდეგ გუნდმა საგრძნობლად მოუმატა, რაც შედეგზეც აისახა — თასის თამაშის ჩათვლით, ბოლნისელები ზედიზედ ოთხი მატჩია, არ დამარცხებულან. ამ მხრივ სტუმრებს საკვეხნი მართლაც აქვთ — ჯერაც არ წაუგიათ, მაგრამ არც იმის დავიწყება იქნება, რომ აგერ უკვე ხუთი თამაშია, „ლოკომოტივს" გოლი ვერ გაუტანია, თანაც ბოლო ორ შეხვედრაში დაცვის ხაზშიც გაჩნდა ხარვეზები.

მცხეთა
15 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
100 (ტევალობა 3 000)

**თსუ 1:1 იბერია**

0:1 ვარდიაშვილი (58), 1:1 დეკანოსიძე (65)
როსტიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (24)
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, დეკანოსიძე, დ. ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (ბახტაძე 61), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ებრალიძე, ნინუა, ო. სულაძე, ბუკია, კ. სვანიძე
იბერია: გ. დოლიძე, მესიაჩენკო, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა, ჩომახიძე, ბრეგვაძე, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (მუმლაძე 46), ვარდიაშვილი (გ. ჭელიძე 81)
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე, მიქელთაძე, სადილიანი, ლორთქიფანიძე
გაფრთხილება: მესიაჩენკო (3)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), დ. თოდუა (მარტვილი), ვ. ჩოჩიშვილი; ზ. დარჩია (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

# პირჩიეთ... ფეხბურთი!

**კონსტანტინე გოგიშვილი მცხეთიდან**

არჩევნების ბრალი თუ იყო, მცხეთის სტადიონზე ფეხბურთელებიანად ასიოდე კაცმა მოიყარა თავი. ამათ შორისაც ჟურნალისტები და თბილისელი სტუმრები სჭარბობდნენ. ერთი სიტყვით, მცხეთელებს ან ფეხბურთი ამოუვიდათ ყელში (ხუმრობაა, სამი თბილისური გუნდი ბურთაობს „არმაზზე"), ანაც... მართლა არჩევნებს დავაბრალოთ მათი ფეხბურთისადმი გულგრილობა?

სტუმრებს მთავარი პერსონა და დამრიგებელი ბადრი ქორიძე უკვე მეორე მატჩია, აღარ ახლავთ, მისი შემცვლელი კი ჯერაც არ ჩანს. ელიან კი სამტრედიელები გუნდის ახალ თავკაცს და, უკვე გამცნეთ კიდეც, არჩევანიც კაი გვარიანი გააჩნიათ... გუშინ იმერლებს ანატოლი მესიაჩენკომ უსარდლა და გასვლაზე ერთადერთი (ჯერჯერობით) ფრეც მისი ხელმძღვანელობით გაახერხეს სამტრედიელებმა.

შეხვედრის განმავლობაში წვიმა ცრიდა და ბურთი ამაღაც ეჭრებოდათ ხშირად ფეხბურთელებს. უმეტესად მცველები სცოდავდნენ (ბურთს უფრო ხშირად ისინი იგერიებდნენ და იმიტომ). ისე, თავს ერთნაირად და ერთფეროვნად კი იცავდნენ ორივე გუნდის მცველები: დაუყოვნებლივ და იქით, საითაც მოუხდებოდათ.

მატჩის პირველმა წუთებმა სტუმართა კარნახით ჩაიარა, მერე კი სტუდენტები გამარჯვდნენ და მთელი შეხვედრის განმავლობაში ისინი ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას. ეგ არის, სამტრედიელებმა, ვგონებ, შეგნებულადაც დათმეს მინდვრის სამი მეოთხედი, რათა მეტოქე კონტრშეტევაზე დაეჭირათ (ხანდახან გამოსდიოდათ კიდეც).

სტუდენტებმა ნელ-ნელა დოლიძესაც მოუსინჯეს კბილი და ცენტრიდან რომ არაფერი გაუვიდათ, ფლანგებს მიეტანნენ. სტუმარი მცველები უმისამართოდ რომ იგერიებდნენ უკვე გითხარით, აქედან გამომდინარე, კუთხურებსაც ხშირად აწვდიდნენ მასპინძლები (დაახლოებით ოცამდე მთელი მატჩის განმავლობაში) და თითქმის ყოველი მათგანი სახიფათო და საგოლე იყო. როსტიაშვილის გამოუყენებელი პენალტიც ჭუმბურიძის სახიფათო კუთხურს მოჰყვა, როცა გუბაზ დოლიძე გამოსვლაზე ქართველ მეკარეთათვის ჩვეული დარდიმანდობით შეცდა და სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, მასპინძელთაგან ერთ-ერთი, რბილად რომ ვთქვათ, შეებოჭათ. მერე კი, დოლიძემ თავისი შეცდომა გამოასწორა და კარის მარჯვენა კუთხეში ისეთი მალაყი გაჭიმა, თქვენი მოწონებული.

იქვე ერთ წუთში იმერლებმა სტუდენტები დაიჭირეს კონტრშეტევაზე, მაგრამ ბათიაშვილთან ერთი-ერთზე გასულმა ვარდიაშვილმა რატომღაც წაქცეულ მეკარეს მოარტყა ბურთი.

მეორე ნახევარში იმერელთა უჩვეულოდ დარბაისელი დაცვა ჩვეულად აიჭრა და არაერთი ხიფათიც განიმუხტა „იბერიის" კართან (სწორედ დარტყმის მომენტში). ამაში ლომის წილი დაიდო უკვე ზედიზედ მეორე ტურია თავგანწირვით მებრძოლმა ლურსმანაშვილმა. სტუმართა გოლი იმ დროს გავიდა, როცა პირიქით ეგონა ხალხს. ერთხელაც დაიჭირეს მეტოქე იმერლებმა, იაქტიურა ვარდიაშვილმა, ბათიაშვილმაც თავი გამოიდო — ორი თითქმის აუღებელი დარტყმულიც აიღო, მაგრამ ვარდიაშვილისავე მესამე დარტყმას ვერაფერი მოუხერხა. ეს 58-ე წუთზე მოხდა.

მერე კი შეხვედრის ბოლომდე უკბილოდ უტევდნენ სტუდენტები და ისევ ბოლო დარტყმაზე ელოდათ ილაჯი. აკი აყარეს კიდეც გული შეხვედრაზე მათმა ქომაგებმა, (წავებულია ეს თამაშიო)... მაგრამ კიდევ ერთი ჩაწოდება და როსტიაშვილის თავსუკან გადაგდებულს დეკანოსიძის თავური მოჰყვა. დოლიძემ ვერაფერი მოახერხა. 1:1 გაბელიას ხმამაღალი შეძახილი, უკან დაიხიეთ, დაცვას მიხედეთო და ხუთიოდე წუთში მატჩიც დამთავრდა.

# საკალათბურთო სხვაობა ახალი პრეზიდენტისთვის

რუსთავი
15 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:7 ტორპედო**

0:1 ჯანაშია (22), 0:2 იონანიძე (33), 0:3 ვაჩიბერაძე (69), 0:4 ქებაძე (73), 0:5 ჯანაშია (85), 1:5 სახვაძე (86), 1:6 ჯანაშია (89), 1:7 იმედაძე (90)
**გორდა:** მ. ქორიძე (მებურიშვილი 46), მჭედლიძე (ტარტარაშვილი 46), ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია (ჩუხუა 46), კედელაშვილი, ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ზ. ლაბაძე, კოპალიანი, ქოიავა, სულაშვილი
**ტორპედო:** ჭანტურია (მამარდაშვილი 76), ჩხაბერიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ქებაძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 80), იონანიძე (იმედაძე 76), დ. ჯანაშია
*სათადარიგო:* ჩხაიძე
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი), ა. ორდენიძე (ონი), ზ. დოლიძე; ე. სილაგავა (ორივე თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

**ვახტანგ ბზიკაძე რუსთავიდან**

რუსთაველები, როგორც „სიონთან", კვირასაც არ აპირებდნენ თამაშს. კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთელებისთვის დავალიანების უმცირესი ნაწილი გადაუხდიათ, მაგრამ ეს საკმარისი სტიმული არ აღმოჩნდა „ტორპედოსთან" საბრძოლო განწყობის შესაქმნელად.

„ტორპედოს" კი პირიქით, ახალი პრეზიდენტის ფინანსურმა მხარდაჭერამ სული მიუსწრო და დაეტყო კიდეც.

მასპინძლებმა ქუთაისელებს მოლოდინის საწინააღმდეგოდ უძლიერესი შემადგენლობა დაუხვედრეს, მაგრამ რად გინდათ. დამშეულ, ნირწამხდარ რუსთაველებს თამაში არ სურდათ, ამიტომაც პირველი ტაიმი პირწმინდად 0:2 წააგეს.

ჯერ 22- წუთზე თურმანიძის ოსტატურად გაჭრილ ბურთზე ჯანაშიამ ბექაურს დაასწრო და ქორიძე შორიდანვე დარტყმულით დაალონა. ათ წუთში ბადიდან ბურთი იონანიძემ გამოატანინა მეკარეს. ქუთაისელმა თავდამსხმელმა ვაჩიბერაძის ფლანიდან გადმოტანილი ბურთი მიწაზე დაუშვებლად გაიტანა.

შესვენებისას რა ხდებოდა მასპინძელთა გასახდელში, ღმერთმა უწყის. თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა ვარლამ კილასონიამ და წელმტკივანმა მეკარე მამუკა ქორიძემ. იასონ ალადაშვილმა, ეტყობა, საკუთარი ინიციატივით შეცვალა მარცხენა მცველი მჭედლიძე, რომლის ფრთიდანაც გავიდა ორივე გოლი.

რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, მასპინძლებმა მეორე ნახევრის 25 წუთში პირველ ტაიმზე და თვით მეტოქეზე უკეთ ითამაშეს. ის კი არა, ლამის ანგარიშიც გაქვითეს. მე-60 წუთზე საჯარიმოს ხაზთან მდგომ ტორპედოელ შეყრილაძეს ხელზე მოხვდა ბურთი. მასპინძლები თვლიდნენ, რომ წესის დარღვევა საჯარიმოში მოხდა, გურამ ასკაროღლიმ კი ხაზის გარედან დარტყმა ბრძანა. რუსთაველებმა საჯარიმო გაითამაშეს და ტარტარაშვილმა ბურთი ხარიხას გაარტყა.

5-6 წუთში ტარტარაშვილმა კახა ალადაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მან კი ჭანტურიას ვერ აჯობა.

„ტორპედომ" საფრთხე იგრძნო. ჩანდა, საქმე მოთავებული არ გახლდათ. მწვრთნელთა სკამიდანაც შეუძახეს ქუთაისელებს, რას გაჩერდითო და ვაჩიბერაძემ ჯანაშიას პასით ანგარიში რომ გაასამა, სხვებმაც აიშვეს.

ჯერ ქებაძემ გაიტანა, მერე ჩხაბერიძის უგრძესი პასით მიწოდებული ბურთი, ბურნაძეს თავზე რომ გადაახტა, ჯანაშიამ გაიტანა.

ამ ორ გოლს შორის სტუმრებმა შეცვლები გამოიყენეს. ჭანტურია, იონანიძე და ვაჩიბარაძე დაასვენეს, მათ ნაცვლად კი შანსი ახალგაზრდებს და ბოლოხანს სკამზე დასმულ მეგრელაძეს მისცეს.

მხოლოდ მამარდაშვილმა ვერ ივარგა — კუთხურისას სახვაძის ახლოდან ძლიერად დარტყმულ ბურთთან უძლური შეიქნა.

მეგრელაძემ კი ბოლო ორ გოლში ლომის წილი დაიდო, ჯერ ჯანაშიას მოწოდებული ბურთი პირითი ხაზიდან დაუბრუნა დათოს და მანაც უმახვილესი კუთხიდან გაიტანა. ბოლო წუთზე კი მეგრელაძეზე გატანა ალალი იყო — შორიდან აუჭრა ბურთი მებურიშვილს, მაგრამ მისი ცხრიანიდან გამოძრობილი ბურთი ჯვარედინიდან იმედაძეს მიუვიდა და მანაც „ტორპედოში" და პირველ ჯგუფში პირველი გოლი გაიტანა.

მასპინძლები შესაცოდნი იყვნენ. მატჩის ბოლოს ძლივს დალასლასებდნენ მოედანზე. შვიდი ბურთიც „გორდამ" შინ პირველად გაუშვა, ისევე როგორც პირველად წააგო 6-ბურთიანი სხვაობით. „ტორპედომ" 7-ჯერ ცხრა წლის მანძილზე მეორედ გაიტანა, ასეთი საკალათბურთო შეფარდებითაც კარგა ხანია, არ მოუგია.

ეტყობა, მართლა დაეტყო კლუბს კალათბურთელი პრეზიდენტის გათავკაცება.



ერთ-ერთი იშვიათი იერიში „ტორპედოს" კარზე — ტარტარაშვილის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა

თბილისი
16 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
2 000

**მერანი — გურია**

## მოიკვეთება გურია?!

**პაატა კვანტალიანი**

ავჭალაში შეკრებილნი ამაოდ ელოდნენ შეხვედრის დაწყებას. მატჩი არ შედგა. მიზეზი კი ლანჩხუთელთა გამოუცხადებლობა იყო.

გურულებმა ეს უკვე მეორედ მოიმოქმედეს. პირველად თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალს უგანეს და საშინაო შეხვედრაში ბათუმის „კოლეჯთან" არ გამოცხადდნენ, რისთვისაც გათამაშებიდან მოხსნეს. ამჯერად კი მათ დებულების თანახმად ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებათ.

გუშინდელი შეხვედრის კომისრის თემურ ფანიაშვილის კომენტარი გარკვეულწილად მოულოდნელი აღმოჩნდა:

— არ შეიძლება იმის თქმა, რომ გურულები ჩემპიონატიდან უნდა მოიკვეთონ. იქნებ მათ რაიმე მიზეზის გამო ვერ შეძლეს ჩამოსვლა. იქნებ გზაში შეემთხვათ გაუთვალისწინებელი რამ, თანაც გუშინ არჩევნები იყო — იქნებ ამიტომაც შეფერხდნენ. სანამ მიზეზს არ დავადგენთ, არ უნდა ავჩქარდეთ, ყველაფერი კი სპორტულ-ტექნიკური კომისიის ხვალინდელ სხდომაზე გადაწყდებაო.

რა თქმა უნდა, ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება უსარგებლოა. მაგრამ, თუ გურულებს ჩამოსვლაში მართლაც რაიმემ შეუშალათ ხელი, ხომ შეიძლებოდა, თბილისში დაერეკათ და მასპინძლები საქმის კურსში ჩაეყენებინათ? მსგავსი არაფერი მომხდარა.

ერთიცაა „გურიას" ერთ-ერთი წევრის რუსთაველი მამუკა მელაძის თქმით, ბოლო კალენდარული შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელები შეთანხმდნენ, რომ თუ კუთვნილ ხელფასს არ მისცემდნენ, სათამაშოდ არ ჩამოსულიყვნენ. მას სულაც არ გაჰკვირვებია გუნდის ჩამოუსვლელობა, ჩანს, პრობლემა პრობლემად დარჩაო.

ერთიც არის: გუშინწინ ფოთში „კოლხეთ" — „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრაზე მყოფ ლანჩხუთელებს ფოთელი ფეხბურთელებისთვის გაუნდვიათ, რომ „მერანთან" სათამაშოდ არ წავიდოდნენ. ყოველივე ძალაუნებურად ეჭვის საბაბს იძლევა, იქნებ ფედერაციის მოხელეებმა წინასწარ იცოდნენ, რომ „გურია" თამაშზე არ გამოცხადდებოდა? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ მატჩზე გამწესებულ, ნახევარი საათით ადრე მისულ მსაჯებს ტანისამოსის გამოცვლა აზრადაც არ მოსვლიათ, პირიქით, მშვიდად ელოდნენ ორი საათის შესრულებას. სამის შვიდ წუთზე კი ოქმში „გურიას" გამოუცხადებლობა დაფიქსირდა.

ზუგდიდი
16 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 2:1 ბათუმი**

0:1 აფხაზავა (41), 1:1 მარკოზია (68), 2:1 თოლორდავა (77)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, იოსავა, კ. კვეკვესკირი, ტაბაღუა (მებონია 86), კუტალია, მარკოზია, თოლორდავა (თოლორაია 88), აფაქიძე
*სათადარიგონი:* გოგია, ჯოჯუა, აკობია, გოგოხია
**ბათუმი:** მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა, სიჭინავა, კანტიძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, გადელია, მაჭუტაძე, ტუღუში, თორლაშვილი (ღლონტი 72)
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, რუსია, ყულეჯიშვილი, რომანაძე, მჟავანაძე
**გაფრთხილება:** კუტალია (78), თოლორდავა (81), თორლაშვილი (64)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

**თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან**

## დედა, რა იყო ეს?!

გაისმა თუ არა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა, ატყდა ყიჟინა. სტადიონზე მისული არც თუ მცირერიცხოვანი მაყურებელი დიდი სიხარულით შეხვდა ოდიშელთა გამარჯვებას, მასპინძლები ხომ სატურნირო ცხრილში არასახარბიელო პოზიციაზე იმყოფებიან... თუმც ასეთი სიხარულის მიზეზი ისიც იყო, რომ ზუგდიდელებს ბათუმელებისთვის დაახლოებით ექვსი წელია, არ მოუგიათ.

თვით მატჩში კი ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. რასაც გუნდები სჩადიოდნენ მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, ძნელად თუ დაარქმევ ფეხბურთს. ეს იყო უთავბოლო და უაზრო გადაწყვეტილებები, არაზუსტი გადაცემები, დარტყმები... ყველაფერი რაც შეეფერება ორ უსუსტეს გუნდს. ზუგდიდელებისთვის ეს არც იყო გასაკვირი. გუნდი ხომ ფაქტობრივად დაშლილია და რომ არსებობს, ესეც სენსაციაა, მაგრამ ბათუმელთაგან, რომლებიც საკმაოდ დამაჯერებელ სიტყვას ამბობენ ჩვენს ჩემპიონატში და ევროპისკენ იყურებიან, ასეთ დუნე და არაფრისმთქმელ ფეხბურთს არავინ ელოდა.

ერთადერთი, რაც პირველ ტაიმში მოხერხდა, ეს მასპინძელთა კარში გატანილი გოლი იყო. ზუგდიდელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ ბურთი აფხაზავას მიუვიდა და საჯარიმოს კუთხიდან ისეთი ლამაზი გოლი გაიტანა, თქვენი მოწონებული. მის შეუჩერებლივ დარტყმას ნაყოფიამ მხოლოდ თვალი გააყოლა.

მატჩის განახლებისთანავე ნათელი შეიქნა, რომ მასპინძლები სულ სხვა განწყობით გამოვიდნენ სათამაშოდ. მათი ხშირი შეტევები სულ უფრო და უფრო მეტ პრობლემას უქმნიდა სტუმართა დაცვას. ერთ-ერთ ასეთ მომენტში შორეული გადაცემის შემდეგ თოლორდავა გაიყვანეს ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ოდნავ შეყოვნდა. დაგვიანებული დარტყმა კი უშედეგო აღმოჩნდა.

68-ე წუთზე, როცა ღურწკაიას გარღვევას მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდება მოჰყვა, ბურთმა ყველას გადაუქროლა და საჯარიმოში ეულად მყოფმა კუტალიამ თავით ძლიერად გაისროლა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა, ასხლეტილს კი პირველად მარკოზიამ მიუსწრო და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ტაიმის შუაწელში თოლორდავას მიეცა გოლის გატანის რეალური შანსი. საჯარიმოში მარტოდ დარჩენილმა დაახლოებით ათი მეტრიდან კარს ააცილა.

ამის მერე მოედანზე სიტუაცია დაიძაბა. ზუგდიდელებმა ირწმუნეს თავისი ძალები და შეტევები უფრო გაამწვავეს. სტუმრები ასეთ რადიკალურ ცვლილებას არ მოელოდნენ და უხეშობას უმატეს, თუმცა მერაბ მალალურაძემ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, რის გამოც შეხლა-შემოხლა გახშირდა.

ამასობაში, წინა თამაშებისგან განსხვავებით, მოულოდნელად ძლიერად ათამაშდა ღურწკაია. მან მარკოზიასთან ერთად აილო გადელიას ფლანგი. სტუმართა კარში მეორე გოლიც მისი აქტიური თამაშის შემდეგ გავიდა — მისი ჩამოწოდებული ბურთის მოგერიებისას ბათუმელებმა არეულობა შექმნეს საკუთარ კართან, რითაც ისარგებლა თოლორდავამ და ამ მატჩში თავისი გოლი მაინც გაიტანა.

ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო გამარჯვებისთვის და მასპინძლებმა კიდევ სცადეს შეტევა, მაგრამ უკვე გამოფხიზლებულმა ბათუმელებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს და ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს. ბოლო ათი წუთის განმავლობაში მათ ფაქტობრივად ცენტრის გამოლმა არ გამოუშვიათ ზუგდიდელები და შტურმიც მოაწყვეს, მაგრამ მათი უკბილო შეტევები უკვე ნაგვიანევი გამოდგა. სოსო ჭედიამ შეცვლებიც გამოიყენა დროის გასაყვანად და კარგად დაწყებული საქმეც ბოლომდე მიიყვანა. მატჩის შემდეგ კი ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი სიხარულს ვერ მალავდა და აღნიშნა, რომ მონდომებას ბევრის გაკეთება შეუძლია. ბათუმელთა მთავარი მწვრთნელისთვის კი გუნდის ხელმძღვანელობას ინტერვიუების გაცემა აუკრძალავს და თამაშის დაწყებამდე იმის გასაგებად, ჰყავდათ თუ არა ტრავმირებული ფეხბურთელები, გუნდის პრეზიდენტთან მიმაგზავნა. თამაშის დამთავრების შემდეგ, აბა, რაღას ვკითხავდი?!

თბილისი
14 ნოემბერი
14 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 5 000)

**არსენალი 1:1 სამგურალი**

0:1 ჯანაშია (7), 1:1 ზირაქიშვილი (37)
**არსენალი:** აბაშიძე, ფირცხალავა, ჩიქოვანი, გველესიანი, ხოსროშვილი, ზირაქიშვილი, ლაცაბიძე, ყოლბაია, კორღალიძე (მ. მაისურაძე 75), კაკაშვილი (გემეზაშვილი 46), ტარიელაშვილი
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, გ. ჭელიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ლონღაძე 61), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე (ი. ხაჭაპურიძე 46), თევდორაძე (ფაიქიძე 46), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ჯავახაძე, ზ. ქუთათელაძე
**გაფრთხილება:** ხაჩირაშვილი (39), გემეზაშვილი (67), ჭელიძე (67), ჯანელიძე (68)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. მენთეშაშვილი, ზ. დოლიძე; მ. მალაღურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დეგელატი:** ვ. კოპალეიშვილი

**ვახტანგ ბზიკაძე**

## მოჩქარეს (არ) მოუგვიანდეს

საათის ისრების წინ გადაწევამ ბევრი დააბნია, მაგრამ მაყურებელი ამ მატჩს მაინც არ კლებია. დაწყებულ თამაშზე შემოსწრებულმა ჯონი ჯანელიძემ რომ გაიგო, „სამგურალის" მე-7 წუთზე დაწინაურება, ადრე მოსვლიათო, თქვა.

იგივე გაიმეორა წყალტუბოელთა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ მატჩის შემდეგ, ვიგებდით და ბოლოს ქულაც სანატრელი გაგვიხდაო.

სტუმრებმა გაძლეს, იღბალიც მათ მხარეს იყო და პირველი ტაიმის ანგარიში, მასპინძელთა მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, არ შეცვლილა.

„სამგურალმა" თამაში უკეთ დაიწყო, მასპინძელ მცველთა შეცდომა და ძაგნიძის დიაგონალური პასი კახა ჯანაშიამ გამოიყენა და ლევან აბაშიძეს ოსტატურად გაუტანა გოლი.

ეს იყო და, წყალტუბოელებმა უკან დაიხიეს, ყრუ დაცვისა და კონტრშეტევების იმედად დარჩნენ. არმიელებმაც დიდი ძალებით შეუტიეს. ავანგარდს არიერგარდი წამოეშველა, მაგრამ გია ფირცხალავას გასროლილი ბურთი სტუმართა ხარიხამ აისხლიტა.

27-ე წუთზე ზირაქიშვილმა ვერ იჩუბინა, სამაგიეროდ, ათ წუთში გაისწორა მიზანი. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ლევან ქობულაძეს ხელზე მოხვდაო, ჩიოდნენ არსენალელები, მაგრამ სამართალი (თუ მართლა პენალტი იყო) ზირაქიშვილმა დააპურა — ამ წიოკყაყანში მოგდებული ბურთი ხაჩირაშვილის კარის ჭერში აისროლა.

შესვენება მწვრთნელებმა სხვასთან ერთად შეცვლებისთვისაც გამოიყენეს. სტუმართა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ორი მოთამაშე შეცვალა. ვერ ვიტყვით, დაცვა გააძლიერაო, პირიქით, ნახევარმცველ მოგვარეს თანაამპლუელი, ოღონდ უფრო ტექნიკური ხაჭაპურიძე ამჯობინა და თავდამსხმელ თევდორაძეს — უფრო სწრაფი ფორვარდი ფაიქიძე.

„არსენალის" მთავარსარდალმა მამუკა გეგეჭკორმა მარცხენა ნახევარმცველი კაკაშვილი ნომინალური მცველით — გემეზაშვილით შეცვალა. ეს ბევრისთვის გაუგებარი დარჩა და მწვრთნელმა თავად ფეხბურთელის რისხვაც დაიმსახურა.

ცვლილებებმა დიდად ვერც ერთ გუნდს არგო, უფრო სწორად, გოლი ვერ გაატანინა, თორემ სტუმრები, ცხადია, ქულითაც კმაყოფილნი დარჩნენ. ხუმრობა როდია, ბოლო ათ წუთში „სამგურალი" მინიმუმ სამჯერ სასწაულით გადაურჩა გოლს. მასპინძელთა ვერმოგება საცოდაობა იყო.

თავის მხრივ, სტუმრებმა წაუგებელი სერია გააგრძელეს და არც ბოლო ტურში „დინამოსთან" აპირებენ რამის დათმობას.



არსენალელმა დავით ტარიელაშვილმა ვერც ამჯერად გაიტანა ბურთი

# დაბლინი და 17 მილიონი

## ინგლისი

XIII ტური

### ნიუკასლი 1:1 შეფილდი

1:0 დალგლიში (4), 1:1 რუდი (80)
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, ლი, შირერი (ანდერსონი 45), სპიდი, ჰამანი (ბეტი 34), შარვე, გილესპი, დალგლიში, ჰიუზი, გრიფინი (სერანტი 45)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე (ჰემფრიზი 66), ბუსი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი, ალექსანდერსონი, სონერი (მეჯილტონი 57)
გაფრთხილება: ჰამანი, ბარტონი, ბეტი, სონერი
მსაჯი: ჯონსი

### ქოვენთრი 3:0 ევერტონი

1:0 ფროგატი (15), 2:0 ჰაკერბი (48), 3:0 ვილანი (89)
ქოვენთრი: ჰედმენი, ნილსონი, ედვორსი, უილიამსი, შოუ, მაკალისტერი, ტელფერი, კლემენტი, ფროგატი, ჰაკერბი, ვილანი
ევერტონი: მირე, კლილენდი (მილიგანი 78), ბოლი, ანსუორსი, შორტი, მატერაცი, კოლინზი, ჰაჩისონი, გრანტი, ფერგიუსონი, ბაკაიოკო (კადამარტერი 56)
გაფრთხილება: ჰაკერბი, ანსუორსი, ბაკაიოკო, მატერაცი
მსაჯი: პოლი

### არსენალი 0:0 ტოტენჰემი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, ვიეირა, ადამსი, ლიუნგბერგი (ვრე 62), ანელკა (ბოა მორტე 79), ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, პეტი
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი (სინტონი 78), ნილსენი, ანდერტონი, არმსტრონგი, ედინბურგი, ვეგა, სკეილზი, ივერსენი, კემპბელი
გაფრთხილება: უინტერბერნი, ნილსენი, არმსტრონგი
მსაჯი: ვილკი

### ჩელსი 3:0 უიმბლდონი

1:0 ძოლა (32), 2:0 პოიეტი (55), 3:0 პეტრესკუ (70)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი (დიუბერი 80), ლე სო, დი მატეო (მორისი 85), ფლო, ლამბურდი, ძოლა (ნიკოლზი 80)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი (ბლექველი 67), პერი, თეთჩერი, ერლი, რობერტსი, გეილი (ლიბერნი 67), ჰიუზი (ეკოკუ 67), კენედი, ეინსვორსი
გაფრთხილება: ლე სო, ჰიუზი, რობერტსი, ერლი
მსაჯი: ვინტერი

### ლივერპული 1:3 ლიდსი

1:0 ფაულერი (68პ), 1:1 სმიტი (79), 1:2, 1:3 ჰასელბაინკი (81, 86)
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ფაულერი, რედნაპი, რიდლე (ლეონარდსენი 70), ჰეგემი, ბერგერი, ინსი, ბიორნებიე, კარაგერი, ტომსონი
ლიდსი: მარტინი, ვაინჰარდი (სმიტი 76), ჰასელბაინკი, ბოუიერი, ჰოპკინი, ჰალე, კიუელი, ჰარტი, ჰიდენი, ვუდგეიტი, მოლენარი
გაფრთხილება: ტომსონი, ბიორნებიე, ჰიდენი, ბოუიერი, სმიტი
მსაჯი: გალაგერი

### მანჩესტერი 3:2 ბლექბერნი

1:0 სქოულზი (32), 2:0 იორკი (44), 3:0 სქოულზი (58), 3:1 მარკოლინი (65), 3:2 ბლეიკი (74)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, სტამი, ბექემი, ბატი, კოული, ფ. ნევილი, კერტისი, ბლომკვისტი (სოლსკიაერი 66), სქოულზი (კრუიფი 61, კინი 80), იორკი
ბლექბერნი: ფილანი, კენა, დევიდსონი (კროფტი 55), შერვუდი, პიკოკი, ენჩოსი, დევისი (გალაჰერი 77), დაფი (მარკოლინი 51), ბლეიკი, ჯონსონი, დეილი
გაფრთხილება: სქოულზი, სტამი, დევისი, ჯონსონი, ენჩოსი
გაძევება: შერვუდი (48)
მსაჯი: რიდი

### საუთჰემპტონი 1:4 ასტონ ვილა

0:1 დაბლინი (3), 1:1 ლე ტისიე (53), 1:2 დაბლინი (56), 1:3 მერსონი (77), 1:4 დაბლინი (85)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, ბენალი, პალმერი, მონკოუ, ლუნდეკვამი (ბიტი 46), რიპლი, დოდი, ოსტენსტადი, ლე ტისიე (უილიამსი 75), ოუქლი
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბერი, ტეილორი, მერსონი (ჯოაკიმი 83), ჰენდრი, დაბლინი, კოლიმორი (დრეპერი 78)
გაფრთხილება: ლე ტისიე, კოლიმორი
მსაჯი: ბერი

### ვესტ ჰემი 3:2 ლესტერი

0:1 იზეტი (28), 1:1 კიტსონი (37), 2:1 ლომასი (56), 3:1 ლამპარდი (76), 3:2 ლამპარდი (87ს.კ.)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფერდინანდი, პირსი, დიქსი, ლომასი, სინკლერი, ბერკოვიჩი, კელერი, ლამპარდი, კიტსონი (მონკური 89), რაიტი
ლესტერი: კელერი, სევიჯი, ალსორნი, სინკლერი, ელიოტი, უოლში, იზეტი (კოტი 67), ლენონი, პარკერი (კემპბელი 62), გაპი, ფენტონი (უილსონი 70)
გაფრთხილება: რაიტი, სევიჯი
მსაჯი: ლოჯი

### ჩარლტონი 1:1 მიდლსბრო

1:0 მენდონკა (37პ), 1:1 სტამპი (74)
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი (რედფერნი 60), პაუელი, კ. ჯონსი, რუფუსი, იუდსი, კინსელა, ჰანტი, მენდონკა (ს. ჯონსი 72), რობინსონი, ტილერი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, მასტო, გესქოინი (სტამპი 45), დინი (ბეკი 79), თაუნსენდი, რიკარდი, კუპერი
გაფრთხილება: რობინსონი, ს. ჯონსი, გესქოინი
მსაჯი: რილი

### ნოტინგემი 2:2 დერბი

0:1 დორიგო (56პ), 1:1 ფრიდმენი (57), 2:1 ვან ჰოიდონკი (62), 2:2 კარბონარი (72)
ნოტინგემი: ბისენტი, როჯერსი, ქუაში, ჩეტლი, სტოუნი, ჯემილი, ბარტ-უილიამსი, ფრიდლმენი (შერვუდი 78), არმსტრონგი, ბოლნეარი, ვან ჰოიდონკი
დერბი: ჰოლტი (ჰოომი 69), კარბონარი, პაუელი, დორიგო, ვანჩოპე, ჰარპერი (სტარიჯი 40), ლარსენი, ქოჰინენი, პრიორი, ელიოტი, ბარტონი
გაფრთხილება: ბარტ-უილიამსი, როჯერსი, ბოლენეირი
მსაჯი: ბარბერი

ეს „ლივერპული“ სულ წავიდა ხელიდან. მეტს ვერაფერს დაარქმევ ამ დიდი ისტორიის მქონე კლუბის ამჟამინდელ მე-12 ადგილს. არადა, მაღალი კლასის ფეხბურთელები აკლიაო, ნაღდად ვერ იტყვი — თინეიჯერი ოუენი, შერეკილი ინსი, თმაქოჩორა მაკმანამანი ბევრი ევროპული გრანდისთვის სანატრელი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ისინი საერთო საკეთებელს, ანუ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევენ.

მიმდინარე სეზონი მერსისაიდელებმა ორი ხელმძღვანელით დაიწყეს — სულით ხორცამდე ლივერპულელ როი ევანსს, რომლის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერა მთლიანად ამ კლუბთან არის დაკავშირებული, ფრანგი ჟერარ ულიე ეხმარებოდა და პირიქით. საერთოდ, სად ორი კაცი რომ მოიფიქრებს და გააკეთებს და სად ერთი, მაგრამ ეს ამბავი ფეხბურთს არაფრის დიდებით არ ეხება — გუნდს ერთი თავკაცი უნდა ჰყავდეს. ამას „ლივერპულის“ უფროსობა ძალიან გვიან მიხვდა და ვიწრო წრეებში მეტად არასასიამოვნო საუბრებიც გაიმართა გუნდიდან ერთ-ერთი მწვრთნელის წასვლის თაობაზე. ეს ნაბიჯი თავმოყვარე ევანსმა გადადგა და მთელი ძალაუფლება თავის ფრანგ კოლეგას გადაულოცა.

მიუხედავად ამისა, ერთმმართველმა „ლივერპულს“ მაინც ვერ უშველა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. შაბათს ულიეს ბიჭები შინ, „ენფილდზე“, დაუხვდნენ „ლიდს იუნაიტედს“ და კვლავ წააგეს. წააგეს სამარცხვინოდ.

პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. ეს რობი ფაულერმა მოახერხა 68-ე წუთზე თერთმეტმეტრიანიდან. მატჩის დასრულებამდე არცთუ ბევრი დრო რჩებოდა და ლივერპულური ფანობაც იმედით ელოდა თავიანთ კერპთა გამარჯვებას, მაგრამ... დარჩენილ დროში ჯერ ვაინჰარდის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა სმიტმა გაიტანა მოედანზე გამოჩენიდან სამ წუთში, შემდეგ ქართველთათვის ავადმოსაგონარმა ჰოლანდიელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა დაამწუხრა დევიდ ჯეიმსი, თანაც ორჯერ და ლივერპულელი ქომაგების ოპტიმიზმი განრისხებით შეცვალა. ყველაფერ ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ „ლივერპული“ ახლა გათამაშების ცხრილის შუაგულს ქვევიდან აჰყურებს, ხოლო „ლიდსი“ ამჟამად ნებივრობს მე-5 ადგილზე.

ჭკვიანი კაცია ჯონ გრეგორი, ძალიან ჭკვიანი. ამის თქმის უფლებას მარტო ის კი არ გვაძლევს, რომ „ასტონ ვილას“ ჯერ არ წაუგია და აგერ უკვე რა ხანია, პრემიერლიგას სათავეში უდგას, არამედ



არსენალი — ტოტენჰემი. სტეფან კარმა და ნაიჯელ უინტერბერნმა ბევრი კი იბრძოლეს, მაგრამ მატჩი მაინც 0:0 დასრულდა

REUTERS ფოტოქრონიკა

ისიც, თუ როგორ, რა ხერხებით აღწევს ეს სპეციალისტი ასეთ შედეგებს. ერთ მაგალითს მოვიყვანთ. სეზონის დაწყებამდე ბირმინგემელები ულიდეროდ, დუაიტ იორკის გარეშე დარჩნენ. ტრინიდადელი ფორვარდი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეიძინა 12,5 მილიონ გირვანქად. უჭკუობას არც ოლდტრეფორდელთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი უჩივის. მან იცოდა, რაში იხდიდა ამხელა თანხას (ასევე გრეგორიმაც კარგად უწყოდა, რაში იღებდა მილიონებს) და ბირმინგემელთა ლიდერი მანჩესტერელების წინამძღოლად იქცა, ყოველ შემთხვევაში, შეტევაში.

ერთი სიტყვით, სარფიანი გარიგება შედგა — ფერგიუსონმა იორკი მიიღო, გრეგორიმ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი, რომლის უნახავივით იმ წუთასვე დახარჯვა მას აზრადაც არ მოსვლია. პრემიერლიგის 11 ტური ისე გაილია, „ასტონ ვილა“ გუნდური თამაშით, ულიდეროდ გადიოდა ფონს. ფონს კი არა და, პირველ საფეხურზე იმყოფებოდა. გრეგორი კი მოთმინებით ელოდა თავის შანსს, იგი აკვირდებოდა ინგლისში მობურთალ თავდამსხმელებს და ბოლოს იპოვა კიდეც — დაჩაჩანაკებული „ქოვენთრის“ ერთადერთი იმედის ნაპერწკალი დიონ დაბლინი. „ქოვენთრიმ“ მის სანაცვლოდ სულ რაღაც 3,5 მილიონი დოლარი მიიღო, „ასტონ ვილას“ კი ახალი „ბელადი“ გამოუჩნდა, რომელმაც მე-12 ტურში დუბლი, მე-13-ში კი ჰეთ თრიქი შეასრულა და ბირმინგემელ ქომაგებს იორკთან დაკავშირებული ნოსტალგია გაუქრო. საერთო ჯამში ასეთი რამ გამოვიდა — იორკის ადგილი სრულფასოვნად (თუ გადამეტებით არა) შეივსო, ხოლო გრეგორის ხელში 17 მილიონი დოლარი შერჩა. 17 მილიონი სულ არაფრიდან. ამის გაკეთება მხოლოდ ორი ტიპის ადამიანს შეუძლია — ან თაღლითს, ან ძალიან ჭკვიანს — ნაღდ პროფესიონალს.

შაბათს პრემიერლიგის ლიდერი უიმედო აუტსაიდერს ესტუმრა და მისი ეს მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. როგორც უკვე ვთქვით, დაბლინმა გაიბრწყინა. მან „საუთჰემპტონის“ მეკარე პოლ ჯონსი სამჯერ დატოვა მშრალზე, რასაც ყოფილმა პერსონა ნონ გრატამ, პოლ მერსონმა ერთიც დაუმატა და მეტიუ ლე ტისიეს გატანილსაც საბოლოოდ მიეცა პრესტიჟის გოლის სახე. არადა, ლე ტისიემ რომ იყოჩაღა, მაშინ ანგარიში გათანაბრდა.

ახლა „საუთჰემპტონს“ 13 შეხვედრიდან მხოლოდ 7 ქულა აქვს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მომავალ სეზონში პრემიერლიგაში დაბრუნებისთვის მოუწევს ბრძოლა. გრეგორის შეგირდებმა კი უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს, სწორედ იმდენი, რამდენითაც დღესდღეობით მეორე ადგილზე მყოფ მანჩესტერელებს უსწრებენ.

თავის მხრივ, იორკმა და კომპანიამაც იმარჯვა. ამჯერად „მანჩესტერ იუნაიტედის“ მძლავრ წინსვლას „ბლექბერნი“ ემსხვერპლა, როი ჰოჯსონის გუნდი, რომელიც თითქმის მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლული იმყოფებოდა — 48-ე წუთზე ტიმ შერვუდი ეუხეშა დევიდ ბექემს მეტად და მსაჯმაც უმალ აუფრიალა წითელი ბარათი. ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყო, პოლ სქოულზს და იორკს გაეტანათ. თუმცა ათი კაცით დარჩენილი სტუმრები არ დაბნეულან და უპირატესობაც კი მოიპოვეს, მაგრამ იმავე სქოულზმა 58-ზე „ბლექბერნს“ მესამედ დააწყებინა ცენტრიდან. სტუმრები ამ ამბავმა კიდევ უფრო „გააბრაზა“, რაც მათ 9 წუთის განმავლობაში ორი გატანილი გოლით გამოხატეს. მესამეზეც არ იტყოდნენ უარს, მაგრამ დრო და კლასი არ ეყოთ.

— დროზე ადრე დავწყნარდით, რაც ფეხბურთში ყოვლად დაუშვებელია. ისე კი ვიტყვი, რომ მოსახდენი მოხდა და უძლიერესმა გაიმარჯვა — ალექს ფერგიუსონი ცოტა აღელვებული, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო.

ამ შეხვედრაზე საუბარი კი იმით დავასრულოთ, რომ მატჩის გმირმა, ჯონ ფილანის კარში ორი ბურთის გამტანმა პოლ სქოულზმა ტრავმა მიიღო და 18 ნოემბერს, „უემბლიზე“, ინგლისისა და ჩეხეთის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში ვეღარ ითამაშებს.

ოთხშაბათს „უემბლიზე“ ვერც ინგლისელთა კაპიტან ალან შირერს ვიხილავთ — გამოცდილმა ფორვარდმა „შეფილდის“ მასპინძლობისას დაიჭიმა კუნთი და შესაცვლელი შეიქნა. „ნიუკასლ იუნაიტედი“ შირერთან ერთად არ ჰგავდა გუნდს და ახლა რუდ გულიტი რას აპირებს, ძნელი სათქმელია, კიდევ კარგი, შეფილდელებთან უმცროსმა დალგლიშმა მოახერხა და მე-4 წუთზე გაიტანა, თორემ ეს რომ არ ექნა, მატჩის მეორე ნახევარში უშირეროდ დარჩენილი „ჯორდები“ უმწყემსო ფარას დაემსგავსნენ, რითაც ისარგებლა კიდეც პეტერ რუდიმ და ტრადიციულ, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მასპინძლები ქულის ამარა დატოვა.

იგივე დაემართათ ჩემპიონებს, რომლებმაც შინ მიიღეს ჯორჯ გრემის „ტოტენჰემი“ და ვერაფერი მოუხერხეს. „არსენალი“ ვეღარ ირჯება სათანადოდ და თუ არსენ ვენგერმა რაიმე არ მოიმოქმედა, ტიტულის შენარჩუნება ძლიერ გაუჭირდება, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლონდონელებმა გასულ სეზონში სულ ბოლოს მოუმატეს და „მანჩესტერს“ სანუკვარი ტიტული ცხვირწინ ააცალეს. მატჩის შედეგით, ანუ ნულოვანი ფრით საკმაოდ გახარებული ჩანდა „არსენალის“ ფანების მიერ იუდად შერაცხული ჯორჯ გრემი (იგი 1986-95 წლებში სწორედ „მეთოფეებს“ ედგა სათავეში), რომელმაც ჟურნალისტებს განუცხადა, დღეს დიდებულ შედეგს მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ მოგებაც შეგვეძლოო.

**დავით ძოწენიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 12 | 8 | 4 | 0 | 18:6 | +12 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | +7 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | +5 | 12 |
| 2 | მანჩესტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 26:11 | +15 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:6 | +12 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | +3 | 8 |
| 3 | არსენალი | 13 | 6 | 6 | 1 | 14:5 | +9 | 24 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:2 | +8 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | +1 | 9 |
| 4 | ჩელსი | 11 | 5 | 5 | 1 | 17:10 | +7 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | +7 | 14 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 5 | ლიდსი | 13 | 4 | 8 | 1 | 16:10 | +6 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | +4 | 11 | 7 | 1 | 6 | 0 | 10:8 | +2 | 9 |
| 6 | ვესტ ჰემი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:15 | +1 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 8 |
| 7 | მიდლსბრო | 13 | 4 | 7 | 2 | 21:16 | +5 | 19 | 6 | 2 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 9 |
| 8 | დერბი | 13 | 4 | 6 | 3 | 14:12 | +2 | 18 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | +2 | 9 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 |
| 9 | ლესტერი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:13 | 0 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | +3 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 6 |
| 10 | უიმბლდონი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:22 | -5 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:14 | -7 | 8 |
| 11 | ჩარლტონი | 13 | 3 | 7 | 3 | 20:17 | +3 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:6 | +6 | 9 | 7 | 1 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 7 |
| 12 | ლივერპული | 13 | 4 | 4 | 5 | 20:17 | +3 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 7 |
| 13 | ნიუკასლი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:17 | -1 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | +1 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 |
| 14 | ტოტენჰემი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:21 | -5 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 8 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 15 | ქოვენთრი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:18 | -6 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 16 | შეფილდი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:13 | -3 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:2 | +2 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 4 |
| 17 | ევერტონი | 13 | 2 | 6 | 5 | 7:14 | -7 | 12 | 6 | 0 | 4 | 2 | 1:5 | -4 | 4 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 8 |
| 18 | ნოტინგემი | 13 | 2 | 4 | 7 | 10:20 | -10 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 4 |
| 19 | ბლექბერნი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:20 | -6 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | +1 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 2 |
| 20 | საუთჰემპტონი | 13 | 1 | 4 | 8 | 10:30 | -20 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:16 | -7 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:14 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რიკარდი (მიდლსბრო) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 8 |

### XIV ტური

21 ნოემბერი
ასტონ ვილა - ლივერპული
ბლექბერნი - საუთჰემპტონი
ლიდსი - ჩარლტონი
ლესტერი - ჩელსი
მიდლსბრო - ქოვენთრი
შეფილდი - მანჩესტერი
ტოტენჰემი - ნოტინგემი
უიმბლდონი - არსენალი
22 ნოემბერი
დერბი - ვესტ ჰემი
23 ნოემბერი
ევერტონი - ნიუკასლი

## პირველი დივიზიონი

XIX ტური

### ბარნსლი 0:1 იფსვიჩი
0:1 ჯონსონი (5)

### ბირმინგემი 0:1 ოქსფორდი
0:1 მერფი (27)

### ბოლტონი 2:2 ტრანმერი
1:0 აირონსი (32პ), 1:1 იოჰანსენი (53), 1:2 ჰოლდსვორსი (56პ), 2:2 აირონსი (67პ)

### ბრედფორდი 3:0 სვინდონი
1:0 ბიგრი (48პ), 2:0 ბებერი (79), 3:0 ჯეკობსი (90)

### ქრიუ 0:2 ქუინზ პარკი
0:1 პიკოკი (34), 0:2 შერონი (62)

### კრისტალ პალასი 2:1 ბრისტოლი
1:0 ბრედბერი (5), 1:1 ანდერსენი (35), 2:1 იანსენი (89)

### გრიმსბი 1:1 პორტსმუთი
0:1 ალოიზი (23), 1:1 გროუვზი (26)

### ნორვიჩი 0:0 ვულვერჰემპტონი

### პორტ ვეილი 0:2 სანდერლენდი
0:1 ასპინი (28ს.კ.), 0:2 ქუინი (65)

### შეფილდი 3:1 ბერი
0:1 ჯეიმსი (39), 1:1, 2:1, 3:1 კაჩურო (57, 71, 80)

### სტოკპორტი 1:1 უოტფორდი
0:1 ჯონსონი (9), 1:1 დინინგი (38პ)

### ვესტ ბრომვიჩი 3:1 ჰადერსფილდი
0:1 ბერესფორდი (6), 1:1, 2:1, 3:1 ჰიუზი (28პ, 75პ, 84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 18 | 11 | 7 | 0 | 42:12 | 40 |
| იფსვიჩი | 18 | 10 | 5 | 3 | 26:10 | 35 |
| ბირმინგემი | 19 | 9 | 5 | 5 | 25:17 | 32 |
| უოტფორდი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:27 | 32 |
| ბრედფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 34:20 | 31 |
| შეფილდი | 19 | 8 | 6 | 5 | 31:28 | 30 |
| ვულვზი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:18 | 29 |
| ნორვიჩი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:21 | 29 |
| ჰადერსფილდი | 19 | 8 | 5 | 6 | 26:28 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 8 | 3 | 7 | 36:33 | 27 |
| კრ. პალასი | 16 | 8 | 2 | 6 | 28:26 | 26 |
| გრიმსბი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:21 | 26 |
| ბოლტონი | 17 | 6 | 7 | 4 | 33:29 | 25 |
| სტოკპორტი | 18 | 4 | 10 | 4 | 23:24 | 22 |
| ტრანმერი | 18 | 4 | 9 | 5 | 23:26 | 21 |
| ბერი | 19 | 5 | 6 | 8 | 14:20 | 21 |
| პორტ ვეილი | 19 | 6 | 3 | 10 | 21:36 | 21 |
| ბარნსლი | 19 | 4 | 8 | 7 | 22:27 | 20 |
| სვინდონი | 19 | 5 | 5 | 9 | 27:33 | 20 |
| პორტსმუთი | 19 | 4 | 6 | 9 | 27:32 | 18 |
| ქუინზ პარკი | 18 | 5 | 3 | 10 | 17:27 | 18 |
| ოქსფორდი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:33 | 17 |
| ბრისტოლი | 19 | 3 | 6 | 10 | 27:44 | 15 |
| ქრიუ | 18 | 2 | 5 | 11 | 19:37 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსაჯია თუ შუქნიშანი?

## გერმანია

XIII ტური

**ფრაიბურგი 1:2 მიუნხენი**

1:0 კოლი (35), 1:1 მალცი (65), 1:2 ჰობში (74)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, კორელი (ბერმელი 66), შ. მიულერი, კოლი, ფრონცეკი (სელიმი 71), პავლინი (გიუნეში 71), კობიაშვილი, ბაია, ბენ სლიმანი, ვასმერი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, დინზეი (ბენდერი 58), სტევიჩი, ზელიჩი, მალცი, ჩერნი (ბორიმიროვი 61), ოუაკილი, შროტი, ჰობში (შლიუტერი 77)
გაფრთხილება: ბაია, ბენ სლიმანი, ფრონცეკი, კორელი, შუმანი, დინზეი, გრაილიხი, ზელიჩი
მსაჯი: ვებერი

**ბაიერნი 2:0 შტუტგარტი**

1:0 ეფენბერგი (49), 2:0 დაეი (90)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი (ლინკე 78), კუფური, შტრუნცი, ლისარასუ, იერემისი, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 65), ეფენბერგი (ფინკი 66), დაეი, ელბერი
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერლაატი, ბერთჰოლდი, ტ. შნაიდერი (პოშნერი 61), სოლდო, ტ. როსტი (რისტიჩი 77), ლისტეში, ბალაკოვი, აკპობორი, ბობიჩი
გაფრთხილება: ბაბელი, ელბერი, ბერთჰოლდი, შნაიდერი, ვოლფარტი
მსაჯი: იანსენი

**ლევერკუზენი 3:0 ნიურნბერგი**

1:0 მეიერი (5), 2:0 ემერსონი (15), 3:0 რამელო (21)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი (ლენჰოფი 71), ნოვოტნი, ჰაპე, რეები, რამელო (ნ. კოვაჩი 68), ემერსონი (მამიჩი 82), ზე რობერტო, ბაინლიხი, კირსტენი, მეიერი
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, გრასერი, რანერი, ნიკლი (ბიურგერი 81), ვისინგერი, შტორცენჰოფეკერი (პოლუნინი 56), რიხტერი (გიუნტერი 41), გერბერი, სკოოგი, დრილერი
გაფრთხილება: გიუნტერი
მსაჯი: შტრამპე

**ვერდერი 0:1 ლაუტერნი**

0:1 რამზი (75)
ვერდერი: ბრაზასი, ტრარესი (ფლოკი 17), ვოიტალა, სკრიპნიკი, როემბიაკი, ტოდტი, ვიკი, ვიდნერი (ფრინგსი 64), აილტსი, ბოგდანოვიჩი, აილტონი (ფლო 64)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, რამზი, სამირი, რიდლი, ბალაკი, ვაგნერი (პრუტკა 84), ბუკი (ჟუნიორი 72), ხრისტოვი, როსლერი (რიშე 57), მარშალი
გაფრთხილება: ფრინგსი, როემბიაკი, ვიდნერი, ბალაკი, სფორცა
მსაჯი: შტარკი

**დორტმუნდი 3:0 შალკე**

1:0 ნიეგუსი (14), 2:0 ჰესლერი (45პ), 3:0 მიოლერი (83)
დორტმუნდი: კლოსი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, რიკენი, ფროინდი, დედე, ჰესლერი (კ. ბაუმანი 76), ა. მიოლერი (ვ. ბუტი 86), სალუ, ბარბარესი (შაპუიზა 70)
შალკე: შობერი, აიგენრაუხი, ტონი, ვან ჰოგდალემი, ლატალი (გუსენსი 58), ვან კერკჰოვენი, ბიუსკენსი (ანდერბრიუგე 75), ნემეცი, მულდერი, მაქსი (ჰამი 74), აიკელკამპი
გაფრთხილება: ჰესლერი, მულდერი
მსაჯი: მერკი

**ჰანზა 1:1 გლადბახი**

0:1 პფლიპსენი (35), 1:1 მაიაკი (51)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, ჰოლეჩეკი, ლანგე, მაიაკი, იასერი, დოვე, ფუქსი (აგალი 68), ნოივილი
მიონხენგლადბახი: ენკე, აიხინი, ანდერსონი, კლინკერტი, ვინჰოფი, მ. შნაიდერი, ჰაგნერი, კეტელაერი, პფლიპსენი, ვიტეჩეკი, პოლსტერი
გაფრთხილება: მაიაკი, იასერი, ანდერსონი, აიხინი, მ. შნაიდერი, პფლიპსენი
მსაჯი: ალბრეხტი

**ვოლფსბურგი 2:1 ჰერტა**

0:1 ტრეჩოკი (5), 1:1 იუსკოვიაკი (24), 2:1 ნოვაკი (41)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ბალვანცი, კრიგერი, გრაინერი (შტამანი 68), ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, აკონორი (რეინა 81), პრეგერი (ბაუმგარტი 77), იუსკოვიაკი
ჰერტა: კირალი, რეკდალი, ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი, შმიდტი (ჰარტმანი 58), ვაიტი, კოვიჩი, ტომი (ნოიენდორფი 71), ტრეჩოკი, ჩამი (სვერისონი 71), პრეეტცი
გაფრთხილება: ბალვანცი, დამაიერი, ვაიტი
მსაჯი: ბერგი

**ჰამბურგი 0:1 აინტრახტი**

0:1 სობოჩიკი (33)
შპიორლმა ვერ გამოიყენა პენალტი (5)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფოგელი (გრუბაჩი 83), ჰოოგმა, ჰერტჩი, ფიშერი, გროთი, ჰოლერბახი, შპიორლი (კირიაკოვი 61), დემბინსკი, იებოა, დალინი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბ. შნაიდერი, ბინდევალდი, შური, პედერსენი (გებჰარდტი 66), ვებერი, ბრინკმანი (ცამპახი 72), სობოჩიკი, უ. შნაიდერი, ეპი (პისონტი 84)
გაფრთხილება: ჰოლერბახი, ბინდევალდი, ხუბჩევი, პედერსენი, ვებერი
მსაჯი: ცერი

**დუისბურგი 2:0 ბოხუმი**

1:0 ვედაუ (30), 2:0 ანდერსენი (74)
დუისბურგი: სტაუჩე, ვანა, ჰოერსენი, ვოლერტი, ნონინი, ვოლტერსი, ჰირში, ვედაუ (ფრიდეკი 90), ოსტჰოფი, ანდერსენი (ებერსი 88), შპისი
ბოხუმი: ტ. ერნსტი, კუნცი, სუნდერმანი, კრახტი, შინდცილორცი, ბემბენი, ნ. ჰოფმანი, იონი (გიულუნოღლუ 60), ჯოპე (მაიევსკი 74), დრინჩიჩი, ბუკლი (ჯაფიჩი 46)
გაფრთხილება: ჰოერსენი, ნონინი, ოსტჰოფი, დრინჩიჩი, ნ. ჰოფმანი
მსაჯი: კესლერი

წლეულს „ბაიერნს“ ბუნდესლიგის ჩემპიონობას, ალბათ, ვერავინ შეეცილება. ცამეტი ტურის შემდეგ ბავარიელები უახლოეს მდევრებს — „ლევერკუზენს“ და „მიუნხენს“ ხუთი ქულით უსწრებენ, ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული და რაც ყველაზე მთავარია ისეთ ფორმაში არიან, ძნელად თუ გაუმკლავდება ვინმე.

„ბაიერნის“ მსხვერპლი ამჯერად „შტუტგარტი“ გახდა. „ოლიმპიაშტადიონზე“ მატჩისა და მასპინძელთა შეტევების დაწყება ერთი იყო. დებიუტშივე ბასლერმა დაარტყა ძლიერად, მაგრამ „შტუტგარტი“ ავსტრიელმა მეკარე ვოლფარტმა გადაარჩინა. მალე ისევ ბასლერმა გაისროლა ჩვეულად, მაგრამ ვოლფარტმა ამჯერადაც შეძლო ბურთის მოგერიება, დამატებაზე კი ეფენბერგმა ვერ იმარჯვა. 25-ე წუთზე კი უკვე „ბაიერნი“ გადარჩა. ბობიჩის ათიოდე მეტრიდან ძლიერად დარტყმული ბურთი კანმა საოცარი რეაქციით გააუვნებელყო. 33-ე წუთზე ელბერმა კი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა არარსებული თამაშგარე დააფიქსირა. ტაიმის ბოლოს „ბაიერნის“ ირანელ ლეგიონერ ალი დაეის შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი კარს ასცილა.

მეორე ნახევარი „ბაიერნმა“ უფრო აქტიურად დაიწყო. 49-ე წუთზე მასპინძლებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს. ელბერმა საჯარიმოში შეჭრილ ეფენბერგს კარგი პასი მიაწოდა, „ეფემაც“ ვერლაატი და ტიამი იოლად მოატყუა და ახლოდან ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. მალე როსტმა თავის საჯარიმოში ელბერს მისურზე დაქაჩა, მაგრამ მსაჯმა ამაზე თვალი დახუჭა, რამაც მასპინძლები გაანაწყენა. 64-ე წუთზე კი კურიოზული ფაქტი მოხდა. ვერლაატმა მეკარესთან პირისპირ გასული მათეუსი წააქცია. „ბოლო იმედის ჯარისთვის“ მსაჯმა შტუტგარტელს წითელი ბარათი უჩვენა და გასახდელის გზას გაუყენა, მაგრამ თანამსაჯმა არბიტრი თავისთან იხმო და თამაშგარე იყოო, აუხსნა, იგიც დაეთანხმა დამხმარეს და ვერლაატი მინდორზე დააბრუნა. ამ ამბავმა ახლა მიუნხენელთა უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა მსაჯს გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია. ამ ეპიზოდმა მინდორზე მდგომარეობა დაძაბა. „ბაიერნმა“ უფრო მოინდომა. „შტუტგარტმა“ კონტრშეტევებზე სცადა თამაშის აგება, მაგრამ მასპინძელთა დაცვა ამის საშუალებას არ აძლევდა. 70-ე წუთზე ელბერი ვოლფარტთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი წინ გაიგდო და მეკარემ დაასწრო. მალე ბრაზილიელი მეორედ დარჩა ვოლფარტთან მარტო — ბურთი ამჯერადაც გაექცა. მატჩის მიწურულს „შტუტგარტმა“ შეუტია,



ბაიერნი — შტუტგარტი. მიუნხენელმა ჯოვანი ელბერმა (ჰაერში) ორი საგოლე პასით გამოიჩინა თავი

რითაც „ბაიერნმა“ ისარგებლა. შეხვედრის ბოლო წუთზე ელბერმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირა, ნახევარი მინდორი გაირბინა და ზუსტი პასით დაეის მეორე გოლი გაატანინა.

„ბაიერნის“ თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი გამარჯვებით გახარებული იყო, თუმცა შეგირდებს მაინც უსაყვედურა: „მიუხედავად იმისა, თამაშს ვაკონტროლებდით, მატჩის ბედი ადრევე უნდა გადაგვეწყვიტა და ამდენი არ გვენერვიულა. მეტოქე დროდადრო კი იჩხვლიტებოდა, მაგრამ ჩვენი დაცვის კარგი თამაშის წყალობით განსაკუთრებული არაფერი შეუქმნია.“

მიუნხენელთაგან განსხვავებით, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე მოიგო „ლევერკუზენმა“, რომელიც შინ „ნიურნბერგს“ ილებდა. შეხვედრის 21-ე წუთზე ანგარიში უკვე 3:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. პირველი გოლი მე-5 წუთზევე გავიდა, იგი ჰოლანდიელმა ერიკ მეიერმა გაიტანა. ათი წუთის შემდეგ ემერსონმა ითამაშა კარგად, ორი მცველი მოატყუა და მოჭრილი დარტყმით ბურთი ცხრიანში შეჭედა. მალე კი ზე რობერტოს პასით რამელომ დაასრულა სტუმართა რბევა. თამაში კვლავაც მასპინძელთა უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ მეტი გოლი მრავალი შესაძლებლობის მიუხედავად, აღარ გაუტანიათ.

— დიდი ხანია, ასე კარგად არ გვითამაშია, ამ მატჩში უამრავი მომენტი შევქმენით. 3:0-ის შემდეგ ბიჭები დამშვიდდნენ და გოლის გატანაზე მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყეს ფიქრი — კმაყოფილებას ვერ ფარავდა თამაშის შემდეგ „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი.

რას იზამდა საკუთარ მოედანზე „ფრაიბურგი“, ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს. იაშვილისა და კობიაშვილის გუნდი ამჯერად წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენა „მიუნხენ 1860“-თან დამარცხდა -1:2. ეს წაგება მასპინძელთათვის ზედიზედ მესამე იყო. გამარჯვების სიტკბო კი ფრაიბურგელებმა ბოლოს 16 ოქტომბერს იგემეს. „მიუნხენის“ წინააღმდეგ კვლავ არ უთამაშია ალექსანდრე იაშვილს, ხოლო კობიაშვილმა მთელი შეხვედრა ისე ჩაატარა, თავი ამჯერადაც არაფრით გამოუჩენია. მატჩი მასპინძელთა კარნახით დაიწყო და მთელი ტაიმი ასე წარიმართა. მიუნხენელები ხანდახან მწვავედ კი უტევდნენ, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა. 35-ე წუთზე „ფრაიბურგის“ მორიგი შეტევა კოლის ზუსტი დარტყმით დასრულდა, მეორე ტაიმიც მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, პავლინს და ბენ სლიმანს გოლის გატანის ხელსაყრელი შანსიც მიეცათ, მაგრამ მიზანმა ორივეს უმტყუნა. 65-ე წუთზე სტუმართა ერთ-ერთი კონტრშეტევისას მალცმა 30 მეტრიდან ისე ძლიერად დაარტყა, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული გოლცი გაწბილებული დატოვა. გაშვებული გოლის შემდეგ „ფრაიბურგმა“ უკან დაიხია და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ბუნდესლიგისა და „მიუნხენის“ ბომბარდირის ბერნდ ვინკლერის არყოფნაში მისი ფუნქციის შესრულება ჰობშმა იკისრა. 74-ე წუთზე სწორედ ექსვერდერელმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი. მატჩის მიწურულს მასპინძლებს მიეცათ წაგებისგან თავის დაღწევის შანსი, მაგრამ გიუნეშმა ძელს გაარტყა ბურთი.

— როდესაც გოლის გატანის შესაძლებლობებს ვერ იყენებ, ბუნებრივია, წააგებ, ამას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ჩვენ კარგი მომენტები გავაფუჭეთ, მეტოქემ კი რაც შექმნა, გამოიყენა და თამაშიც მოიგო. არადა, 65-ე წუთამდე ბიჭების მოქმედებით კმაყოფილი ვიყავი. ფოლკერ ფინკე თავისი გუნდის ზედიზედ მეს ამე მარცხს დაელოდებინა. გამარჯვებულთა თავკაცმა ვერნერ ლორანტმა კი თამაში მოკლედ და ლაკონურად შეაფასა: „მეორე ტაიმით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ მეტი აგრესიულობა გამოვიჩინეთ, რაც ტაბლოზეც კარგად აისახა.“

ლიდერთა სამეულის მსგავსად, მოიგეს მათმა მდევრებმაც „კაიზერსლაუტერნმა“ და „ვოლფსბურგმა“. „ლაუტერნი“ ბრემენს ეწვია და რამზის ერთადერთი გოლით დაამარცხა მეტოქე. სტუმრებს ამ გამარჯვებაში იღბალიც დაეხმარა. მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე ტოდტის თავით გატანილი გოლი მსაჯმა არ ჩათვალა, თამაშგარე იყოო, ერთი წუთის შემდეგ კი ბოგდანოვიჩმა ძელი შეაზანზარა. ბრემენელებს მანამდეც უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ბურთმა სტუმართა კარში შესვლა არ ინება. „კაიზერსლაუტენისგან“ განსხვავებით, „ვოლფსბურგმა“ შინ მოიგო ბერლინის „ჰერტასთან“. ამ მატჩში საკმაოდ ცოტა მომენტი შეიქმნა. არადა, შეხვედრა ისე დაიწყო, კაცი იფიქრებდა, გოლების წვიმა იქნებაო. მე-5 წუთზე „ჰერტა“ ტრეჩოკის ზუსტი დარტყმის წყალობით დაწინაურდა, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც მასპინძლებმა მოიგეს. ჯერ იუსკოვიაკმა გაათანაბრა ანგარიში, 41-ე წუთზე კი ნოვაკმა ისარგებლა სტუმართა დაცვის უყურადღებობით. მეორე ტაიმში პრეგერი ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მესამე გოლის გატანა ვერ შეძლო. ეს გამარჯვება „ვოლფსბურგისთვის“ ზედიზედ მეხუთე გახლდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვოლფსბურგელებს საწყის რვა ტურში ერთხელაც არ მოეგოთ.

მოულოდნელად დიდი ანგარიშით გაიმარჯვა „დორტმუნდმა“, რომელმაც შინ „შალკე“ 3:0 გაანადგურა. მატჩის დებიუტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა. მე-14 წუთზე მიოლერის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ჯერ ერთ მცველს მოხვდა, მერე მეორეს, საბოლოოდ კი სალუს მიუვიდა, ტოგოელმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, ნიეგუსს კი გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა. ტაიმის ბოლო წუთზე ვან ჰოგდალემის მიერ ბარბარესის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჰესლერმა უნაკლოდ შეასრულა — 2:0. ამ გოლამდე „შალკეს“ ბელგიელ ლეგიონერს ვან კერკჰოვენს მიეცა ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ კლოსმა კარგად ითამაშა. მესამე გოლი 83-ე წუთზე გავიდა. სალუს დარტყმულ ბურთს მიოლერმა დაამატა ზუსტად და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

ვანო ოქროპირიძე

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 12 | 10 | 1 | 1 | 32:10 | +22 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 25:8 | +17 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | +5 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 13 | 7 | 5 | 1 | 29:14 | +15 | 26 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | +6 | 12 | 6 | 4 | 2 | 0 | 16:7 | +9 | 14 |
| 3 | მიუნხენ 1860 | 13 | 7 | 2 | 3 | 26:17 | +9 | 26 | 6 | 4 | 0 | 2 | 12:8 | +4 | 12 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:9 | +5 | 14 |
| 4 | ლაუტერნი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:22 | -2 | 24 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:10 | +3 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:12 | -5 | 11 |
| 5 | ვოლფსბურგი | 13 | 5 | 5 | 3 | 25:18 | +7 | 20 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:8 | +6 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | +1 | 9 |
| 6 | დორტმუნდი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:12 | +7 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 12:2 | +10 | 15 | 6 | 0 | 4 | 2 | 7:10 | -3 | 4 |
| 7 | ჰამბურგი | 12 | 4 | 5 | 3 | 16:14 | +2 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | +4 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 8 | ჰერტა | 13 | 5 | 2 | 6 | 17:16 | +1 | 17 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:3 | +10 | 15 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 9 | ბოხუმი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:18 | -1 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | +3 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 7 |
| 10 | შტუტგარტი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:16 | +1 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | +5 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 11 | აინტრახტი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | -2 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | +2 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 12 | ფრაიბურგი | 13 | 3 | 6 | 4 | 16:18 | -2 | 15 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | +2 | 11 |
| 13 | დუისბურგი | 13 | 3 | 6 | 4 | 15:20 | -5 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 14 | ნიურნბერგი | 13 | 2 | 7 | 4 | 17:25 | -8 | 13 | 6 | 0 | 5 | 1 | 7:11 | -4 | 5 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | -4 | 8 |
| 15 | შალკე 04 | 12 | 2 | 5 | 5 | 11:20 | -9 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:13 | -7 | 6 |
| 16 | ჰანზა | 13 | 2 | 4 | 7 | 18:28 | -10 | 10 | 7 | 2 | 4 | 1 | 13:11 | +2 | 10 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:17 | -12 | 0 |
| 17 | ვერდერი | 12 | 1 | 4 | 7 | 14:20 | -6 | 7 | 7 | 0 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | გლადბახი | 12 | 1 | 3 | 8 | 16:35 | -19 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 4 | 7 | 0 | 2 | 5 | 8:21 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |
| პოლსტერი (გლადბახი) | 7 |

XIV ტური

20 ნოემბერი
აინტრახტი - ვერდერი
შალკე - დუისბურგი

21 ნოემბერი
ბოხუმი - ლევერკუზენი
ნიურნბერგი - ვოლფსბურგი
ჰერტა - ბაიერნი
შტუტგარტი - ჰანზა
მიუნხენი - ჰამბურგი
ლაუტერნი - დორტმუნდი

22 ნოემბერი
გლადბახი - ფრაიბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

XIV ტური

**მაინცი 0:0 დიუსელდორფი**

**კოტბუსი 0:2 ობერჰაუზენი**

0:1, 0:2 ვებერი (34, 56)

**უნტერჰახინგი 3:1 ბერლინი**

1:0 ლუშტი (6), 1:1 კოპადო (33), 2:1 რაკლი (45), 3:1 აჰინფული (90)

**ჰანოვერი 2:1 კიკერსი**

0:1 ვინკლერი (1), 1:1 კროიცი (36), 2:1 რაინჰარდტი (40)

**კიოლნი 1:0 ფიურტი**

1:0 როსელი (56)

**ზანქტ პაული 0:0 ფორტუნა**

**ულმი 2:2 ურდინგენი**

0:1 ვან დერ ჰაარი (45), 0:2 ვან დერ ვენი (58), 1:2 როსლერი (74), 2:2 გორა (80)

**არმინია 1:0 ვატენშაიდი**

1:0 შტერნკოფი (74)

**კარლსრუე 2:3 გიუტერსლო**

0:1 მეიერი (23პ), 0:2 ვატერინკი (39), 1:2 მაისნერი (47), 2:2 ბუხვალდი (72), 2:3 ელბერფელდი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 14 | 9 | 2 | 3 | 22:11 | 29 |
| არმინია | 14 | 9 | 2 | 3 | 25:17 | 29 |
| ულმი | 14 | 7 | 7 | 0 | 33:19 | 28 |
| ფიურტი | 14 | 8 | 2 | 4 | 19:13 | 26 |
| ბერლინი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:17 | 26 |
| კარლსრუე | 14 | 7 | 1 | 6 | 26:20 | 22 |
| კიკერსი | 14 | 7 | 1 | 6 | 13:18 | 22 |
| ფორტუნა | 14 | 6 | 3 | 5 | 22:21 | 21 |
| მაინცი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:19 | 19 |
| კიოლნი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:25 | 18 |
| ჰანოვერი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:16 | 17 |
| კოტბუსი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:17 | 15 |
| ზანქტ პაული | 14 | 4 | 3 | 7 | 15:20 | 15 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:22 | 14 |
| გიუტერსლო | 14 | 3 | 4 | 7 | 20:25 | 13 |
| ვატენშაიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:13 | 12 |
| დიუსელდორფი | 14 | 2 | 5 | 7 | 16:22 | 11 |
| ურდინგენი | 13 | 1 | 4 | 8 | 12:22 | 7 |

## იტალია

IX ტური

**რომა 2:0 იუვენტუსი**

1:0 პაულუ სერჟიო (44), 2:0 კანდელა (87)
რომა: კიმენტი, კაფუ, ალდაირი, ძაგო, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო, დელვეკიო, ტოტი
იუვენტუსი: პერუცი, ფერარა (ბირინდელი 70), ტუდორი, მონტერო, იულიანო, დი ლივიო, კონტე, ტაკინარდი (ფონსეკა 46), ზიდანი, დავიდსი (დეშამი 55), ინძაგი
გაფრთხილება: კაფუ, მონტერო, დი ლივიო, კონტე, დი ბიაჯო
გაძევება: მონტერო (59)
მსაჯი: ბრაში

**ვიჩენცა 0:4 ბოლონია**

0:1, 0:2, 0:3 სინიორი (33პ, 73, 76), 0:4 კოლივანოვი (89)
ვიჩენცა: ბრივიო, დი ლიზო, ბელოტი, დიჩარა, მორაბიტო, სკენარდი, მენდესი (დი კარლო 66), ვივიანი (პალადინი 60), ამბროზეტი, ძაული, ოტერო (ლუიზო 15)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, რინალდი, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (კაპიოლი 80), მაროკი, ინგესონი, ფონტოლანი, სინიორი (ერიბერტო 80), ანდერსონი (კოლივანოვი 78)
გაფრთხილება: მაროკი, ანდერსონი, დიჩარა, ფონტოლანი
გაძევება: ბელოტი (66)
მსაჯი: ტრეოსი

**ვენეცია 2:0 ლაციო**

1:0 ტუტა (5), 2:0 პედონე (39)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოში, ლუპი, ბილიკა, დალ კანტო, მარანგონი (ძირონელი 81), მიკელი, იაკინი, პედონე (ბალარინი 89), ვალტოლინა, ტუტა, შვოპი
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო (იანუცი 57), კოუტუ, ნეგრო, ფავალი, კონსეისაო, ვენტურინი (ოკონი 76), ალმეიდა, ბარონიო (გოტარდი 46), მანჩინი, სალასი
გაფრთხილება: ბარონიო, პედონე, ტაიბი, ლუპი
გაძევება: კოუტუ (49)
მსაჯი: ბოლონინო

# მას მწარედ დასცინეს

**პიაჩენცა 4:2 ფიორენტინა**

1:0 რასტელი (17), 1:1 რუი კოშტა (23პ), 2:1 ს. ინძაგი (29პ), 2:2 ედმუნდო (40პ), 3:2 კრისტალინი (58), 4:2 პიოვანი (89)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, დელი კარი, მანიგეტი (ლამაში 71), ბუზო, კრისტალინი, მაცოლა, სტროპა, ს. ინძაგი (დიონიჯი 79), რასტელი (პიოვანი 75)
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე (კოისი 33), პადალინო, რეპკა, ტორიჩელი, ამოროზო (რობიატი 69), რუი კოშტა, ჰაინრიხი, ედმუნდო, ბატისტუტა, ოლივეირა (ესპოზიტო 63)
გაფრთხილება: დელი კარი, რუი კოშტა, კრისტალინი, ოლივეირა, კოისი, ს. ინძაგი, მანიგეტი, ტორიჩელი
გაძევება: დიონიჯი (89)
მსაჯი: რაკალბუტო

**ბარი 0:0 მილანი**

ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ინოკენტი, დე ასკენტისი, ძამბროტა, დ. ანდერსონი, მარკოლინი, ბრეშანი, ოსმანოვსკი (მადსენი 65), მასინგა
მილანი: როსი, სალა (აიალა 81), კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ბობანი, ციგე (ბა 44), განცი (ლეონარდო 55), ბირჰოფი, ვეა
გაფრთხილება: სალა, ბობანი, კოსტაკურტა
მსაჯი: ჩეკარინი

**პარმა 4:1 უდინეზე**

1:0 კრესპო (3), 1:1 ამოროზო (35), 2:1, 3:1 კრესპო (36, 65პ), 4:1 სტანიჩი (86)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი (მუსი 73), კანავარო, ფიორე, ბოგოსიანი, დ. ბაჯო, ბენარივო, ვერონი, კრესპო (ჯუნტი 89), კიეზა (სტანიჩი 82)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჯანიკედა, იორგენსენი (ნავასი 46), აპია (ლოკატელი 60), ვალემი, ბაკინი, სოსა (პოჯი 60), ამოროზო
გაფრთხილება: კიეზა, ამოროზო, პიერინი, ბერტოტო
მსაჯი: ბორიელო

**ინტერი 3:0 სამპდორია**

1:0, 2:0 ჯორკაეფი (6პ, 17პ), 3:0 სამორანო (79)
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, კოე (სილვესტრი 75), ვინტერი (დაბო 56), სიმეონე, ჯორკაეფი, ვენტოლა (რ. ბაჯო 46), სამორანო
სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 43), საკიჩი, ფრანჩესკეტი (ვერგასოლა 71), გრანდონი, ბალერი, ფიკინი, ლაილი (კატე 71), კასტელინი, პეკია, ორტეგა, პალმიერი
გაფრთხილება: ლაილი, კოლონეზე
მსაჯი: ტრენტალანგი

**ემპოლი 2:1 კალიარი**

1:0, 2:0 დი ნაპოლი (22პ, 63), 2:1 მუცი (94)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ლუკენტი (კრიბარი 79), პანე, მორონე, ტონეტო, დი ნაპოლი (ზალაიეტი 84), კარპარელი (ბონომი 77), მარტუშელო
კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონკელი, გრასადონია, ბერეტა (ძანეტი 81), ონილი, დე პატრე, მაკელარი, ვაზარი (მაცეო 61), კალონი (კავეცი 70), მუცი
გაფრთხილება: მარტუშელო, ვაზარი, მორონე, დე პატრე
გაძევება: დე პატრე (72), მორონე (72)
მსაჯი: დე სანტისი

**სალერნიტანა 2:0 პერუჯა**

1:0, 2:0 დი ვაიო (56, 91)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ფრეზი, ფუსკო, ტოსტო, გატუზო, ბრედა, ჯია ტოდესკო (ვანუჩი 67), ჯამპაოლო (დი მიკელე 52), დი ვაიო, ბელმონტე (ბერნარდინი 86)
პერუჯა: როკატი, ზე მარია, რივასი, მატრეკანო, კოლონელო, პეტრაკი (სტრადა 62), ნაკატა, ოლივე, კამპოლო (ჯიო ტოდესკო 74), რაპაიჩი, მელი (ბუჩი 70)
გაფრთხილება: დი ვაიო, გატუზო, ოლივე, პეტრაკი, რივასი
მსაჯი: კოლინა



რომა — იუვენტუსი. ტურინელი ანჯელო დი ლივიო (№7) თავგანწირულად იბრძვის

გაისად, 21 მარტს, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ დიდი ომია მოსალოდნელი. ეს იქნება იტალიის პირველობის 26-ე ტურის შეხვედრა. „იუვენტუსი“ „რომას“ უმასპინძლებს.

ყველაფერი კრეატინის ბრალია. კრეატინი კი წამალია, რომლის შესახებაც ზაფხულიდან მოყოლებული, ბევრი ითქვა და თავიდან მასზე „რომას“ ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა ჩამოაგდო სიტყვა.

უამრავჯერ გამეორებულს ვრცლად აღარ დავუბრუნდებით. მოკლედ გავიხსენებთ, რომ გასულ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ზემანის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გაიჟღერა ჩივილმა, სერია A-ს ფეხბურთელთა შორის ბევრი დოპინგს ეტანებაო. იქვე დაკონკრეტდა, რომ სხვადასხვა მედიკამენტებს განსაკუთრებით ტურინის „იუვენტუსის“ მოთამაშეები ეძალებიან და კონკრეტულად ალესანდრო დელ პიეროს დაკუნთულ სხეულს მიადგა ეჭვის ჩრდილი. საუბარი იყო „იუვეს“ ყოფილ თავდამსხმელზე, ჯანლუკა ვიალიზეც, დღეს ლონდონის „ჩელსის“ რომ წვრთნის, მაგრამ ვინაიდან ვიალი იტალიიდან შორსაა, მასზე ერთი-ორი ითქვა და მორჩა, სხვებზე კი...

ზემანის ინტერვიუს მოჰყვა სკანდალი, დაკითხვები, პროკურატურაში სირბილი, იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა, კრიეტინის დასახელების ამოტივტივება და „რომა“ — „იუვენტუსის“ მატჩი.

ამრიგად, რომის „სტადიო ოლიმპიკომ“ მე-9 ტურში უმასპინძლა შეხვედრას, რომელმაც თავისთავადი ინტერესისა და დაძაბულობის გარდა კრეატინის ელფერიც შეიძინა. ამას, თამაშის წინა დღეებში, ზედ ზემანის ახალი ინტერვიუც დაერთო. ამჯერად ჩეხს დელ პიეროს საეჭვოდ დაკუნთულ სხეულზე აღარ უსაუბრია, მაგრამ თქვა ასეთი ფრაზა: „იუვენტუსმა“ ძველებური სტილი და სახე დაკარგაო. ზემანზე ისედაც გაავებულ „ბებერ ქალბატონს“ ეს სიტყვები ეკლად ესო.

— ზემანს უფლება არა აქვს „იუვენტუსის“ სტილზე ილაპარაკოს. ის ჩვენი სამყაროს წევრი არასდროს ყოფილა — გაბრაზდა ტურინელთა გენერალური მენეჯერი, წარსულში ცნობილი იტალიელი თავდამსხმელი რობერტო ბეტეგა. რაც ყველაზე გასაკვირია შეხვედრის დამთავრების შემდეგ ბეტეგა „იუვენტუსის“ სეზონში მეორე მარცხის მიზეზებზე საუბრის მაგივრად ზემანზე და მის უფლებებზე ცხარობდა.

პირველად, ახალ ჩემპიონატში, „ბებერმა ქალბატონმა“ პარმაში, მესამე ტურის შეხვედრაში იწვნია მარცხი.

რა გამოვიდა? ზემანმა „იუვენტუსზე“ ათასი მწარე რამ თქვა, მერე კი უშუალო შეხვედრაც მოუგო. თავმოყვარე „ქალბატონი“ ასეთ დამცირებას ვერ შეეგუება და ამიტომაც მოუთმენლად დაელოდება 21 მარტს, მაგრამ სანამ გაზაფხულდება, უეჭველად გულში ჩაიხვევს დედაქალაქში მომხდარს.

ან კი, როგორ გინდა გულში არ ჩაიხვიო, როდესაც დისკვალიფიცირებული მწვრთნელი ტრიბუნაზე გიზის, ვარსკვლავი საავადმყოფოში გყავს, მოწინააღმდეგე კი მოგდგომია და გიგებს. აბაო, იტყვის „ბებერი ქალბატონი“. მარჩელო ლიპი რომ თავის ადგილას მჯდარიყო, დელ პიეროს კი თავის ადგილას ერბინა, ვნახავდით ვინ ვის დასცინებდაო. თანაც, მეორე ტაიმის პირველ მონაკვეთში, ტურინელი ურუგვაელი პაოლო მონტერო რომაელი ბრაზილიელის პაულო სერჟიოს იდაყვით მასპინძლობისთვის მოედნიდან გააძევეს.

და მაინც, „იუვენტუსს“ ანგარიშის გახსნა შეეძლო. მესამე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მისი ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი რომაელთა დაცვის შუაში ჯიქურ შეიჭრა, მაგრამ რატომღაც ულონოდ დაარტყა და ბურთი მეკარის ანტონიო კიმენტის იოლ ლუკმად აქცია.

30-ე წუთზე საქმეში სერიოზულად ჩაერთო „იუვეს“ გოლკიპერი ანჯელო პერუციც. დაახლოებით 20 მეტრიდან დაურტყა მარკო დელვეკიომ, ის კი ამ დარტყმულს უკან დაუხვდა — ბურთი ხარიხას მიღმა გადააგდო.

ტურინელთა სამწუხაროდ პერუციმ ზედ შესვენების წინ ველარ მოახერხა იგივე და პაულუ სერჟიოს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა.

მეორე ტაიმში „ბებერი ქალბატონი“ სახეშეცვლილი გავიდა მოედანზე. გამოჩნდნენ ფრანგი დიდე დეშამპი და ურუგვაელი დანიელ ფონსეკა — „რომას“ ყოფილი თავდამსხმელი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეს ფეხბურთელები დღეს ცუდ ფორმაში არიან, მაგრამ იმედი ისეთი რამაა... იმედი სტუმრებს მაშინაც არ მოუკვდათ, მოედნიდან მონტერო რომ გაუძევეს. აბა, რათა „იუვენტუსი“ იქნებოდა, ბედს რომ შეგუებოდა, ოღონდ ბურთის ძელისთვის გარტყმა მხოლოდ ლამაზია, შედეგი კი არ ახლავს. 77-ე წუთი იყო ფონსეკამ ჯარიმიდან ძელი რომ შეარყია.

გადიოდა წუთები. „რომა“ „იუვენტუსთან“ 1995 წლის მერე პირველ გამარჯვებას უახლოვდებოდა, მაგრამ მაინც არ ჰქონდა გული საგულეს. წერტილი ფრანგმა ვინსენტ კანდელამ დასვა. ის ალესანდრო ბირინდელის გაცდა და პერუცის ახლო კუთხეში შეუგდო ბურთი.

„იუვენტუსი“ წაფორხილდა, მაგრამ წაფორხილდა ლიდერიც: „ფიორენტინამ“ პიაჩენცაში წაგო. სხვათა შორის, ფლორენციელებს აგერ უკვე მესამე სტუმრობა ხელი ეცარებათ. ჯერ „რომასთან“ დამარცხდნენ 1:2, მერე „პარმასთან“ 0:2, ახლა კი „პიაჩენცას“ დაუტოვეს სამი ქულა. თანაც, დახეთ, „რომ“ „რომაა“, „პარმ“ — „პარმ“, „პიაჩენცა“ კი არც ერთი და არც მეორე. ეტყობა, მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის გვარიანი დაფიქრება მოუწევს.

მრავლისმომსწრე, დიდმა მწვრთნელმა, ჯერჯერობით ფეხბურთელები გააკრიტიკა. „პიაჩენცასთან“ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ გუნდის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე საძაგლად მოქმედებდა.

შესვენებამდე სტუმრები კიდევ უძალიანდებოდნენ მასპინძლებს, მასიმო რასტრელისა და სიმონე ინძაგის პენალტებს პორტუგალიელმა რუი კოშტამ და ბრაზილიელმა ედმუნდომ გოლებითვე უპასუხეს, მაგრამ მეორე ტაიმში პაოლო კრისტალინის და ჯამპიეტრო პიოვანის შედეგიან დარტყმებს ველარაფერი დაუპირისპირეს.

ალფრედო ტრენტალანემ კი მილანის „ინტერს“, რაც შვიდი დღის წინ დააკლო, ორგზის აუნაზღაურა. ტრენტალარე სწორედ ის მსაჯი გახლავთ, რომელმაც წინა ტურში, „სან სიროს“ დერბის დროს, „მილანის“ სასარგებლოდ „ინტერის“ კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. ცხარობდა მაშინ შავ-ლურჯთა თავკაცი ჯიჯი სიმონი, მსაჯები წინასწარი განწყობით ემსახურებიანო მატჩებს.

ვითომ მართალი იყო? ყოველ შემთხვევაში ფაქტია, „სამპდორიას“ კარში ტრენტალანემ „ინტერის“ სასარგებლოდ ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა. ორივე ყალმუხური წარმოშობის ფრანგმა მილანელმა, იური ჯორკაეფმა გაიტანა.

მესამე გოლი ჩილელმა ივან სამორანომ შეაგდო, „ინტერმა“ ხუთ მატჩში როგორც იქნა პირველად გაიმარჯვა.

„ვენეციაში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ტუტამ „სანტელენაზე“ მეოთხე წუთზევე გახსნა ანგარიში და დედაქალაქის „ლაციოს“ საქმე გასათანაბრებლად გაუხადა.

გათანაბრებას ვინ ჩივის, 39-ეზე ფრანჩესკო პედონეს დარტყმულმაც მიაღწია მიზანს და ვენეციელებმა სერია A-ში დაბრუნების შემდეგ პირველი მოგება ჩაიწერეს.

„ბოლონიაში“ გადასული ყოფილი ლაციოელი ჯუზეპე სინიორი, ეტყობა, ძველებურად ათამაშდა — „ვიჩენცას“ კარში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ვიჩენცელი დავიდე ბელოტიც სინიორის წაქცევისთვის გააძევეს მოედნიდან და სხვათა შორის, იმ ეპიზოდში დანიშნული საჯარიმო სინიორიმ თავისი მეორე გოლის გასატანად გამოიყენა. სტუმრების მეოთხე გოლი კი რუსმა იგორ კოლივანოვმა შეაგდო.

ჰეთ-თრიკი შეასრულა „პარმის“ არგენტინელმა მოთამაშემ ერნან კრესპომაც. მან „უდინეზე“ დაიფრინა, ხოლო „ემპოლის“ ახალმა შენაძენმა არტურო დი ნაპოლიმ „კალიარის“ კარში შეგდებული ორი ბურთით გამოიყვანა, რომ საშუალოდ ოთხი მატჩიდან უგოლოდ ერთიც არ დაუტოვებია.

**პაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 9 | 6 | 0 | 3 | 19:11 | +8 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | +10 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | -2 | 6 |
| 2 | რომა | 9 | 5 | 2 | 2 | 17:8 | +9 | 17 | 5 | 5 | 0 | 0 | 13:2 | +11 | 15 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 3 | იუვენტუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:9 | +3 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 5:0 | +5 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 4 | პარმა | 9 | 4 | 4 | 1 | 11:4 | +7 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | +8 | 13 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 5 | მილანი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | +4 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | +2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | +2 | 8 |
| 6 | ინტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:14 | +3 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | +3 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 7 | ლაციო | 9 | 3 | 4 | 2 | 15:11 | +4 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 |
| 8 | ბოლონია | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | +3 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 8 |
| 9 | ბარი | 9 | 2 | 5 | 1 | 9:8 | +1 | 12 | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | +1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 10 | კალიარი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:14 | +2 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 14:7 | +7 | 11 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | -5 | 0 |
| 11 | პიაჩენცა | 9 | 3 | 2 | 4 | 15:13 | +2 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | +7 | 11 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 |
| 12 | პერუჯა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | -3 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | +3 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 13 | სამპდორია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:18 | -8 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | -13 | 1 |
| 14 | უდინეზე | 9 | 2 | 4 | 3 | 12:16 | -4 | 10 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | +2 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 15 | ემპოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | +2 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | -8 | 1 |
| 16 | ვიჩენცა | 9 | 2 | 3 | 4 | 6:15 | -9 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 |
| 17 | სალერნიტანა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:15 | -9 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | +2 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | -10 | 0 |
| 18 | ვენეცია | 9 | 1 | 2 | 6 | 4:13 | -9 | 5 | 4 | 1 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | -7 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 10 |
| მუცი (კალიარი) | 7 |
| ამოროზო (უდინეზე) | 7 |
| ბირჰოფი (მილანი) | 6 |
| ვენტოლა (ინტერი) | 5 |
| კრესპო (პარმა) | 5 |

X ტური

22 ნოემბერი

ბოლონია - პერუჯა
კალიარი - პარმა
ფიორენტინა - ინტერი
იუვენტუსი - ემპოლი
მილანი - ლაციო
რომა - ბარი
სალერნიტანა - ვენეცია
სამპდორია - ვიჩენცა
უდინეზე - პიაჩენცა

## სერია B

X ტური

**ტორინო 1:2 პესკარა**

0:1 ესპოზიტო (4), 1:1 არტისტიკო (67პ), 1:2 ჯელსი (84პ)

**ტერნანა 2:2 რავენა**

1:0 ბორგობელო (9პ), 2:0 ფაბრისი (11), 2:1 სილენცი (21), 2:2 ბილიოტი (76)

**რეჯანა 1:1 კიევო**

1:0 ალოიზიო (68), 1:1 ვერონეზე (93)

**ლუკეზე 2:2 ლეჩე**

1:0 ბეტონი (34), 1:1, 1:2 სესა (40, 59), 2:2 კოლაკონე (92)

**ჯენოა 4:1 კრემონეზე**

1:0 ფრანკიოზო (50), 2:0 ვუკოია (64), 3:0 ფრანკიოზო (83), 3:1 პიცი (88), 4:1 ვუკოია (91პ)

**ფ. ანდრია 1:3 ტრევიზო**

0:1 მ. როსი (5), 1:1 ტოდესკო (23), 1:2 ბორტოლუცი (47), 1:3 ბეგეტო (56)

**ჩეზენა 0:2 რეჯინა**

0:1, 0:2 არტიკო (3, 23)

**ბრეშა 0:0 ნაპოლი**

**კოზენცა 2:3 მონცა**

0:1 მონტალბანო (26ს.კ.), 1:1 ტატი (34პ), 1:2 კორდონე (69), 2:2 დი ჯანატალე (75), 2:3 კრისტიანო (93)

**ვერონა 1:0 ატალანტა**

1:0 მარასკო (12)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 10 | 7 | 3 | 0 | 17:7 | 24 |
| ვერონა | 10 | 7 | 2 | 1 | 19:8 | 23 |
| ტორინო | 10 | 6 | 1 | 3 | 17:8 | 19 |
| რავენა | 10 | 5 | 3 | 2 | 15:14 | 18 |
| პესკარა | 10 | 5 | 2 | 3 | 15:11 | 17 |
| ლეჩე | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | 15 |
| ბრეშა | 10 | 3 | 5 | 2 | 8:5 | 14 |
| რეჯინა | 10 | 3 | 4 | 3 | 12:11 | 13 |
| ატალანტა | 10 | 3 | 4 | 3 | 5:6 | 13 |
| მონცა | 10 | 3 | 4 | 3 | 7:9 | 13 |
| ტერნანა | 10 | 3 | 4 | 3 | 10:13 | 13 |
| კოზენცა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:10 | 12 |
| ნაპოლი | 10 | 2 | 6 | 2 | 7:7 | 12 |
| ჟენოა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | 12 |
| კრემონეზე | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | 12 |
| კიევო | 10 | 3 | 2 | 5 | 7:11 | 11 |
| რეჯანა | 10 | 2 | 4 | 4 | 10:12 | 10 |
| ფ. ანდრია | 10 | 1 | 3 | 6 | 5:14 | 6 |
| ლუკეზე | 10 | 0 | 5 | 5 | 4:9 | 5 |
| ჩეზენა | 10 | 0 | 4 | 6 | 5:15 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთხილად, ქვას არ წამოედროთ!

## ესპანეთი

### X ტური

### რეალი 1:2 სელტა

0:1 პენევი (22პ), 0:2 მაკელელე (54), 1:2 რობერტო კარლოსი (62)
75-ე წუთზე შუკერმა (რეალი) ვერ გაიტანა პენალტი.
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, სანჩისი, პანუჩი (როხასი 61), სანსი, იარნი (შუკერი 61), რედონდო, ზეედორფი (გუტი 54), რაული, მორიენტესი, სავიო
სელტა: დუტრუელი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ბერხესი, ეგენი, მაკელელე, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (ოსკარ ვალესი 84), პენევი (კადეტე 77), სანჩესი (ტომასი 65)
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, სანსი, შუკერი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ეგენი, მაკელელე, მაზინიო, მოსტოვოი
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### რასინგი 4:1 სალამანკა

1:0 შუსტიკოვი (7), 2:0, 3:0 ვიქტორი (43, 56), 3:1 ლორენი (70), 4:1 ვიქტორი (73პ)
რასინგი: სებალოსი, არსენო, ნერუ, მერინო, ტაისი, ვივარ დორადო, ვიქტორი, შუსტიკოვი (კოლსა 86), ჩემა, მუნიტისი (პრესიადო 80), ბესჩასტნიხი (ხელი 80)
სალამანკა: სტელეა, ლეო რამოსი, კორინო, ლორენი, ლანა, ტაირა, ედუ ალონსო, ჯოვანელა, კასარტელი, კარდეტი (სილვანი 75), ველისკა (ლუნარი 68)
გაფრთხილება: მუნიტისი, ლეო რამოსი
გაძევება: ლეო რამოსი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ბეტისი 1:0 სოსიედადი

1:0 ფერნანდო (5)
ბეტისი: პრატსი, აიალა, ლუის ფერნანდესი, ოტერო, სოლოსაბალი, ბენჟამინი (კანასი 71), იტო, ფერნანდო (მერინო 78), ფინიდი, დენილსონი, ოლი (ივან პერესი 65)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ანტია, ლოპეს რეკარტე, გომესი, დე პედრო, დე პაულა, კუხბაუერი (ცვიტანოვიჩი 69), იდიაკესი, სა პინტუ
გაფრთხილება: ოლი, კუხბაუერი, სა პინტუ
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### დეპორტივო 2:2 ალავესი

1:0 პაულეტა (12), 1:1 კანაბალი (31), 2:1 პაულეტა (54), 2:2 პაბლო გომესი (79პ)
დეპორტივო: სონგო, რომერო, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჯალმინია (პაჯი 80), მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო (ზიანი 70), დონატო, ტურუ ფლორესი (ბასირი 58), პაულეტა
ალავესი: კიკე, ივან როჩა, კარმონა, ბერუე (ხოსეტე 65), იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი, გერარდი (ასკოიტია 61), დესიო, მორალესი, მანიო (სივორი 72)
გაფრთხილება: კონსეისაო, ბერუე, ასკოიტია, დესიო, მორალესი
მსაჯი: დიას ვეგა

### ვილიარეალი 2:1 ატლეტიკო

1:0 კრაიოვეანუ (19), 1:1 ჟუნინიო (52პ), 2:1 მოიზესი (61)
55-ე წუთზე ჟუნინიომ (ატლეტიკო) ვერ გაიტანა პენალტი.
ვილიარეადი: პალოპი, სერერი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი, გერარდო, კრაიოვეანუ (პრატსი 76), ალფარო, მოიზესი (სალილასი 89)
ატლეტიკო: მოლინა, სერენა, ტორიზი, შამოტი, ტონი, ვალერონი, რობერტო (კორეა 73), ჟუნინიო, ლარდინი (ხოსე მარი 46), ბეიბლი (მენა 46), კიკო
გაფრთხილება: რობერტო, ალბელდა, კრაიოვეანო, მოლინა, შამოტი, ტონი, ვალერონი, მენა, კიკო
გაძევება: ჟუნინიო
მსაჯი რიტო არსეო

### ბილბაო 3:5 ოვიედო

1:0 ურუტია (10), 2:0 ლაკრუსი (16), 2:1 სეზარი (23), 2:2 ლასა (54 ს.კ.), 2:3 ივან იგლესიასი (63), 2:4 დელი ვალდესი (75), 3:4 ესკუერო (82), 3:5 ივან ანია (89პ)
ბილბაო: ვალენსია, ლარასაბალი (ესკუერო 64), ლაკრუსი (ხავი გონსალესი 68), ფერეირა (ლასა 50), რობერტო რიოსი, ურუტია, გერერო, კარლოს გარსია, ალკისა, ხ. ეჩებერია, ურსაისი
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ნადი, ივან იგლესიასი (ესკურსა 82), პომპეი, პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია (მიოლერი 90), დელი ვალდესი (მორენო 89)
გაფრთხილება: ლასა, კარლოს გარსია, ივან ანია
გაძევება: რობერტო რიოსი
მსაჯი: პერეს ბურული

### ბარსელონა 4:1 ტენერიფე

1:0 კოკუ (14), 1:1 მაკაი (45), 2:1 კოკუ (63), 3:1 რივალდო (83), 4:1 ანდერსონი (89)
90-ე წუთზე მაკაიმ (ტენერიფე) ვერ გაიტანა პენალტი.
ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო (ოკუნოვო 46), სერხი, რაიციგერი, ხავი, კოკუ, ფიგუ, ჯოვანი (ზენდენი 61), სელადესი, კლუივერტი, რივალდო (ანდერსონი 87)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, პაბლო პასი, მატა, ანდრე ლუისი, ემერსონი, დანი, სლოვაკი, რობაინა (მარსელინო 82), მაკაი, დომინგუში
გაფრთხილება: პაბლო პასი, ემერსონი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ვალიადოლიდი 1:0 მალიორკა

1:0 პეტერნაკი (18)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, სანტამარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, ტორეს გომესი, ჩემა (ეუსებიო 78), პეტერნაკი (ალბერტო 87), ვიქტორი, კლიმოვიჩი (კამინერო 64)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი (ჩუპა ლოპესი 89), მარსელინო, კარერასი (არპონი 62), ოლაისოლა, იბაგასა, ლორენი, ენგონგა, ბიაჯინი, დანი
გაფრთხილება: სანტამარია, პეტერნაკი, მ. სოლერი
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ესტრემადურა 1:0 ვალენსია

1:0 ტორილი (60)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ბელენგუერი, კალა, ფელიქსი, ოსკარი, ხუანიტო, კოლი, ტონი (ბოგდანოვიჩი 76), ტორილი (სოტო 64), დურე, მანუელი (პედრო ხოსე 73)
ვალენსია: კანისარესი, ტოლესი, როში, კარბონი, სორია, შვარცი, მენდიეტა, მილა (პოპესკუ 68), კ. ლოპესი, ილიე, ანგულო (ლუკარელი 67)
გაფრთხილება: ფელიქსი, ოსკარი, პედრო ხოსე, როში, ილიე, ლუკარელი, პანგულო
მსაჯი: ესკინას ტორესი

### სარაგოსა 0:3 ესპანიოლი

0:1 კაპდევილა (62), 0:2 ნანდო (67), 0:3 ესნაიდერი (68პ)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, პაბლო, სოლანა, აგუადო, არაგონი, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, ჯამელი, მარკოს ვალესი, გ. ლოპესი (ხოსე იგნასიო 50)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი (დე ლუკასი 76), ნანდო, ივან ელგუერა, ვილა, კაპდევილა, ბრნოვიჩი (ნან რიბერა 46), არტიაგა, ესნაიდერი, ბენიტესი (სერჯიო 71), კიკე მარტინი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, გ. ლოპესი, დე ლუკასი, კრისტობალი, ვილა, ნან რიბერა, ესნაიდერი
გაძევება: სოლანა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

ადრეც გვითქვამს და ახლაც დადასტურდა — ესპანეთის ჩემპიონატში ტური არ ჩაივლის ისე, პირველობის ლიდერი არ შეიცვალოს. ახლაც ასე მოხდა — ერთმა შინ წააგო, მეორემ სტუმრად, მესამემ ფრედ ითამაშა, ამით კი მადრიდში გამარჯვებულმა ვიგოს „სელტამ“ ერთბაშად აინაცვლა და ლიდერობას შესწვდა. იქ ცხრილის თავში, ისეთი დაძაბული ვითარებაა, მომავალ ტურში, შესაძლებელია „სელტა“ სხვამ შეცვალოს.



ბილბაო — ოვიედო..„სან მამესზე“ მასპინძელი ბასკები ძალიან დაძაბულ შეხვედრაში დამარცხდნენ

REUTERS ბილბაოდან

მადრიდში გალისიელებთან მარცხი ტრაგედიად აღიქვეს. ცოტა ხნის წინ „რეალს“ ბრწყინვალე ორკვირეული ჰქონდა, მეტოქეს მეტოქეზე ანადგურებდა, მაგრამ მერე თამაშს მაშინ უკლო, როცა „სელტამ“ უფრო და უფრო მოუმატა. მადრიდული პრესა იმასაც წერდა, ვინძლო ჰიდინკის დაუძლურებულ „რეალს“ ქვაზე ფეხი დაუცურდესო. ქვად „სელტას“ განიხილავდნენ.

— ის, რაც დღეს მე ვიხილე, გუნდი არ იყო. დანამდვილებით გეტყვით — ეს არ არის მადრიდის „რეალი“ — განაცხადა გუს ჰიდინკმა მას შემდეგ, რაც „რეალი“ მშობლიურ სტადიონზე „ქვას წამოედო“. გუნდს კისერი არ მოუტეხია, მაგრამ გვარიანად კი დაიჟეჟა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, „სელტას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არ მოუგია. სამეფო კლუბი გალისიელებს მუდამ სჯაბნიდა, მაგრამ შაბათს მოხდა ისე, რომ მოძლიერებულმა სტუმრამ დასნეულებული მასპინძელი იხილა და მოუგო. „რეალმა“ მართლაც ცუდად ითამაშა. „სელტა“ დამხვდურს სჯობდა და ამიტომაც იმარჯვა.

შრომას და გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია — წითლებმა, „სელტას“ ფეხბურთელებმა, თეთრებს, მადრიდელებს სძლიეს. „სანტიაგო ბერნაბეუ“ მსოფლიოში ერთ-ერთი ბრწყინვალე სტადიონია, მაგრამ შაბათს მინდორზე „რეალი“ კენჭებს აწყდებოდა, რომელიც მოგვიანებით დიდ ქვად გადაიქცა. სწორედ იმ ქვაზე დაუცდათ მასპინძლებს ფეხი. „რეალი“ დაეცა — ლუბოსლავ პენევის და კლოდ მაკელელეს მიერ ილგნერის კარში გატანილმა ორმა გოლმა მასპინძლებს სამი ქულა წაჰგვარა.

მასპინძელთაგან ყველაზე ძლიერად რობერტო კარლოსი დაცურდა ქვაზე — ჯერ იყო და ბრაზილიელმა საჯარიმოში შეჭრილი კონგოელი თავდამსხმელი კლოდ მაკელელე დასცა ხასხასა მინდორზე, რის გამოც ერთ წუთში ილგნერმა პენალტიდან დარტყმული გაუშვა, მეორე ტაიმში კი თავის ფლანგზე კარლოსმა რუსი ვალერი კარპინი მიატოვა, რომლის ზუსტად ჩაწოდებული ბურთი მაკელელემ კარში მოათავსა. ის გოლი, 62-ე წუთზე უძლიერესი დარტყმის პატრონმა ბრაზილიელმა რომ გაიტანა, მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ კლუბისთვის...

ძნელია დაბნეული გუნდისგან რაიმე კარგს ელოდე. მადრიდელები ერთი ბურთით აგებდნენ, საშინლად თამაშობდნენ, მაგრამ პენალტის დარტყმის უფლება მაინც მოიპოვეს. მატჩის დასასრულამდე 13 წუთით ადრე მიჩელ სალგადომ მასპინძელთა კიდევ ერთი ბრაზილიელი სავიო წააქცია იქ სადაც უხეშობა უმკაცრესად ისჯება და მსაჯმაც, ბუნებრივია, სტუმრები სასჯელის უმაღლესი ზომით დასაჯა. ხორვატ დავორ შუკერს განაჩენის სისრულეში მოყვანა შეძლო, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა — პენალტი ვერ გაიტანა.

ასევე ქვაზე დაუცდა ფეხი „მალიორკას“. ვალიადოლიდს, უფრო კონკრეტულად კი „ესტადიო ნუევო ხოსე სორილას“ ესპანეთის სუპერთასის მფლობელნი პრიმერა დივიზიონის ლიდერის რანგში ესტუმრნენ, მაგრამ შეხვედრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი მესამე ადგილზე დაქვეითებულიყვნენ.

„სელტას“ დარად „მალიორკაც“ დაუმარცხებლად მიუყვებოდა ჩემპიონატის გზას, მაგრამ, ვიგოელთაგან განსხვავებით, ექტორ კუპერის ბიჭებმა უძლეველის სახელი მეათე ტურში დათმეს — მასპინძელმა „ვალიადოლიდმა“ მეტოქეზე კარგად ნამდვილად არ ითამაშა, უბრალოდ, შეხვედრაში გასული ერთადერთი გოლი მათ გაიტანეს და საქმეც ასე დასრულდა.

თუ მადრიდში რობერტო კარლოსი დაცურდა ქვაზე და შედეგად მთელი გუნდი დავარდა, „ვალიადოლიდში“ ეს „მისია“ მალიორკელთა არგენტინელმა მეკარემ კარლოს როამ „იკისრა“ — მე-18 წუთზე მან ხორვატი ალენ პეტერნაკის თავური დარტყმისას ბურთი ხელთ ვერ იგდო. გაუშვა გოლი, რომელიც საათნახევრის მანძილზე ერთადერთი აღმოჩნდა.

— ქომაგების გახარება გვსურდა და, მგონი, შევძელით კიდეც. მიხარია, რომ „ვალიადოლიდმა“ ჩემპიონატის ლიდერი ჩემი გოლით დაამარცხა — 26 წლის პეტერნაკი ჟურნალისტებთან უჩვეულოდ დიდხანს გაჩერდა. თუ რატომ, ამას, ვფიქრობ, ახსნა არ სჭირდება.

ისევ და ისევ იმ ავადსახსენებელ ქვას მივადექით. „რეალი“ იყო და სწორედ იმ ქვას წამოედო და დაეცა, „მალიორკასაც“ იგივე დაემართა. „დაზარალებულთა“ რიცხვი ესტრემადურაში, ფრანსისკო დე ლა ერას სახელობის ცამეტათასიან, კოხტა სტადიონზე გასამდა. ამჯერად ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო სამი შეხვედრის დიდი ანგარიშით მომგები „ვალენსია“ წამოედო ქვას და დავარდა.

— ძალიან, ძალიან გაბრაზებული ვარ. სიტყვებსაც ვერ ვპოულობ ჩემი გუნდის მარცხის ასახსნელად. ეს პირადად ჩემთვის ტრაგედიაა. ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ასეთ უბადრუკი და დაბეჩავებული „ვალენსიას“ ხილვას ნამდვილად არა — დამარცხებული იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ცოფებს ჰყრიდა. „ვალენსიამ“ ჩემპიონატის აუტსაიდერთან მართლაც სამარცხვინოდ ითამაშა.

მას შემდეგ, რაც მსაჯის საათზე დიდმა ისარმა ერთი წრე შემოხაზა, „ვალენსიამ“ წაიბორძიკა და დავარდა — ხოსე ალბერტო ტორილმა არ დაახანა, მეტოქეებზე მაღლა ახტა, ბურთს შეწვდა და კანისარესის კარში გადაგზავნა — 1:0.

– შეიძლება, ქვას ფეხი წამოჰკრა და ისე დავარდე, კარგა ხანი ველარ ადგე. შეიძლება, ფეხზე წამოსადგომად სხვების დახმარება დაგჭირდეს, ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი სამუდამოდ დავარდნილი დარჩე. თუმცა ჯობს, ისევ კარგზე ვილაპარაკოთ. აი, მაგალითად, ყველაზე უკეთესია, როცა შენთვის ისე მიდიხარ, არც ქვას ედები და არც სხვა რამეს.

სუფთად გასვლა ამ ტურში გამარჯვებულთაგან ყველაზე უკეთ ბარსელონელებმა მოახერხეს. „ესპანიოლმა“ სარაგოსაში დასცა მასპინძელი, „კამპ ნოუზე“ კი ლურჯ-წითლებმა კანარელები არ გაახარეს.

ბრწყინვალედ ითამაშა ჰოლანდიელმა ფილიპ კოკუმ, რომლის ორმა, საკმაოდ თვალსაჩინო გოლმა „ბარსელონას“ გამარჯვებას ჩაუყარეს საფუძველი. ჯერ იყო და კოკუმ შორიდან უძლიერესად და, რაც მთავარია, შედეგიანად დაარტყა, მოგვიანებით კი, როცა სტუმრებს მისი პირველი გოლის გაქვითვა მოესწროთ, საშინელი ძალის თავური დარტყმით კვლავ დააწინაურა „ბარსელონა“. ბოლო ორი გოლი კატალონიელთა ბრაზილიელმა ლეგიონერებმა გაიტანეს.

თუ „კამპ ნოუზე“ „ტენერიფე“ თავიდან წაიქცა, მაგრამ მერე ცოტა ხნით ისევ წამოდგა, სარაგოსაში, „ესტადიო ლა რომარედაზე“, მასპინძლები ერთი საათის შემდეგ ისე დაენარცხნენ, ველარც ადგნენ. „სარაგოსამ“ ექვს წუთში სამი გოლი გაუშვა — ასეთი რამ წლევანდელ პირველობაზე არ მომხდარა.

ლაშა გოდუაძე

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სელტა | 10 | 5 | 5 | 0 | 20:9 | +11 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | +7 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | +4 | 9 |
| 2 | ბარსელონა | 10 | 5 | 4 | 1 | 20:11 | +9 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | +7 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | +2 | 8 |
| 3 | მალიორკა | 10 | 5 | 4 | 1 | 12:4 | +9 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | +8 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 4 | რეალი | 10 | 5 | 3 | 2 | 23:15 | +8 | 18 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 5 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | +7 | 13 |
| 5 | ვალენსია | 10 | 5 | 0 | 5 | 16:12 | +4 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | +7 | 12 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:8 | -3 | 3 |
| 6 | ვალიადოლიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | +2 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | +4 | 13 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 7 | ოვიედო | 10 | 4 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 15 | 5 | 2 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 5 |
| 8 | რასინგი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:14 | 0 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | +6 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 9 | სარაგოსა | 10 | 5 | 0 | 5 | 16:17 | -1 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | -3 | 6 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | +2 | 9 |
| 10 | ატლეტიკო | 10 | 4 | 2 | 4 | 15:13 | +2 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | +10 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 |
| 11 | დეპორტივო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:10 | +2 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | +6 | 11 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 12 | ესპანიოლი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:12 | 0 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 |
| 13 | სოსიედადი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:17 | -3 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 14 | სალამანკა | 10 | 3 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | -11 | 1 |
| 15 | ბეტისი | 10 | 3 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 4 |
| 16 | ვილიარეალი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | -2 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | +3 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | -5 | 2 |
| 17 | ტენერიფე | 10 | 2 | 4 | 4 | 15:18 | -3 | 10 | 5 | 0 | 4 | 1 | 7:8 | -1 | 4 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | -2 | 6 |
| 18 | ბილბაო | 10 | 3 | 1 | 6 | 16:20 | -4 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | +1 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 3 |
| 19 | ალავესი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:12 | -5 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | -1 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 20 | ესტრემადურა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:18 | -12 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 6 |
| ვიქტორ სანჩესი (რასინგი) | 6 |
| მაკაი (ტენერიფე) | 6 |

### XI ტური

22 ნოემბერი

დეპორტივო - ვილიარეალი
ატლეტიკო - ვალიადოლიდი
მალიორკა - ბარსელონა
ტენერიფე - ბილბაო
ოვიედო - ბეტისი
სოსიედადი - სარაგოსა
ესპანიოლი - რასინგი
სალამანკა - ესტრემადურა
ვალენსია - რეალი
ალავესი - სელტა

## მეორე დივიზიონი

### XII ტური

### ეიბარი 2:1 ორენსე

1:0 აიტორ აგირე (29), 1:1 ლამბეა (46პ), 2:1 სუკია (86)

### ბარსელონა B 0:2 ლეგანესი

0:1, 0:2 ხოსე მარი (2, 18)

### ლას პალმასი 1:1 კომპოსტელა

1:0 სოკორო (20), 1:1 მაურისიო (85)

### რაიო 2:1 ლოგრონიესი

1:0 ტიაგო (5), 2:0 მიჩელ II (67), 2:1 მუნისი (69 ს.კ.)

### ატლეტიკო B 2:2 ლეიდა

1:0 სეკუიროსი (15), 1:1 ტამუდო (34), 1:2 ესკოდა (55), 2:2 რამონი (66)

### მალიორკა B 0:3 ნუმანსია

0:1 ხავი მორენო (22), 0:2 ინაკი (49), 0:3 მორანი (64)

### ოსასუნა 1:0 მალაგა

1:0 ტრესიაკი (29)

### სპორტინგი 2:2 სევილია

0:1 პაკო პენა (46), 0:2 გლუშევიჩი (50), 1:2 კრისტალდო (55), 2:2 ტაკისი (76)

### ტოლედო 1:0 რეკრეატივო

1:0 ლოსადა (34)

### ალბასეტე 0:2 მერიდა

0:1 სინვალი (18), 0:2 ბრაულიო (40)

### ერკულესი 2:0 ბადახოსი

1:0 პაკიტო (5პ), 2:0 ლიედო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 12 | 9 | 3 | 0 | 25:5 | 30 |
| ტოლედო | 12 | 7 | 4 | 1 | 17:7 | 25 |
| რაიო | 12 | 6 | 5 | 1 | 18:14 | 23 |
| სევილია | 12 | 6 | 4 | 2 | 15:9 | 22 |
| ატლეტიკო B | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 21 |
| ოსასუნა | 12 | 6 | 3 | 3 | 13:7 | 21 |
| ლეიდა | 12 | 6 | 3 | 3 | 17:13 | 21 |
| ლას პალმასი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:9 | 20 |
| მალაგა | 12 | 5 | 3 | 4 | 15:15 | 18 |
| კომპოსტელა | 12 | 4 | 5 | 3 | 18:15 | 17 |
| მერიდა | 12 | 4 | 5 | 3 | 12:10 | 17 |
| რეკრიატივო | 12 | 4 | 4 | 4 | 7:7 | 16 |
| ლოგრონიესი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:16 | 16 |
| მალიორკა B | 12 | 4 | 1 | 7 | 17:19 | 13 |
| ორენსე | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | 13 |
| ლეგანესი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:19 | 13 |
| ალბასეტე | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| ერკულესი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:18 | 12 |
| ბადახოსი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:12 | 9 |
| ეიბარი | 12 | 2 | 2 | 8 | 11:21 | 8 |
| სპორტინგი | 12 | 1 | 4 | 7 | 8:19 | 7 |
| ბარსელონა B | 12 | 1 | 3 | 8 | 12:27 | 6 |

# მარსელი!

## საფრანგეთი

XIV ტური

**მარსელი 1:0 ლანსი**
1:0 დიუგარი (31)

**ბორდო 0:0 სოშო**

**რენი 0:0 ლიონი**

**ბასტია 3:1 მონაკო**
1:0 სვიერშევსკი (19), 1:1 ჟიული (57), 2:1 ანდრე (61), 3:1 ნე (73)

**მონპელიე 3:0 ოსერი**
1:0 ტიმოტე (45), 2:0 გრაველენი (60), 3:0 ტიმოტე (78)

**ლე ავრი 0:4 პსჟ**
0:1 ალეერინო (25), 0:2 სიმონე (37), 0:3 პესლეი (40), 0:4 სიმონე (71)

**მეცი 1:0 ნანტი**
1:0 როდრიგესი (83)

**სტრასბური 2:0 ლორიანი**
1:0 რუქსელი (10), 2:0 მარტინსი (45)

**ტულუზი 1:1 ნანსი**
0:1 კასკარინო (62), 1:1 ოსეანუ (88)

საფრანგეთის პირველი დივიზიონის მე-14 ტური შაბათ-კვირას გაიმართა. ლიდერთა სამეულიდან გოლი არც ერთს გაუშვია, მაგრამ, „მარსელისგან“ განსხვავებით, რომელმაც კრისტოფ დიუგარის ერთადერთი გოლის წყალობით „ლანსს“ სძლია, „ბორდოც“ და „რენიც“ ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. ამან კი „ოლიმპიკს“ საშუალება მისცა, მდევრებისთვის კიდევ უფრო გაესწრო.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, სტატიას სათაურად გუნდის სახელი რად აქვსო. იმიტომ, რომ შაბათს „მარსელმა“ თავისი ხანგრძლივი ისტორია კიდევ უფრო გაამდიდრა. ასი წლის განმავლობაში სამხრეთელებს საშინაო ჩემპიონატში ზედიზედ რვა თამაში არასოდეს მოეგოთ. მაშინაც კი, როცა „მარსელის“ სახელი ევროპაში ქუხდა და ამ კლუბში ისეთი ვარსკვლავები გამოდიოდნენ, როგორებიც იყვნენ ერიკ კანტონა, ჟან-პიერ პაპენი, კრის უოდლი, რუდი ფიოლერი, ალენ ბოქშიჩი, ბაზილ ბოლი, მარსელ დესაი და სხვა. წლეულს კი სამხრეთელებმა ეს შეძლეს. მე-6 ტურში „ბორდოსთან“ შინ 2:2 დამთავრებული მატჩის შემდეგ როლან კურბისის შეგირდებს ქულა არ დაუკარგავთ. მათ ზედიზედ დაამარცხეს „ბასტია“, „ტულუზი“, „სტრასბური“, „სოშო“, „ლორიანი“, „მონაკო“, „ნანსი“ და „ლანსი“. ახლა ჯერი „ლიონზეა“. შეძლებენ თუ არა მარსელელები რუსეთის ცსკ-ს მიერ დამყარებული რეკორდის (12 მოგება ზედიზედ) დამხობას, მომავალი გვიჩვენებს.

ჩვენ კი შაბათის მატჩს დავუბრუნდეთ. „ველოდრომზე“ 50 ათასი გულშემატკივარი სულმოუთქმელად ელოდა ჩემპიონის დამარცხებას, რათა შარშანდელი ჯავრი ეყარათ. გასული სეზონის დასაწყისში გამართული „მარსელი“ — „ლანსის“ შეხვედრა, შეიძლება ითქვას, შარშან საუკეთესო მატჩი იყო. მაშინ ჩრდილოელთა რიგებში იუგოსლავიელმა ანტო დრობნიაკმა ისახელა თავი. მან სამი გოლი გაუტანა მასპინძლებს, რომლებმაც ამას მხოლოდ ორით უპასუხეს. იმ თამაშის გადარჩენა ოლიმპიკელებს ბოლო წუთებში კიდევ შეეძლოთ, მაგრამ ლორან ბლანის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი გიიომ ვარმუზმა მოიგერია.

შაბათის შეხვედრაშიც მთავარი როლი მეკარემ შეასრულა, ოღონდ ამჯერად „მარსელისამ“. ანდრეას კეპკეს საფრანგეთიდან აბარგების მთავარი დამნაშავე სტეფან პორატო ჩინებულად გაისარჯა და რამდენიმე უძნელესი ბურთი სასწაულებრივად მოიგერია. მიუხედავად მშვენიერი თამაშისა, პორატო მაინც არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას. „გუნდს რალაცაში ხომ უნდა გამოვადგე. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, დარტყმების მოგერიება ყველა მეკარეს ევალება“. „მარსელის“ კარის დარაჯის გარჯა არც საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ როჟე ლემერს გამოჰპარვია, რომელიც პორატოს ზედიზედ ორ მატჩს დაესწრო და ბარტების შემცვლელადაც შეიგულა. ერთადერთი გოლი თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში გავიდა - მსოფლიოს ჩემპიონი დიუგარი ვარმუზთან პირისპირ გავიდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. მეორე ტაიმში სტუმრებს მრავალჯერ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ პორატოს გადამკიდენი შინ უქულოდ გაბრუნდნენ. „სამწუხაროა, რომ პირველი ტაიმიც ისე არ დავიწყეთ, როგორც მეორე. მაშინ იქნებ ერთი გოლი მაინც გაგვეტანა. „მარსელმა“ კი ცოტათი იმედი გამიცრუა, მისგან გაცილებით უკეთეს თამაშს ველოდი“- თქვა „ლანსის“ მწვრთნელმა დანიელ ლეკლერმა. კურბისს კი ზედიზედ მერვე მოგება დიდად არ გახარებია, ამდენი გამარჯვება კარგია, მაგრამ ამას ერთი უარყოფითი მხარეც აქვს -ახლა ყველა მთელი ძალით ითამაშებს ჩვენს წინააღმდეგ, იქნება პირველებმა ჩვენ მოვუგოთო. ეს ლიონშივე დაიწყება. დღეიდან ყოველი ქულის მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება“. და ბოლოს - „მარსელელებს კეპკე არასოდეს დაავიწყდებათ და ყველაფრისთვის მადლობას უხდიან“- სწორედ ეს სიტყვები ეწერა „ველოდრომის“ ერთ-ერთი ტრიბუნიდან გადმოკიდებულ ტრანსპარანტზე.

„ადრე იქნება თუ გვიან, „ლესკურზე“ სამ ქულას ვეღარ ავიღებთ“- „სოშოსთან“ მატჩის წინ მასპინძელთა ნახევარმცველ მიშელ პავონს გული ეთანაღრებოდა. თუმცა ვერც ერთი ჟირონდელი ვერ იფიქრებდა, რომ მაინცდამაინც გათამაშების ცხრილში მე-16 ადგილზე მყოფ „სოშოსთან“ დაკარგავდნენ ასე საჭირო ქულებს. არადა, აქამდე სტუმრად გამართულ შვიდ შეხვედრაში სოშოელებს ოდენ ერთი ქულა მოეპოვებინათ.

„ბორდოს“ მიერ ორი ქულის დაკარგვა საფრანგეთში დიდ სენსაციად არავის ჩაუთვლია, რადგან უკანასკნელი თამაშები მეორე ადგილზე მყოფმა გუნდმა გაჭირვებით მოიგო. თვით კლუბის მწვრთნელი ელი ბოპიც კი ამბობდა, რომ მისი ფეხბურთელები გადაიღალნენ და მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო „მარსელის“ მიერ შემოთავაზებულ ტემპს დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. „ამ საღამოს მიკუ და ვილტორდი დავასვენე, რადგან მათი ფიზიკური მზადყოფნა არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიე. ამან არ გვიშველა და ორი ქულაც დავკარგეთ. ახლა გასვლით მატჩებში უნდა შევძლოთ ამ დანაკარგის ანაზღაურება“- თქვა ბოპმა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ „ბორდომ“ ორი ქულა კი არ დაკარგა, არამედ ერთი მოიპოვა, იმდენი საგოლე მომენტი გააცუდეს სტუმრებმა. მაგალითად, 21-ე წუთზე მარავალის დარტყმული ძელს მოხვდა, 71-ე წუთზე კი ფრო რამეს შემცვლელ დელაროშთან ერთი-ერთზე გავიდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. მომავალი მატჩი „ბორდოს“ მონაკოში აქვს და სწორედ იქ გამოჩნდება, „სოშოსთან“ ფრე დროებითი ჩავარდნა იყო თუ არა. ისე, ჟან ტიგანას გუნდთან სტუმრად თამაში ძალიან ძნელია, რადგან ჯუჯა - სახელმწიფოდან ჯერ ქულაც კი არავის წამოუღია, თუმცა შაბათამდე „ბორდოსაც“ შინ ყველა თამაში მოგებული ჰქონდა.

„ლიონი“ ძლიერი გუნდია. დღეს ძალიან გაგვიჭირდება სამი ქულის მოპოვება, ყაიმითაც კმაყოფილი დავრჩები“- თქვა მატჩის დაწყებამდე „რენის“ თავკაცმა პოლ ლე გუენმა. მისი გუნდიც ადგა და უგოლო ფრე მიითვალა, მწვრთნელი მაინც არ გაგვიბრაზდებაო. ამ შედეგით ყველა კმაყოფილი დარჩა, 15 ათასი მაყურებლის გარდა, რომლებიც თავიანთი საყვარელი გუნდის გამარჯვებას ელოდნენ. სათამაშო უპირატესობას მთელი შეხვედრის მანძილზე მასპინძლები ფლობდნენ და ის, რომ ვერ მოიგეს, მხოლოდ უიღბლობას უნდა დააბრალონ. მათ რიგებში საუკეთესონი ნონდა და ექსლიონელი ბარდონი იყვნენ. ორივეს მრავალჯერ შეეძლოთ გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ არ გაუმართლათ. „ჩვენ „მარსელს“ და „ბორდოს“ არ ვებრძვით. ჩვენი მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა, ამიტომ ჩვენს მეტოქეებად „ლიონი“, „ბასტია“, „ოსერი“ და „ნანტი“ მიმაჩნია. მათ კი ჯერჯერობით გვარიანად ვუსწრებთ, ასე რომ, სანერვიულო არაფერი გვაქვს“- დაიმშვიდა თავი პოლ ლე გუენმა. შედეგით სტუმართა გამთამაშებელი ვიკაშ დორასოც კმაყოფილი იყო და უკვე „მარსელთან“ მომავალ დაპირისპირებაზე ფიქრობდა: „ჟერლანი“ მთლიანად გაივსება, რადგან ყველა მოისურვებს, ლიდერის პირველ მარცხს დაესწროს. მომავალი თამაშის მოგება მარტო სამ ქულას არ მოგვიტანს, გამარჯვება რწმენას შეგვმატებს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია“.



მარსელი — ლანსი. ფლორიან მორისმა (შუაში) კარგად კი ითამაშა, მაგრამ „მარსელის“ რიგებში საუკეთესოდ მაინც სტეფან პორატო აღიარეს

მართალი იყო ჟან ტიგანა, როცა ამბობდა, ჩემმა გუნდმა სტუმრად თამაში არ იცის, ასე კი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლებელიო. მე-14 ტურში „მონაკო“ „ბასტიას“ ესტუმრა და მერვე გასვლითი შეხვედრაში მეხუთე მარცხი იწვნია. ამ თამაშში გატანილი ოთხი გოლიდან ყველაზე საინტერესო ანდრეს მეორე გოლი იყო, რომელიც კორსიკელმა ხელით შეაგდო: მსაჯმა ეს კარგად დაინახა, მაგრამ ჯარიმის დანიშვნის ნაცვლად ხელი მაინც ცენტრისაკენ გაიშვირა. რა მოხდა? მოდით, თვით გოლის ავტორს მოვუსმინოთ: „ბურთის მკერდზე მისაღებად მოვემზადე, მაგრამ კონჯიჩმა უკნიდან მიბიძგა. მართალია, ბურთი ხელზე მომხვდა, თუმცა მსაჯმა სწორედ განსაჯა და რადგან ეს ჩემდა უნებურად მოხდა, ამიტომ გოლიც ჩათვალა. მონაკოელები თავიანთი წაგების გამართლებას ამით ცდილობენ, მაგრამ ისიც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ჩვენ გამარჯვებას ნაღდად ვიმსახურებდით!“ ანდრეს ვერ შეედავები. ლორან ფურნიეს გუნდმა „მონაკო“ მართლაც დაჩაგრა და სამი ქულაც დამსახურებულად ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

დაბოლოს, ფურნიეს შარშანდელი კლუბი (მაშინ ფურნიე ფეხბურთელი იყო) „პარი სენ-ჟერმენი“, ეტყობა, კრიზისს თავს აღწევს. პარიზელებს ამ ტურამდე გამართულ შვიდ საგარეო შეხვედრაში სულ ოთხი გოლი ჰქონდათ გატანილი, სწორედ ამდენი შეუგდეს მათ „ლე ავრს“ და მერვე ადგილზეც აინაცვლეს. ეს, მოგება უცილობლად არტურ ჟორჟეს გარჯის შედეგია. ეტყობა, პორტუგალიელმა მწვრთნელმა პსჟ-ს ძალის სწორად წარმართვა შეძლო. დედაქალაქის გუნდი კვლავ ყველასთვის საშიშ მეტოქედ იქცა. მომავალ ტურში პსჟ „რენს“ უმასპინძლებს. ეს შეხვედრა ძალიან საინტერესო სანახავი იქნება.

გაიოზ თალაქვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 14 | 11 | 3 | 0 | 29:10 | 36 |
| ბორდო | 14 | 10 | 2 | 2 | 29:12 | 32 |
| რენი | 14 | 8 | 3 | 3 | 18:14 | 27 |
| მონაკო | 14 | 7 | 2 | 5 | 22:14 | 23 |
| ლიონი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:11 | 21 |
| მონპელიე | 14 | 6 | 2 | 6 | 26:24 | 20 |
| ბასტია | 14 | 6 | 2 | 6 | 18:16 | 20 |
| პსჟ | 14 | 5 | 4 | 5 | 16:12 | 19 |
| ნანტი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:16 | 19 |
| ოსერი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:18 | 19 |
| სტასბური | 14 | 5 | 4 | 5 | 12:13 | 19 |
| ლანსი | 14 | 5 | 2 | 7 | 21:22 | 17 |
| მეცი | 14 | 3 | 6 | 5 | 11:17 | 15 |
| ნანსი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:19 | 14 |
| ლე ავრი | 14 | 2 | 6 | 6 | 10:17 | 12 |
| სოშო | 14 | 3 | 3 | 8 | 12:29 | 12 |
| ტულუზი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:23 | 11 |
| ლორიანი | 14 | 1 | 5 | 8 | 10:23 | 8 |

## შვეიცარია

XVIII ტური

**სერვეტი 2:0 გრასჰოპერი**
1:0 რეი (10), 2:0 ბიულმანი (60)
გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ბერნერი (ზანი 71), მაცარელი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი, ტიკვა (სავიჩი 89), ფოგელი, ყაველაშვილი, დე ნაპოლი (მაგრო 65), ნკუფო

**არაუ 1:1 იანგ ბოისი**
1:0 ბადერი (1), 1:1 კერლი (34)

**ლუცერნი 1:1 ქსამაქსი**
0:1 ნდო (50), 1:1 სკეფანოვიჩი (90)

**სიონი 2:0 ლუგანო**
1:0, 2:0 ტოლოტი (80პ, 82)

**ბაზელი 1:0 სენტ გალენი**
1:0 ჩოპი (8)

**ციურიხი 3:3 ლოზანა**
1:0 შასო (14), 1:1 პანტელიჩი (35), 2:1 ნიქსონი (41), 2:2 პანტელიჩი (48), 3:2 ნიქსონი (50), 3:3 უდოვიჩი (79)

შვეიცარიის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტური პარასკევს ცენტრალური მატჩით გაიხსნა. ჟენევაში „სერვეტმა“ ციურიხის „გრასჰოპერს“ უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა.

მთელი შეხვედრა ჩაატარა სტუმართა შემადგენლობაში მიხეილ ყაველაშვილმა, გიორგი ნემსაძე კი სათადარიგოებშიც ვერ ვიხილეთ.

მატჩი მასპინძელთა მცირე უპირატესობით დაიწყო. მე-10 წუთზე „გრასჰოპერის“ დაცვა უხეშად შეცდა — მაცარელიმ თავისსავე საჯარიმოში ბურთი რეის ჩააბარა, რომელსაც ახლოდან ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. „კალიები“ გაშვებულმა გოლმა გაააქტიურა. მათ ხუთიოდე წუთში მიეცათ გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ ნკუფომ ოდნავ ააცილა კარს. 23-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სმილიანიჩი თავით შეწვდა, მაგრამ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა. ტაიმის ბოლოს „სერვეტი“ აშკარა გოლს გადაურჩა. ყაველაშვილმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა და ბურთი ტიკვას დაუგორა, მისი ძლიერად დარტყმული მეკარემ მოიგერია, ბურთთან პირველი ბერნერი გაჩნდა, მაგრამ ახლოდან ცარიელ კარს ააცილა.

მეორე ტაიმი „გრასჰოპერმა“ კარგად დაიწყო, მაგრამ გოლი აქეთ გაუშვა. ბიულმენმა შორიდან ძლიერი დარტყმით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მალე „სერვეტი“ ათი კაცით დარჩა მინდორზე — მანინისთან უხეშობა ლონფატს მსაჯმა არ აპატია. შეხვედრის ბოლო ოცი წუთი სტუმრების შეტევებით წარიმართა, თუმცა აქედან სარგებელი „კალიებმა“ ვერ ნახეს, არადა, გატანის კარგი შანსები ჰქონდათ. 74-ე და 82-ე წუთებზე ტიკვამ ძელსაც გაარტყა ბურთი, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

„გრასჰოპერისთვის“ ეს მარცხი ზედიზედ მეორე იყო. შეგახსენებთ წინა ტურში „კალიებმა“ „ციურიხთან“ დათმეს მატჩი. მეცხრამეტე ტურში „გრასჰოპერი“ „ბაზელს“ მასპინძლობს და ალბათ, ძალიან გაუჭირდება. მიზეზი ტრავმები და დისკვალიფიკაციაა, რომელთა გამოც ძირითადის შვიდი ფეხბურთელის, მათ შორის, კუბილა თურქილმაზის გარეშე მოუწევთ თამაში.

„ქსამაქსი“, რომელიც ამ ტურამდე „გრასჰოპერთან“ და „ლოზანასთან“ ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფდა, „ლუცერნს“ ესტუმრა. დაძაბული და საინტერესო მატჩი ფრედ-1:1 დასრულდა. ამ შეხვედრამდე სამი დღით ადრე შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ლუცერნს“ 3:0 მოგება ჩაუთვალა „ლუგანოსთან“. ასე რომ, წინა ტურში „ლუგანოს“ მთავარ მწვრთნელს მინდორზე მეექვსე უცხოელი ფეხბურთელის შეყვანა (კანონით ხუთია ნებადართული) ძვირად დაუჯდა.

ასევე ფრედ დასრულდა „ციურიხი“ — „ლოზანას“ შეხვედრა — 3:3. მთელი თამაშის განმავლობაში სტუმრები სამჯერ ჩამორჩნენ ანგარიშში, მაგრამ სამჯერვე შეძლეს გათანაბრება.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 18 | 11 | 6 | 1 | 33:19 | 39 |
| ქსამაქსი | 18 | 7 | 9 | 2 | 29:19 | 30 |
| ლოზანა | 18 | 8 | 6 | 4 | 33:32 | 30 |
| გრასჰოპერი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:22 | 29 |
| ციურიხი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:19 | 28 |
| სენტ გალენი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:25 | 25 |
| ბაზელი | 18 | 7 | 3 | 8 | 16:27 | 24 |
| ლუცერნი | 18 | 5 | 6 | 7 | 24:24 | 21 |
| სიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:32 | 20 |
| ლუგანო | 18 | 4 | 6 | 8 | 28:33 | 18 |
| იანგ ბოიზი | 18 | 3 | 6 | 9 | 29:29 | 15 |
| არაუ | 18 | 2 | 5 | 11 | 24:38 | 11 |

## პორტუგალია

XI ტური

**ბეირა მარი 0:1 ფარენსე**
0:1 პინტასილიო (89)

**შავეში 1:2 უნიაუ**
0:1, 0:2 დუა (27, 57), 1:2 სება (75)

**რიუ ავე 2:1 მარიტიმუ**
0:1 მორეირა (43), 1:1 ჩინა (64 პ), 2:1 ჟაკარე (69)

**სეტუბალი 3:0 სალგეირუში**
1:0, 2:0, 3:0 ნანდო (26, 70, 85)

**ბენფიკა 4:1 ბრაგა**
1:0 კანდაუროვი (3), 1:1 ბორგესი (13), 2:1 პობორსკი (33), 3:1 ჟოაო პინტუ (58), 4:1 ნუნუ გომეში (90)

**სპორტინგი 2:0 ალვერკა**
1:0 კრპანი (46), 2:0 იორდანოვი (67)

**ამადორა 1:1 გიმარაეში**
0:1 ჟოაო კოშტა (5), 1:1 ჟილბერტო (61)

**კამპომაიორენსე 0:2 პორტუ**
0:1, 0:2 ჟარდელი (35, 60)

**აკადემიკა 2:3 ბოავიშტა**
1:0 ლოპესი (43), 1:1 ტიმოფტე (50), 1:2 კვამე (58), 2:2 ვანზელა (64), 2:3 როჯერიო (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 11 | 8 | 3 | 0 | 19:6 | 27 |
| სპორტინგი | 11 | 7 | 4 | 0 | 20:6 | 25 |
| პორტუ | 11 | 7 | 2 | 2 | 26:11 | 23 |
| ბენფიკა | 11 | 6 | 3 | 2 | 20:8 | 21 |
| უნიაუ | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| ამადორა | 11 | 5 | 3 | 3 | 14:13 | 18 |
| სალგეირუში | 12 | 3 | 6 | 3 | 14:17 | 15 |
| სეტუბალი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | 15 |
| რიუ ავე | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | 15 |
| ალვერკა | 11 | 2 | 6 | 3 | 10:15 | 12 |
| შავეში | 11 | 3 | 3 | 5 | 14:20 | 12 |
| გიმარაეში | 11 | 2 | 4 | 5 | 16:15 | 10 |
| ბეირა მარი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:13 | 10 |
| ბრაგა | 11 | 2 | 4 | 5 | 13:22 | 10 |
| ფარენსე | 11 | 3 | 1 | 7 | 10:18 | 10 |
| კამპომაიორენსე | 11 | 2 | 3 | 6 | 12:18 | 9 |
| აკადემიკა | 12 | 2 | 3 | 7 | 14:23 | 9 |
| მარიტიმუ | 11 | 1 | 4 | 6 | 11:16 | 7 |

## პოლონეთი

მე-14 ტური. ზაგლებიე — კატოვიცე 4:0, ლკს — ვიძევი 0:1, გურნიკი — რუხი 2:0, პოგონი — ვისლა 0:4, ოდრა — ბელხატოვი 0:0, პოლონია — ლეგია 0:0, სტომილი — ამიცა 4:1, ლეხი — რაძიონკოვი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 14 | 13 | 1 | 0 | 36:10 | 40 |
| ლეხი | 14 | 10 | 0 | 4 | 33:15 | 30 |
| ლეგია | 14 | 7 | 4 | 3 | 20:14 | 25 |
| გურნიკი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:16 | 23 |
| რაძიონკოვი | 15 | 6 | 4 | 5 | 23:16 | 22 |
| ვიძევი | 14 | 7 | 1 | 6 | 24:18 | 22 |
| ამიცა | 14 | 6 | 2 | 6 | 22:21 | 20 |
| პოლონია | 14 | 5 | 4 | 5 | 20:21 | 19 |
| რუხი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:23 | 18 |
| ბელხატოვი | 14 | 5 | 2 | 7 | 16:23 | 17 |
| კატოვიცე | 15 | 5 | 1 | 9 | 14:27 | 16 |
| პოგონი | 14 | 4 | 3 | 7 | 20:27 | 15 |
| სტომილი | 14 | 4 | 2 | 8 | 14:21 | 14 |
| ზაგლებიე | 14 | 3 | 4 | 7 | 24:28 | 13 |
| ლკს | 14 | 3 | 4 | 7 | 14:23 | 13 |
| ოდრა | 14 | 1 | 6 | 7 | 14:24 | 9 |

## თურქეთი

მე-12 ტური. ისთანბული — ბურსა 2:3, ადანა — ანკარაგიუჯიუ 1:0, გენჩლერბირლიგი — ანთალია 1:2, სამსუნი — ბეშიქთაში 0:3, გალათასარაი — ტრაბზონი 3:5, ქოჯაელი — დარდანელი 2:0, ერზურუმი — ალთაი 2:1, ქარაბუქი — საქარია 1:2, ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 12 | 9 | 3 | 0 | 27:10 | 30 |
| გალათასარაი | 12 | 8 | 2 | 2 | 38:15 | 26 |
| ტრაბზონი | 12 | 7 | 3 | 2 | 21:11 | 24 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 7 | 2 | 3 | 29:11 | 23 |
| ქოჯაელი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:13 | 23 |
| გენჩლერბირლიგი | 12 | 7 | 0 | 5 | 20:16 | 21 |
| ანთალია | 12 | 6 | 3 | 3 | 16:12 | 21 |
| ბურსა | 12 | 6 | 2 | 4 | 20:21 | 20 |
| გაზიანთეფი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 |
| ისთანბული | 12 | 5 | 2 | 5 | 19:18 | 17 |
| ერზურუმი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:26 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 4 | 1 | 7 | 14:17 | 13 |
| ალთაი | 12 | 3 | 2 | 7 | 18:24 | 11 |
| ადანა | 12 | 3 | 2 | 7 | 7:16 | 11 |
| სამსუნი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:25 | 11 |
| საქარია | 12 | 2 | 3 | 7 | 11:21 | 9 |
| ქარაბუქი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:22 | 7 |
| დარდანელი | 12 | 0 | 4 | 8 | 2:19 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოლანდია

XIV ტური

**აიაქსი 2:2 ეინდჰოვენი**

0:1 ივანი (8), 1:1 ვამბერტო (26), 1:2 ნილისი (31), 2:2 ფ. დე ბური (61)

აიაქსი: ვან დერ სარი, სპლინტერი (სიერი 56), ოლისე, ბლონდო, ფ. დე ბური, რ. დე ბური, დანი, ვიჩხე, ვამბერტო, მაკართი (პოსი 46), ჰუქსტრა (ძინძლაძე 87)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, დირქსი, ნიკიფოროვი, ვან დერ ვერდენი (ხავიერი 82), ოიენი, ივანი, ხოხლოვი, ფუქსი, ვან დერ დოლიენი, ნილისი (ლოდევაიქსი 77), ვან ნისტელროი

**ტილბურგი 2:1 ბრედა**

1:0 ბომბარდა (9), 2:0 შულპი (25), 2:1 ჰელდერი (55)

ბრედა: კარელსე, ატმოდიკორო, ვან ასი, გუდელი, ფისკენსი, შროიდერი, ნოპი, ვერსტიგი (ზეფილინიო 86), სტიუარტი, ა. არველაძე, მილიჩიჩი (ჰელდერი 46)

**ვიტესი 2:0 უტრეხტი**

1:0 პეროვიჩი (10), 2:0 როიზერი (56)

**ვალვაიკი 5:1 სპარტა**

1:0 ვან დერ პინენი (3), 1:1 იალინკი (13პ), 2:1, 3:1 შოპსი (28, 44), 4:1 პეტროვი (80), 5:1 ჰუგენორტი (81)

**ფეიენოორდი 4:1 სიტარდი**

1:0 ბოსველტი (19), 1:1 სიმონსი (38), 2:1 ჰაუვი (60), 3:1 ტომასონი (67), 4:1 ვან ფოსენი

**გრააფსხაპი 2:3 როდა**

0:1 ძაფარინი (45), 0:2 ლიპერსი (55), 1:2 ვისკაალი (61), 2:2 ტუმბა (75), 2:3 ვან ჰუდტი (76)

**მაასტრიხტი 2:1 ალკმაარი**

1:0 პერესი (35), 1:1 უიბერტსი (87), 2:1 ტაიჰუტუ (90)

**ნაიმეგენი 2:2 ტვენტე**

0:1 ჰესელინკი (21), 0:2 ტერ ავესტი (24), 1:2 მესი (32პ), 2:2 დე გიერო (46)

ეინდჰოვენელები დაითარსნენ, ნამდვილად დაითარსნენ. „ამსტერდამ არენაზე“ მათ ერთბაშად ორი მეკარე დაკარგეს და თან ორივე შემთხვევაში სტუმართა მეკარეები მასპინძელ ფეხბურთელებს ეპაექრებოდნენ. თუ პირველად, როცა ვატერეუსი გახდა შესაცვლელი, თავად მეკარე იყო დამნაშავე, მეორე მომენტში ლოდევაიქსი ცამდე მართალი გახლდათ.

— მსაჯმა არაობიექტურად განსაჯა მატჩი, მისით უკმაყოფილო ვარ. გუნდს მოგება შეეძლო, მაგრამ არბიტრის მცდარმა მოქმედებამ ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ შემოატრიალა. თქვენც ხედავთ, რომ „ეინდჰოვენი“ „აიაქსს“ სჯობდა. სამწუხაროდ, მსაჯმა სხვა თვალით შეხედა მატჩს — სტუმართა მწვრთნელი, ინგლისელი ბობი რობსონი ყაიმით უკმაყოფილო გახლდათ, რადგან თვლიდა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა.

გასულ სეზონში „ამსტერდამ არენაზე“ მეტოქეთა დაპირისპირება სტუმრებმა მოიგეს 3:4. იმ შეხვედრაში პირველი გოლი ქართველმა თავდამსხმელმა შოთა არველაძემ გაიტანა, თუმცა ამჯერა მან ვერ ითამაშა. ჰოლანდიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ტრავმა რამდენიმე ხნის წინ მიიღო და ვერა და ვერ მოირჩინა. სწორედ ეს გახლდათ არველაძის არყოფნის მიზეზი. პრინციპულ შეხვედრაში იასპარეზა ამსტერდამელთა მეორე ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ქინქლაძემ, მაგრამ მისი გამოჩენა სიმბოლური ხასიათისა იყო. რადგან ქართველ ლეგიონერებზე ვსაუბრობთ, ბარემ გიორგი გახოკიძეზეც ვთქვათ — მას არც ახლა უთამაშია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, თუ ძალიან არ მოინდომა, ვერც ვერასდროს ეღირსება ეინდჰოვენელთა ძირითად შემადგენლობას.

ამჯერად ქარველს გოლის აღარ გაუტანია, თუმცა ჰოლანდიელმა, ბელგიელმა, ბრაზილიელმა და ცხალდია, ჰოლანდიელმა იყოჩაღეს.

თავდაპირველად „ეინდჰოვენმა“ გაიხარა, მასთან ერთად კი გოლის ავტორმა, პოლონელმა ტომაშეკ ივანმა. სხვათა შორის, ანგარიშის გამხსნელს ნაკრების შემადგენლობაში თბილისში, ეროვნულ სტადიონზეც უთამაშია.

უგოლობა მერვე წუთზე დასრულდა — ივანმა ამსტერდამელი მცველები თამაშგარე მდგომარეობის შექმნის მცდელობაში გამოიჭირა და დასაჯა.

მოგვიანებით ბრაზილიელმა „აიაქსი“ ახეირა — ვამბერტოს დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა.

ხუთ წუთში ბელგიელმა გაიტანა გოლი. კვლავ სტუმრები დაწინაურდნენ — ლუკ ნილისმა უკანახაზელთა დასახმარებლად ჩასულ რიტარდ ვჩიხეს შეცდომით ისარგებლა და ვან დერ სარი ბურთის კარიდან გამოსატანად შეაბრუნა.

ბოლო, მეოთხე გოლი, როგორც იქნა, ჰოლანდიელმა გაიტანა — რონალდ დე ბურის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მისი ძმა ფრენკი გამოეხმაურა და ზუსტი დარტყმით ვატერეუსის კარი დალაშქრა.

— წაგებას რომ გადავრჩით, კმაყოფილნი ვართ. ცუდად ვითამაშეთ და კიდევ კარგი, არ წავაგეთ. ძალიან, ძალიან დაძლელი მატჩი იყო — ამსტერდამელთა მწვრთნელი მორტენ ოლსენი ობიექტურად მსჯელობდა. იმ დღეს მასპინძლების გუნდისა არაფერი ეტყობოდათ.

ყველაფერი 2:2-ის შემდეგ დაიწყო. თავდაპირველად რონალდ ვატერეუსი დაშავდა, თავისსავე სულელური საქციელის გამო. ერთ მომენტში „აიაქსის“ დებიუტანტმა ბრუტილ ჰოსმა სტუმრებს აჯობა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მერე კი მოვლენები ასე განვითარდა: ვატერეუსმა თავდამსხმელი წააქცია, ბურთი კარში არ შევიდა, მეკარემ ტრავმა მიიღო და თითქოს ეს არ აკლდაო, მსაჯმა გააძევა. ორი კურდღლის მადევარმა ვატერეუსმა ვერც ერთი ვერ დაიჭირა.

ბობი რობსონმა ლუკ ნილისის ნაცვლად უმალ სათადარიგო მეკარე ჩართო თამაშში. ლოდევაიკსაც არ დაადგა კარგი დღე. მე-80 წუთზე დანის შესახვედრად კარიდან გამოსულმა ლოდევაიკსმა ბურთის ხელში მოგდება განიზრახა, ფეხბურთელს ფეხებში ჩაუწვა, მაგრამ სასურველს ვერ მიაღწია. პორტუგალიელმა ბუცი ვიცომდა შემთხვევით ლოდევაიკსს სახეში მოარტყა. მეკარემ მატჩი კი ჩაამთავრა, მაგრამ საამისოდ მას სტადიონზევე მცირე ოპერაცია დასჭირდა — ექიმებმა წარბზე ნაკერები დადეს.

— დანი აუცილებლად უნდა გაეგდოთ. მსაჯმა ეს არ გააკეთა. აი, კიდევ ერთი მიზეზი მისი არაობიექტურობისა — განაცხადა რობსონმა.

ერთი სიტყვით, 2:2 და დიდი ვერაფერი თამაში.

ტურის სხვა მატჩებიდან აღსანიშნავი როტერდამის „ფეიენოორდის“ დიდი ანგარიშით გამარჯვება და ლიდერის პოზიციაზე დაბრუნება, აგრეთვე, ტილბურგელი მარსიანო ბომბარდას ბოლო ორ მატჩში შეგდებული მეოთხე გოლი.

ირაკლი ილაშვილი

REUTERS ამსტერდამიდან



აიაქსი — ეინდჰოვენი. ამ მომენტის გამო სტუმართა მწვრთნელი ბობი რობსონი აიაქსელი დანის გაძევებას ითხოვდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 12 | 9 | 2 | 1 | 28:12 | 29 |
| ჰერენვენი | 13 | 9 | 1 | 3 | 22:13 | 28 |
| აიაქსი | 14 | 8 | 4 | 2 | 31:11 | 28 |
| ვიტესი | 13 | 8 | 2 | 3 | 24:14 | 26 |
| ტვენტე | 14 | 7 | 4 | 3 | 21:16 | 25 |
| ტილბურგი | 14 | 6 | 4 | 4 | 26:22 | 22 |
| როდა | 13 | 6 | 3 | 4 | 20:16 | 21 |
| ნაიმეგენი | 12 | 5 | 5 | 3 | 21:20 | 20 |
| ეინდჰოვენი | 13 | 5 | 4 | 4 | 27:23 | 19 |
| ალკმარი | 14 | 4 | 7 | 3 | 21:21 | 19 |
| მაასტრიხტი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:22 | 17 |
| უტრეხტი | 13 | 4 | 3 | 6 | 23:23 | 15 |
| გრააფსხაპი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:23 | 15 |
| სპარტა | 13 | 3 | 2 | 8 | 14:26 | 11 |
| კამბური | 13 | 2 | 4 | 7 | 12:24 | 10 |
| ბრედა | 12 | 2 | 3 | 7 | 14:20 | 9 |
| სიტარდი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:26 | 9 |
| ვალვაიკი | 14 | 1 | 3 | 10 | 16:30 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 11 |
| მახლასი (ვიტესი) | 10 |
| ვან ჰუდტი (რასინგი) | 10 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 8 |

## შოტლანდია

XIV ტური

**დანფერმლაინი 2:1 დანდი იუნ.**

0:1 მეტი (3), 1:1 ტოდი (26), 2:1 მაკკალოქი (35)

**დანდი 1:1 კილმარნოკი**

1:0 ანანდი (29), 1:1 ვარეილი (45)

**მოზერველი 3:2 ჰართსი**

1:0 სპენსერი (40), 2:0 კოილი (68), 2:1 ჰამილტონი (70პ), 3:1 კოილი (84), 3:2 ბერენი (85)

**რეინჯერსი 2:1 აბერდინი**

1:0 ვან ბრონკჰორსტი (8), 1:1 ჯესი (56), 2:1 კანჩელსკისი (82)

**სენტ ჯონსტონი 2:1 სელტიკი**

1:0 სიმაო (45), 1:1 ლარსონი (51), 2:1 მაკენესპი (78)

მე-14 ტური შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს შოტლანდიის ჩემპიონატში, ვინაიდან „რეინჯერსმა“ კვლავ მოიგო, ხოლო მისმა კონკურენტებმა პირველობისთვის ბრძოლაში უკან გადადგეს ნაბიჯი — „კილმარნოკი“ სტუმრად დაუზავდა „დანდის“, „სელტიკი“ კი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალისტ „სენტ ჯონსტონთან“ ასევე სტუმრად დამარცხდა.

„რეინჯერსმა“ „აბერდინს“ უმასპინძლა და მე-8 წუთზე 1:0-ს იგებდა — გერმანელი იორგ ალბერცის ზუსტი პასით ჰოლანდიელმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ისარგებლა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 11 წუთი იყო გასული, შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა მარაქაში გარეულმა ეოინ ჯესმა გლაზგოელთა მეკარე ანტი ნიემის რომ აჯობა და გაათანაბრა, მაგრამ მასპინძლები არ დაიბნენ და მეტოქის კართან საშინელი შტურმი მოაწყვეს, რომელიც საბოლოოდ კლუბის უძვირფასესმა მოთამაშემ, იტალიური „ფიორენტინადან“ 5,5 მილიონ გირვანქად გადაბირებულმა რუსმა ანდრეი კანჩელსკისმა გოლად აქცია და სტადიონზე შეკრებილი 49479 ქომაგი აღაფრთოვანა.

„კილმარნოკი“, რომელიც რამდენიმე ტურის განმავლობაში „რეინჯერსს“ კუდში მისდევდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, ნელ-ნელა თმობს პოზიციებს. ამჯერად ალი მაკოისტის გუნდმა მეშვიდეადგილოსან „დანდისთან“ დაკარგა ორი ოქროს ქულა და ახლა ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება.

ამ „სელტიკისას“ ვერას გაიგებ. ვენგლოშის ბიჭები ან მარცხდებიან, ანაც ქვას ქვაზე არ ტოვებენ. მე-13 ტურში გლაზგოელებმა სწორედ „კილმარნოკის“ ბოლო მეტოქე „დანდი“ შეარცხვინეს 6:1, აი, შაბათს კი „სენტ ჯონსტონთან“ წააგეს, გუნდთან, სულ ახლახან „რეინჯერსთან“ შეხვედრაში შვიდი მშრალი ბურთი რომ გაუშვა. კვლავ გაიტანა შვედმა ჰენრიკ ლარსონმა, რომლის ადრინდელი საქმიანობაც ძირითადად თანაგუნდელების პასებით მომარაგება იყო. თუმცა მერყევ კრიზისში მყოფ „სელტიკს“ ამან ვერ უშველა: „წმინდანებმა“ ორჯერ მეტი გოლი გაიტანეს და მოსისხლე მტრებს — „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის არსებული ქულების სხვაობა ათამდე გაზარდეს.

დავით ძოვზირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 14 | 9 | 3 | 2 | 288 | 30 |
| კილმარნოკი | 14 | 6 | 6 | 2 | 18:10 | 24 |
| სელტიკი | 14 | 5 | 5 | 4 | 25:16 | 20 |
| სტ. ჯონსტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:21 | 20 |
| მოზერველი | 14 | 4 | 5 | 5 | 13:20 | 17 |
| ჰართსი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | 16 |
| დანდი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:20 | 16 |
| დანდი იუნაიტედი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:17 | 14 |
| აბერდინი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:20 | 14 |
| დანფერმლაინი | 14 | 2 | 8 | 4 | 12:18 | 14 |

## სლოვენია

მე-14 ტური. ბელტინჩი — კოპერი 2:2, ველენიე — ნოვა გორიცა 3:0, ცელიე — ოლიმპია 0:2, დომჟალე — მარიბორი 2:2, აიდოვშინა — მურა 2:1, ტრიგლავი — კოროტანი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 14 | 9 | 4 | 1 | 33:13 | 31 |
| ნოვა გორიცა | 13 | 8 | 2 | 3 | 25:14 | 26 |
| ოლიმპია | 14 | 7 | 2 | 5 | 26:21 | 23 |
| მურა | 14 | 6 | 4 | 4 | 26:16 | 22 |
| აიდოვშინა | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 19 |
| კოროტანი | 14 | 5 | 4 | 5 | 20:21 | 19 |
| ველენიე | 14 | 5 | 3 | 6 | 16:15 | 18 |
| ბელტინჩი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:27 | 17 |
| კოპერი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:26 | 15 |
| ცელიე | 13 | 3 | 5 | 5 | 11:16 | 14 |
| დომჟალე | 14 | 3 | 5 | 6 | 13:24 | 14 |
| ტრიგლავი | 14 | 1 | 6 | 7 | 11:23 | 9 |

## ავსტრია

მე-17 ტური. ლინცერი — შტურმი 0:0; რაპიდი — აუსტრია 3:1; გრაცერი — რიდი 1:0; ზალცბურგი — ლუსტენაუ 1:2; ტიროლი — შტაირი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 17 | 12 | 2 | 3 | 34:11 | 38 |
| ლინცერი | 17 | 11 | 3 | 3 | 33:17 | 36 |
| რაპიდი | 17 | 10 | 4 | 3 | 28:13 | 34 |
| გრაცერი | 17 | 10 | 4 | 3 | 22:13 | 34 |
| ტიროლი | 17 | 5 | 5 | 7 | 22:25 | 20 |
| აუსტრია | 17 | 5 | 5 | 7 | 17:23 | 20 |
| ზალცბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 22:26 | 18 |
| რიდი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:19 | 16 |
| ლუსტენაუ | 16 | 2 | 5 | 9 | 13:32 | 11 |
| შტაირი | 16 | 1 | 2 | 13 | 14:40 | 2 |

# რა კარგია, რა კარგია!

ინგლისის და ბელგიის ერთ-ერთმა უძველესმა კლუბებმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ანტვერპენმა“ გუშინ, ერთობლივი მემორანდუმი გააფორმეს, რომლის თანახმადაც კლუბებმა თანამშრომლობა განიზრახეს.

რაში მდგომარეობს გაფორმებული ხელშეკრულების არსი? საქმე იმაშია, რომ ინგლისელებმა და ბელგიელებმა ერთობლივი მუშაობა მოიწადინეს და სამომავლო გეგმებიც შეათანხმეს. მათ არ დაუკონკრეტებიათ რაში მდგომარეობს შეთანხმების ძირითადი საფუძვლები, თუმცალა აღნიშნეს პროგრამით ნიჭიერ ფეხბურთელთა გაცვლა გვაქვს გათვალისწინებულიო.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გავრცელდა ხმები, თითქოსდა შეთანხმება იმის მომასწავებელია, რომ უახლოეს მომავალში, ინგლისის ბოლო წლების უძლიერესი კლუბი ბელგიის ერთ დროს ყველაზე სახელოვან გუნდს შეისყიდის.

ხმებმა თუ ჭორებმა ბევრი იარეს თუ ცოტა კლუბების ხელმძღვანელთა ყურამდეც მივიდნენ, რომლებმაც გავრცელებული ხმები წმინდა წყლის სიცრუედ ჩათვალეს.

— ჭორები, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმებამ გამოიწვია სიცრუეა და მეტი არაფერი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯერ არ აპირებს რომელიმე გუნდის შესყიდვას, ხოლო როცა ასეთ რამეს განიზრახავს, ამის თაობაზე ოფიციალურადაც იტყვის — ინგლისელთა წარმომადგენელმა ზემოთქმული პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მაშ ასე — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ანტვერპენი“ დაძმობილდნენ.

## ფეხბურთის რუკასთან

**არგენტინის** ჩემპიონატი. მე-15 ტური. რასინგი — კოლონი 3:1, ბელგრანო — რივერ პლეიტი 0:1, ბოკა ხუნიორსი — ტალერესი 2:1, ხიმნასია (ლა პლატა) — სან ლორენცო 3:2, ფერო კარილ ოესტი — ინდეპენდიენტე 2:2, ურაკანი — ესტუდიანტესი 2:2, ნეველს ოლდ ბოისი —ველეს სარსფილდი 1:0, პლატენსე — არგენტინოს ხუნიორსი 1:0, ხიმნასია (ხუხუი) — როსარიო სენტრალი 0:0. 37 ქულით ლიდერობს ბოკა ხუნიორსი. მას 6 ქულით ჩამორჩება ლა პლატის „ხიმნასია“.

**ბრაზილიის ჩემპიონატი.** გაიმართა მეოთხედფინალის პირველი მატჩები. გრემიო — კორინტიანსი 0:1, სპორტ რესიფი — სანტოსი 3:1, პორტუგეზა — კურიტიბა 3:1, კრუზეირო — პალმეირასი 2:1.

**ხორვატიის** ჩემპიონატი. კროაცია — ზადარკომერცი 4:0, ვარტექსი — ოსიეკი 2:3, სლავენი — რიეკა 1:3, ციბალია — ზაგრები 1:1, მლადოსტ 127 — ჰაიდუკი 1:1, დრაგოვილიაცი — შიბენიკი 1:2. 32 ქულით ლიდერობს „კროაცია“. მას 4 ქულით ჩამორჩება „რიეკა“.

**ჩეხეთის ჩემპიონატი.** მე-13 ტური. ვიკტორია (ჟიჟკოვი) — ჰრადეცი 1:0, იაბლონეცი — სპარტა 0:3, სლავია — სიგმა 4:0, შმელი — ოპავა 2:0, დუკლა — დრნოვიცე 0:2, ბანიკი — კარვინა 0:0, ბობი — ვიკტორია (პლზენი) 3:0. 27 ქულით ლიდერობს „სპარტა“. მას 2 ქულით ჩამორჩება „დრნოვიცე“.

**დანიის** ჩემპიონატი. ბრონდბიუ — ფრემადი 1:1, კოპენჰაგენი — ვიბორგი 4:2, ლუნგბიუ — ჰერფოლგე 1:3, სილკებორგი — ბ 93 2:2, ვეილე — აბ 0:2. 29 ქულით ლიდერობს „აბ“. მას 2 ქულით ჩამორჩება „ოლბორგი“.

**სლოვაკეთის** ჩემპიონატი. მე-14 ტური. არტმედია — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 1:1, ნიტრა — ჰუმენიე 0:2, ტაურისი — ინტერი 0:2, კერამეტალი — რუჟომბეროკი 3:0, ზილინა — ბარდეიოვო 1:0, სლოვანი — ბანიკო 4:2, ტატრანი — სპარტაკი 0:0, კოშიცე — ტრენჩინი 5:1. 35 ქულით ლიდერობს ტრნავის „სპარტაკი“, მას 2 ქულით ჩამორჩება „სლოვანი“.

**ლუქსემბურგის** ჩემპიონატი. მე-8 ტური. გრევენმახერი — ავენირი 0:5, ვილტცი — მონდერკანჟი 1:2, უნიონი — ჟენეს ეში 1:1, დუდელანჟი — ჰობშეიდი 7:3, პეტანჟი — არისი 0:6, სპორა — სპორტინგი 1:3. 19 ქულით ლიდერობს „ჟენეს ეში“, მას ქულით ჩამორჩება „უნიონი“.

**უნგრეთის ჩემპიონატი.** მე-15 ტური. ჰალადაში — დიორ ეტო 0:1, მტკ — დიოშდიორი 1:2, გაზერი — ბვსც 0:0, ვაშაში — ვაცი 0:0, კერულეტი — უპეშტი 2:3, კომპეშტი — ზალაეგერცეგი 0:1, დუნაფერი — ფერენცვაროში 2:1, ნიერშეგი — ვიდეოტონი 4:2. 35 ქულით ლიდერობს „მტკ“. მას სამი ქულით ჩამორჩება „დიორ ეტო“.

**რუმინეთის** ჩემპიონატი. მე-14 ტური. უნივერსიტატეა (კრაიოვა) — არჯეში 2:0, ასტრა — ონესტი 3:1, დინამო — ბაკაუ 1:0, უნივერსიტატეა (კლუჟი) — ფარული 1:3, ოლიმპია — რაპიდი 1:1, გლორია — პეტროლული 2:0, ოცელული — ჩახლაული 1:2, ნაციონალი — რესიტა 3:0, ფორესტა — სტიაუა 1:2. 35 ქულით ლიდერობენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „რაპიდი“.

**ბულგარეთის ჩემპიონატი.** მე-12 ტური. ლევსკი (სოფია) — ლევსკი (კუსტენდილი) 3:0, მეტალურგი — პირინი 2:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — ლოკომოტივი (სოფია) 1:3, სლავია — ბოტევი 2:0, დობრუჯა — ცსკა 1:1, სპარტაკი — ნეფტოხიმიკი 2:1, ლიტექსი — მინიორი 3:1, სეპტემვრი — შუმენი 1:1. 27 ქულით ლიდერობენ „ლიტექსი“ და დედაქალაქის „ლევსკი“.

## ბელგია

XIV ტური

**ანდერლეხტი 0:1 სტანდარდი**

სტანდარდი: რენიკი, ტიისი (ბლეი 56), მედვედი, ბილიჩი, აფოლაბი, ალიაი, რემაკლი, კრნსტი, ლუკუნკუ (მბო მპენზა 60), დე კონდე
0:1 მბო მპენზა (63)

**ლოკერენი 2:0 ლიერსი**

ლიერსი: მენცო, ბრიკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, დაემსი, სერნეელსი, შეყილაძე (დე კეიზერი 79), ლარემანსი (პააგდორენი 64), სომერსი, ჰუისტრა, კავენსი (ჰუისმანსი 64)
1:0, 2:0 კოლერი (17, 85)

**ბრიუგე 3:2 შარლერუა**

1:0 კლასენსი (21), 1:1, 1:2 ბრონიო (63, 65), 2:2 დე ბრული (83), 3:2 ილიჩი (90)

**სენტ ტრუიდენი 2:2 გენკი**

0:1 სტრუპარი (10), 1:1 ტეპერსი (39 პ), 1:2 ორიგი (50), 2:2 ფიერსი (74)

**ვესტერლო 0:0 ბევერენი**

**მუსკრონი 3:1 აალსტი**

1:0 ტანგე (45), 2:0 პიერი (49), 2:1 ურბანი (74), 3:1 ტანგე (85)

**ლომელი 0:1 გენტი**

0:1 კაერსი (17)

**ეკერენი 2:1 კორტრაიკი**

1:0 მილოშევიჩი (11), 1:1 კეიტა (38), 2:1 ვან ანკერენი (49)

**ჰარელბეკი 2:1 ოსტენდე**

1:0 ვისერი (12), 2:0 ვოსტიინი (44), 2:1 ლუკაკუ (63)

ბელგიის ჩემპიონატში დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ითამაშა გელა შეყილაძემ, ამიტომ პირველად „ლოკერენი“ — „ლიერსის“ შეხვედრაზე ვიტყვით ორიოდ სიტყვას. ამ სეზონში „ლიერსს“ გარე-გარე სიარულში ხელთ მხოლოდ ერთი ქულა შერჩა. ლოკერენში შეყილაძის გუნდი წასაგებად არ ჩასულა, მაგრამ... მე-17 წუთზე ჰოფკენსისა და სერნეელსის შეუთანხმებლობით ბელგიის ჩემპიონატის უპირველესმა გოლეადორმა კოლერმა იხეირა და თავისიანები დააწინაურა. მასპინძლებს არც ამის მერე შეუწყვეტიათ იერიშები და სტუმრები საკუთარ კარსაც მიაჯაჭვეს. გოლის გატანის კარგი შანსები გაუშვეს ხელიდან დიასმა, ვონაჩეკმა და თანსენსმა (იგი ბელგიის ნაკრებში მიიწვიეს). მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ლიერსს“ ერთადერთხელ მიეცა საშუალება, ანგარიში გაეთანაბრებინა. ლარემანსი მარჯვნივ კარგად გაიჭრა და ჩააწოდა. სომერსის თავური „ლოკერენის“ მეკარემ გააუვნებლა. მატჩის მონაწილეთაგან საუკეთესო უდავოდ კოლერი იყო. სწორედ მან გაიტანა შეხვედრის მიწურულს მეორე გოლი. რაც შეეხება ქართველი ლეგიონერის თამაშს, გელა, ეტყობა, ნელ-ნელა შედის ფორმაში, დაცვაში იგი საკმაოდ უნარიანად ირჯებოდა, მაგრამ თავდასხმას ვერაფრით ეხმარებოდა. „თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დაცვის ერთადერთმა შეცდომამ დაგვღუპა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ „ლოკერენი“ აშკარად გვჯობდა და მოგებასაც იმსახურებდა“ — განუცხადა ჟურნალისტებს „ლიერსის“ მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა.

მეორე ჩვენებურს, ლაშა ჯაკობიას, კვლავ არ უთამაშია, მაგრამ ამას „სტანდარდისთვის“ ხელი არ შეუშლია, სტუმრად შიფოს „ანდერლეხტი“ დაემარცხებინა. უკვე ზუსტად თერთმეტი წელი იყო, „სტანდარდის“ „ანდერლეხტისთვის“ სტუმრად არ მოეგო. მათ ეს ბოლოს 1987 წლის 15 ნოემბერს შეძლეს. ეს ივიჩის გუნდის ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა ანგარიშით 1:0. თამაშის დასაწყისში სტუმრებს წინ მხოლოდ დე კონდე ჰყავდათ, რომელსაც ხანდახან ლუკუნკუ ეხმარებოდა. დანარჩენები კი კედლად აღიმართნენ რუნიეს კართან და მასპინძლებს გოლის გატანის ერთი შესაძლებლობაც კი არ მისცეს. მატჩის ერთადერთი გოლი შეცვლაზე გასულმა მბო მპენზამ შეაგდო — რემაკლის ჩაწოდებულ ბურთს მან მშვენივრად დაჰკრა თავი და თავისი ხორვატი მწვრთნელის, ივიჩის ტაქტიკის უპირატესობაც ნათლად დაამტკიცა.

საინტერესო თამაში გაიმართა ბრიუგეში, სადაც „შარლერუა“ იყო სტუმრად ჩასული. საშინელი ამინდის მიუხედავად, ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს და მაყურებელი არ გააწბილეს. თამაში იმდენჯერ შეწყდა, რომ დამხმარე მსაჯმა რვა წუთის დამატება მოითხოვა. სწორედ წამატებულ დროში გაიტანა ილიჩმა გამარჯვების გოლი და გაწამებულმა ლა გალუმპულმა მთავარმა მსაჯმა უცებვე დაამთავრა მატჩი (მხოლოდ ოთხი ზედმეტი წუთი ათამაშა ფეხბურთელები). ამ მოგებით „ბრიუგე“ ერთპიროვნული ლიდერი გახდა, რადგან მისმა ძირითადმა მეტოქემ, „გენკმა“, სტუმრად „სენტტრუიდენის“ დამარცხება ვერ შეძლო. „დღეს რომ მოვიგეთ, მცველთა დამსახურებაა. ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ სამი ქულა ხომ მაინც მოვიპოვეთ“ — „ბრიუგეს“ თავკაცი ერიკ გერეტსი, ორი გაშვებული გოლის მიუხედავად, მცველთა მადლიერი იყო.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 14 | 10 | 2 | 2 | 30:14 | 32 |
| გენკი | 14 | 9 | 3 | 2 | 27:16 | 30 |
| სტანდარდი | 14 | 9 | 1 | 4 | 22:10 | 28 |
| ლოკერენი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:18 | 27 |
| ვესტერლო | 14 | 8 | 2 | 4 | 33:22 | 26 |
| მუსკრონი | 14 | 6 | 5 | 3 | 27:24 | 23 |
| სტ. ტრიუდენი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:14 | 22 |
| ანდერლეხტი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:20 | 20 |
| გენტი | 14 | 5 | 5 | 4 | 22:27 | 20 |
| ლიერსი | 14 | 6 | 1 | 7 | 22:24 | 19 |
| აალსტი | 14 | 5 | 4 | 5 | 24:24 | 19 |
| ეკერენი | 14 | 5 | 2 | 7 | 23:24 | 17 |
| ბევერენი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:23 | 15 |
| შარლერუა | 14 | 3 | 5 | 6 | 20:21 | 14 |
| ჰარელბეკი | 14 | 3 | 4 | 7 | 16:25 | 13 |
| ლომელი | 14 | 3 | 2 | 9 | 14:20 | 11 |
| ოსტენდი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:35 | 7 |
| კორტრაიკი | 14 | 1 | 0 | 13 | 20:39 | 6 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 11 |
| იანსენი (ვესტერლო) | 9 |
| კეიტა (კორტრაიკი) | 9 |
| ულარე (გენკი) | 8 |
| ვან მეირი (ლიერსი) | 8 |

**ამხანაგური მატჩი** 18 ნოემბერი. ბრაზილია - რუსეთი

მეკარეები: ანდრეი ნოვოსადოვი (ცსკა), ანდრეი შიშკინი (როტორი); მცველები: ევგენი ვარლამოვი (ცსკა), ანდრეი სოლომატინი (ლოკომოტივი), ანდრეი კონდრაშოვი (ზენიტი), რამის მამედოვი (არსენალი), ოლეგ კორნაუხოვი (ცსკა), ალექსეი იგონინი (ზენიტი); ნახევარმცველები: ვალერი იესიპოვი (როტორი), სერგეი ფილიპენკოვი (ცსკა), ალექსეი სმერტინი (ურალანი), სერგეი ნეკრასოვი (დინამო), ვიქტორ ბულატოვი (ტორპედო), სერგეი სემაკი (ცსკა), ალექსეი კორმილცევი (ურალანი); თავდამსხმელები: ალექსანდრ პანოვი (ზენიტი)

**ამხანაგური მატჩი** 18 ნოემბერი. ლუქსემბურგი - ბელგია

მეკარეები: გერტ დე ვლიგერი (ჰარელბეკი), რონი გასპერჩიჩი (ესტრემადურა, ესპანეთი); მცველები: ოლივეი დოლი (ანდერლეხტი), ტორვენ დე ბრული (ბრიუგე), ფილიპ ლეონარდი (მონაკო, საფრანგეთი), დენი ოიენი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ერიკ ვან მირი (ლიერსი), გლენ დე ბეკი (ანდერლეხტი), გორდან ვიდოვიჩი (მუსკრონი); ნახევარმცველები: გერტ კლასენსი (ბრიუგე), ფილიპ კლემენტი (ქოვენთრი, ინგლისი), კრის იანსენსი (ლოკერენი), ნიკო ვან კერკჰოვენი (შალკე, გერმანია), იჰან ვალემი (უდინეზე, იტალი), ერიკ დეფლენდრე (ბრიუგე); თავდამსხმელები: ტონი ბროგნო (ვესტერლო), მბო მპენზა (სტანდარდი), ლუის ოლივეირა (ფიორენტინა, იტალია), ბობ პიტერსი (როდა, ჰოლანდია), სვენ ვერმანი (ბრიუგე)

# უეფა და სანთებელა

უეფამ არ შეცვალა ადრე მიღებული გადაწყვეტილება: იტალიური „ფიორენტინა“ ევროპული სარბიელიდან გაძევებულია.

„აპელაციათა კომიტეტმა ჟენევაში იმსჯელა „ფიორენტინას“ პროტესტის შესახებ და დაადასტურა, რომ იტალიური სერია A-ს ეს გუნდი 1998-99 წლების უეფას თასის გათამაშებიდან მოხსნილია. საკითხის განხილვამ ცხადჰყო, რომ პირველადი გადაწყვეტილება გამართლებული გახლდათ“ — ეწერა კონტინენტური ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებაში.

ამრიგად დამტკიცდა, რომ უეფას თასის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალში ფრანგულ „ბორდოს“ შეხვედრა შვეიცარიული „გრასჰოპერი“ და არა „ფიორენტინა“.

შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინასა“ და „გრასჰოპერის“ მეთექვსმეტედფინალური დაპირისპირების მეორე შეხვედრაში, რომელიც იტალიის ქალაქ სალერნოში მიმდინარეობდა, ტრიბუნიდან ნასროლმა ასაფეთქებელმა პაკეტმა (ზოგი ვერსიით ჩვეულებრივმა სანთებელამ) დააშავა თანამსაჯი. მატჩი შეწყდა და აღარ განახლებულა.

სალერნო თამაშს იმიტომ მასპინძლობდა, რომ „ფიორენტინას“ მშობლიური ფლორენციის, არტემიო ფრანკის სახელობის სტადიონი, მასზე 1997 წელს მომხდარი არეულობის გამო დისკვალიფიცირებული იყო.

„ფიორენტინასა“ და „გრასჰოპერის“ შეხვედრის შეწყვეტის მომენტში იტალიური გუნდი შვეიცარიულს 2:1-ს უგებდა, ორი მატჩის ჯამში კი 4:1 იყო მისსასარგებლოდ.

პოლიციამ დაადგინა, რომ ასაფეთქებელი პაკეტი ისროლა ადგილობრივმა, სალერნოელმა გულშემატკივარმა, რომელიც „ფიორენტინას“ ფეხბურთელებზე გაბრაზებული იყო, რადგან მათ სალერნოს გუნდს, „სალერნიტანას“ ცოტა ხნის წინ ქვეყნის პირველობის შეხვედრაში მოუგეს.

მიუხედავად ამისა, უეფამ მიიჩნია, რომ მასპინძელმა მხარემ, ამ შემთხვევაში „ფიორენტინამ“, დაარღვია უსაფრთხოების დაცვის ფუნდამენტური პრინციპი.

„კლუბის ძველი დარღვევებისა და სალერნოში მომხდარი სერიოზული ინციდენტის გათვალისწინებით, უეფამ საჭიროდ ჩათვალა დაედასტურებინა პირველი გადაწყვეტილების სისწორე“ — წერია ხსენებულ განცხადებაში.

გეშესაძლოა ამ ცნობას კომენტარი არც ჭირდებოდეს, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომლის გამოც ორიოდ სიტყვის თქმა, ვგონებთ, უპრიანია. საქმე ფეხბურთისა და ტერორიზმის სახიფათო დაახლოებას ეხება. „ფიორენტინა“ სალერნოელი გულშემატკივრის საქციელს ემსხვერპლა. ზუსტად ასევე შეუძლია „გრასჰოპერის“ მოძულე ვინმე შვეიცარიელ ქომაგს ჩაშალოს ციურიხელთა და ბორდოელთა მოახლოებული შეხვედრა. მეტიც, თავად ბორდოელ მაყურებელს ძალუძს თავისი გუნდის მეოთხედფინალში უბრძოლველად გაყვანა თუ ის ციურიხის სტადიონზე ისვრის აალებულ სანთებელას, ხოლო ციურიხელს ბორდოს გაძევება ბორდოში ხელეწიფება. განვაგრძოთ მსჯელობა? „ბარსელონას“ ქომაგს „რეალის“ დასჯა შეუძლია, „მილანისას“ „ინტერის“ და გამოვა, რომ მსოფლიოს ფეხბურთში გამარჯვებულს, პირობითად რომ ვთქვათ, სანთებელა გამოავლენს.

ახლა უეფას არგუმენტს ჩავუკვირდეთ. ამ ორგანიზაციაში კარგად იციან რაც მოხდა სალერნოში, მაგრამ პასუხისმგებლობას მაინც ფლორენციელებს აკისრებენ, რადგან სტადიონზე, როგორც მასპინძლებს, უსაფრთხოება მათ უნდა დაეცვათ. კი მაგრამ, როგორ? მთვრალის სარბიელზე არშეშვება იოლია, მაგრამ ბოროტის ფხიზელი მზრახველის? განა შეიძლება ადამიანს ტრიბუნაზე სანთებელა არ შეატანინო? რამდენი სანთებელა უნდა ჩამოართვას პოლიციამ მწეველ ქომაგებს. იქნებ ევროკავშირს დადგენილებით აკრძალინონ კონტინენტზე სიგარეტის მოწევა?

ბოლოს და ბოლოს სანთებელას გარდა უამრავი ნივთით შეიძლება ხანძრის გაჩენა. მთავარია, კაცს ცუდის გაკეთება არ უნდოდეს, თორემ თუ ისურვა, აუცილებლად მოახერხებს რაიმეს. მერე უნდა ჩხრიკონ ქურთუკები, შარვლები, წინდები, კბილები... ასეთი რეჟიმი ვგონებთ ლენინური ეპოქის გულაგებშიც არ ყოფილა.

იმედისმომცემი უეფას განცხადებაში ამოკითხული ერთი ფრაზაა: „კლუბის ძველი დარღვევების გათვალისწინებითო,“ ბრძანებენ ევროპული ფეხბურთის ბოსები. ეს იმას ნიშნავს, რომ „ფიორენტინას“ მდგომარეობა მისი ქომაგების უწინდელმა ცოდვებმა განსაზღვრა და რომ არა ეს ცოდვები, იქნებ მისთვის დისკვალიფიკაცია არც მიესაჯათ. მოკლედ, ყველაფერს შემოქმედებითად, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე სჭირდება მიდგომა, თორემ სანთებელა და მისი ჯანი.

**მიხეილ სურგულაძე**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO“

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბანეთი — საბერძნეთი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ჩრ. ირლანდია — მოლდოვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| სან მარინო — კვიპროსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| მალტა — მაკედონია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| იუგოსლავია — ირლანდია | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**ამხანაგური მატჩები**

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — ჩეხეთი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| გერმანია — ჰოლანდია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრაზილია — რუსეთი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ლუქსემბურგი — ბელგია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| პორტუგალია — ისრაელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| იტალია — ესპანეთი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| უნგრეთი — შვეიცარია | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტური**

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ბორდო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — მარსელი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — კამბური | 1,15 | 5,6 | 10,0 |

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალკმაარი — როდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**პოლონეთის ჩემპიონატი. III ტური**

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამიცა — ვიძევი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლეგია — ლეხი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბელხატოვი — სტიმილი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვისლა — ზაგლებიე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| რუხი — პოლონია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლკს — ოდრა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| გურნიკი — პოგონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**ავსტიის ჩემპიონატი**

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტაირი — ლუსტენაუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**თურქეთის თასის მერვედფინალი**

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალთაი — საქარია | 1,5 | 3,4 | 5,6 |

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარა — ბურსა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქორლუ — ბეშიქთაში | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| ისთანბული — გენჩლერბირლიგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ქოჯაელი — ქარაბუქი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ადანა — გალათასარაი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ტრაბზონი — გაზიანთეფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ჰოკეი. ნჰლ**

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პიტსბურგი — ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კარილინა — მონრეალი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნეშვილი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კოლორადო — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაშინგტონი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ანაჰაიმი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ნეშვილი — სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კოლორადო — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ესპანეთმა აზია დაიბრიყვა



ესპანეთი — კორეა. რაფაელ პასკუალი — კიმ სე ჯინი

იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრენბურთში შაბათ-კვირას პირველ ეტაპის მეორე და მესამე ტურის მატჩები ჩატარდა და მეოთხედფინალური ჯგუფების შემადგენლობაც გაირკვა. შემდეგ ეტაპზე ექვსი ჯგუფის ორ-ორ საუკეთესოსთან ერთად ოთხი მესამეადგილოსანიც გავიდა.

რადგან ამ ორ დღეში ფრენბურთელებმა 24 მატჩი გამართეს, რა თქმა უნდა, ყოველი მათგანის განხილვა შეუძლებელია, ამიტომაც თქვენს ყურადღებას ყველაზე საინტერესო შეხვედრებზე შევაჩერებ.

14 ნოემბერს ფავორიტები სუსტებს ხვდებოდნენ და ყველამ იოლად მოიგო. მეორე ტურში მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო ყურადღების ღირსი — ესპანეთი-კორეა. ამ თამაშს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე — იტალიელი ვიჩენცო დი პინტოს გაწვრთნილი ესპანელები მართლაც ძლიერები იყვნენ, თუ მასპინძლებთან მათი პირველ ტურში გამარჯვება მხოლოდ ბედის წყალობა შედეგი იყო. მსოფლიოს კლასიფიკაციაში მათზე ოდნავ წინ მყოფი აზიელები ევროპელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს და დაამტკიცეს, რომ მათ იოლად ვერავინ აჯობებს. „ბედნიერი ვარ ზედიზედ მეორე მოგებით. ძალიან ძნელი და მძიმე მატჩი გვქონდა, რადგან გუშინ იაპონიასთან თამაშმა ძლიერ დაგვღალა და ამან თავი იჩინა. ხვალ ეგვიპტესთანაც გაგვიჭირდება, რადგან ჩემი გუნდის წევრების ფიზიკურ კონდიციებს არადამაკმაყოფილებლად ვთვლი. მეოთხედფინალურ მატჩებამდე კი ძალების აღდგენას შევძლებთ და ნახევარფინალში გასვლისთვის ვიბრძოლებთ, მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევა საკმაოდ გაგვიჭირდება“ — დი პინტო ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

კვირას გამართული მატჩებიდან ტურნირის ფავორიტების მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრებს გამოვყოფ: იტალია — აშშ, ჰოლანდია — ჩინეთი და იუგოსლავია — რუსეთი.

იტალიელებმა ამერიკელებს მოგების შანსი არ დაუტოვეს. მათ საუცხოოდ ითამაშეს როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაშიც, ბრაჩის, პაპის, ჯიანის და მათი თანაგუნდელების წინააღმდეგ ოკეანისგაღმელებმა ვერაფერი გააწყვეს. „ვფიქრობ, მაყურებლებმა დღევანდელი მატჩის ხილვით ძალიან ისიამოვნეს. ამერიკელებს კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ ვჯობივართ“ — თავისიანები შეაქო იტალიელთა „ბებერად“ წოდებულმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა პაოლო დე ფრეიტასმა. „მეტოქემ აშკარად გვაჯობა, თუმცა ჩვენც კარგად ვითამაშეთ. მეოთხედფინალურ ჯგუფში ისევ ერთად ვიქნებით და სწორედ მაშინ შევეცდებით დღევანდელი მარცხისთვის რევანშის აღებას“ — მომავლის იმედითაა ამერიკელი მწვრთნელი დუგ ბეალი.

ჩინელებმა ჰოლანდიელებს პირველ პარტიაში აჯობეს თავიანთი გამთამაშებლის ჰე ბინგ ვანგის ჩინებული თამაშის წყალობით. მეორე ხელში ევროპელებმა დაცვაში თამაში გააუმჯობესეს და ამის ხარჯზე 15:11 გაიმარჯვეს კიდეც. მესამე და მეოთხე პარტიებში კი გამოჩნდა, რომ ჰოლანდიელთა გამთამაშებელი მიშა ლატუჰიჰინი თავის ჩინელ კოლეგას არაფრით ჩამოუვარდებოდა. მისმა მახვილგონივრულმა პასებმა ჩინელთა დაცვა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც მორიგი გამარჯვება იზეიმეს.

სლავების დაპირისპირებაში იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს და ჯგუფის პირველობა რუსეთს არ დაუთმეს. პირველი ორი პარტია რუსებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს. მეორეში ანგარიში 14:12 იყო იუგოსლავთა სასარგებლოდ, მაგრამ დიმიტრი ფომინმა ორჯერ შეძლო დაფარება, რასაც კიდევ ერთი ქულის მოგება მოჰყოლა და 15:14 რუსები დაწინაურდნენ. ამას კი რომან იაკოვლევმა პირდაპირ მოწოდებიდან მიუმატა ერთი ქულაც: 16:14, პარტიების ჯამში კი 2:0 რუსთა სასარგებლოდ. ამის მერე ბალკანელები გარდაიქმნენ, რუსები კი მოდუნდნენ და ანგარიშიც გათანაბრდა — 2:2. ბოლო პარტიაში კი კვლავ დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. საბოლოოდ კი გამარჯვება იუგოსლავიას დარჩა. „ბედნიერი ვარ, რომ პირველი ეტაპის უმნიშვნელოვანეს მატჩში გავიმარჯვეთ. რუსებს მართლაც ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტებადაც მივიჩნევ. ჩვენ კი რაც შეიძლება უკეთესი შედეგისთვის ვიბრძოლებთ“ — თქვა იუგოსლავიის გუნდის თავკაცმა ზორან გაიჩმა. „მინდა ყველას გასაგონად ვთქვა — იუგოსლავია ფინალში გასვლის ერთ-ერთი მთავარ კანდიდატად მესახება. წაგებამ გული დამწყვიტა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩვენი ნაკრების ყველა ნაკლი თვალნათლივ დავინახე და მომავალ მატჩებში მათ გამოსწორებას ვეცდები.“ — ობიექტური იყო რუსთა მწვრთნელი გენადი ჩიპულინი.

**გაიოზ თალაქვაძე**

**II ტური**

**A ჯგუფი**

ესპანეთი — კორეა 3:2 (7:15, 15:6, 13:15, 15:13, 16:14)

იაპონია — ეგვიპტე 3:0 (15:9, 15:12, 15:9)

**B ჯგუფი**

იტალია — ტაილანდი 3:0 (15:0, 15:2, 15:3)

აშშ — კანადა 3:1 (6:15; 15:9, 16:14, 15:13)

**C ჯგუფი**

ჰოლანდია — უკრაინა 3:0 (15:8, 15:10, 15:7)

ჩინეთი — ჩეხეთი 3:0 (15:9, 15:9, 5:10)

**D ჯგუფი**

კუბა — ირანი 3:0 (15:2, 15:5, 15:7)

არგენტინა — პოლონეთი 3:1 (14:16, 15:5, 15:7, 15:8)

**E ჯგუფი**

ბრაზილია — ალჟირი 3:0 (15:2, 15:8, 15:6)

ბულგარეთი — საბერძნეთი 3:2 (15:11, 10:15, 16:14, 11:15, 15:9)

**F ჯგუფი**

რუსეთი — ავსტრალია 3:0 (15:4, 15:7, 15:9)

იუგოსლავია — თურქეთი 3:0 (15:7, 15:3, 15:6)

**III ტური**

**A ჯგუფი**

ესპანეთი — ეგვიპტე 3:2 (9:15, 13:15, 15:9, 15:1, 16:14)

იაპონია — კორეა 3:0 (15:8, 15:12, 15:12)

**B ჯგუფი**

კანადა — ტაილანდი 3:0 (15:3, 15:7, 15:1)

იტალია — აშშ 3:1 (15:4, 15:7, 12:15, 15:7)

**C ჯგუფი**

უკრაინა — ჩეხეთი 3:0 (15:5, 15:6, 15:6)

ჰოლანდია — ჩინეთი 3:1 (9:15, 5:11, 15:7, 15:9)

**D ჯგუფი**

პოლონეთი — ირანი 3:0 (15:5, 15:2, 15:8)

კუბა — არგენტინა 3:0 (15:7, 15:8, 15:9)

**E ჯგუფი**

საბერძნეთი — ალჟირი 3:1 (15:6, 15:11, 13:15, 15:12)

ბრაზილია — ბულგარეთი 3:0 (15:4, 15:8, 15:6)

**F ჯგუფი**

ავსტრალია — თურქეთი 3:2 (15:8, 9:15, 9:15, 15:13, 15:10)

იუგოსლავია — რუსეთი 3:2 (14:16, 14:16, 15:6, 15:12, 16:14)

**სატურნირო ვითარება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | |
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 5 |
| კორეა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ეგვიპტე | 3 | 0 | 3 | 3 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| იტალია | 3 | 3 | 0 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 5 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **D ჯგუფი** | | | | |
| კუბა | 3 | 3 | 0 | 6 |
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ირანი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **E ჯგუფი** | | | | |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **F ჯგუფი** | | | | |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 2 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

**I მეოთხედფინალური ჯგუფი**

ესპანეთი, იაპონია, კუბა, არგენტინა, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, კორეა.

**II მეოთხედფინალური ჯგუფი**

იტალია, აშშ, იუგოსლავია, რუსეთი, ჰოლანდია, ჩინეთი, საბერძნეთი, უკრაინა.



# წელს უფრო მეტი იქნება გოლი

გასულ უქმეებზე გოლეადორები ძალიან გააქტიურდნენ. 28 ოქტომბრიდან ბომბარდირთა სიაში დაწინაურებულმა პიტსბურგელმა იარომირ იაგრმა როგორც კი ტემპი ოდნავ შეანელა, ტორონტოელმა მათს სუნდინმა დრო იხელთა და ხუთშაბათს გაუსწრო. სხვა ბომბარდირებიც გამოცოცხლდნენ და კვირის ბოლოს ჩატარებული მატჩების შემდეგ დიდი ცვლილებების მოწმენი გავხდით. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კოლორადოს ლიდერები — პეტერ ფორსბერგი და ჯო საკიკი (ორ თამაშში შესაბამისად 5 და 7 ქულა), თანაც შვედი 23 (5+18) ქულით დაწინაურდა. ეველანშელთა წამოწყებას სხვა ჰოკეისტებმაც აუბეს მხარი, მათ შორის: ფილადელფიელმა ერიკ ლინდროსმა, დალასელმა ბრეტ ჰალმა, ედმონტონელმა ბილ გერინმა და ჩიკაგოელმა ტონი ამონტემ. უკანასკნელმა ორმა იმის იმედიც კი ჩაგვისახა, რომ 50-შაიბიანი ზღვარი წლეულს უფრო იოლი დასაძლევი გახდება.

13 ნოემბერი

**დეტროიტი — დალასი 1:5**

0:4 1:1 0:0

0:1 ნუინდაიკი 0'07 (4); 0:2 ჰეჩერი 5'46 (2); 0:3 საიდორი 8'13 (5); 0:4 მარშალი 17'08 (2); 1:4 მაკარტი 22'44 (6); 1:5 მოდანო 37'33 (4)

როგორც ჩანს, თასის მფლობელებს „ვარსკვლავების“ კომპლექსი გაუჩნდათ. მათი პირველი მატჩი უშელავათო იყო, თუ ამჯერად ჯო ნუინდაიკის (1+2) გოლმა მასპინძლებს თავიდანვე თავგზა აუბნია, თავშეკავებულობით ცნობილი დეტროიტელთა კაპიტანი სტივ აიზერმანი კი ისე განერვიულდა, რომ მატჩის ბოლოს დალასელ დან კეჩმერს წაეჩხუბა, თუმც ტანმაღალ და ღონიერ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო და დასისხლიანებულმა დატოვა მოედანი.

**რეინჯერსი — ბოსტონი 3:3**

0:1 2:0 1:2 0:0

0:1 მაკლარენი 16'01 (1); 1:1 მაკლინი 33'23 (5); 2:1 მაკლინი 36'31 (6); 3:1 სუნდსტრიომი 46'36 (3); 3:2 ჰაინცე 53'31 (6); 3:3 ხრისტიჩი 58'38 (7)

ნჰლ-ში მე-1000 თამაში ჩაატარა ვეტერანმა ჯონ მაკლინმა და მატჩის წინ დააჯილდოვეს კიდეც, მაგრამ მერე პარტნიორებმა ჯაფა წყალში ჩაუყარეს, ორი უხეში შეცდომა დაუშვეს და მეტოქეს ქულა შეამატებინეს.

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 4:3**

3:1 0:0 1:2

1:0 როლსტონი 2'30 (2); 2:0 მაკეი 9'23 (3); 3:0 არნოტი 14'48 (2); 3:1 სტრაკა 19'59 (6); 3:2 ბარნსი 43'03 (5); 3:3 მოროზოვი 43'58 (3); 4:3 მაკეი 54'53 (4)

**კოლორადო — ტამპა 8:1**

4:0 1:0 3:1

1:0 საკიკი 3'13 (8); 2:0 დედმარში 12'14 (4); 3:0 გუსაროვი 14'52 (1); 4:0 დედმარში 18'13 (5); 5:0 ფორსბერგი 18'09 (4); 6:0 ფორსბერგი 40'57 (5); 7:0 დრური 56'06 (4); 7:1 ტაკერი 56'49 (6); 8:1 ოჯერსი 58'03 (1)

**ვანკუვერი — ანაჰაიმი 5:2**

1:2 0:0 4:0

0:1 მაკინისი 3'36 (4); 1:1 ნესლუნდი 8'20 (6); 1:2 რუჩინი 14'41 (4); 2:2 მუკალტი 42'10 (5); 3:2 სკაჩარდი 43'30 (2); 4:2 მაკეიბი 49'11 (2); 5:2 ნესლუნდი 59'49 (7)

14 ნოემბერი

**სენტ ლუისი — ნეშვილი 5:1**

3:0 2:1 0:0

1:0 პელერინი 6'14 (3); 2:0 დემიტრა 12'50 (8); 3:0 მაკინისი 14'54 (8); 3:1 პელტონენი 20'46 (2); 4:1 იანგი 27'03 (2); 5:1 რომი 33'54 (1)

**პიტსბურგი — ფლორიდა 4:0**

2:0 1:0 1:0

1:0 ბარნსი 17'08 (6); 2:0 მილერი 17'53 (1); 3:0 ბრაუნი 34'06 (3); 4:0 ბარნსი 45'56 (7)

**ბუფალო — ჩიკაგო 6:1**

2:0 3:1 1:0

1:0 ჰოლცინგერი 17'25 (5); 2:0 ჟიტნიკი 18'31 (3); 3:0 გროშეკი 21'04 (4); 4:0 სანდერსონი 24'44 (7); 4:1 ამონტე 26'37 (11); 5:1 გროშეკი 33'25 (5); 6:1 შატანი 45'29 (4)

ბუფალომ თავისი წაუგებელი სერია 8 მატჩამდე გაზარდა.

**მონრეალი — ედმონტონი 1:4**

1:0 0:1 0:3

1:0 პულენი 9'01 (1); 1:1 მიურეი 25'25 (3); 1:2 მიურეი 41'02 (4); 1:3 გერინი 41'55 (11); 1:4 გერინი 45'48 (12)

**ფილადელფია—ნიუ ჯერსი 6:1**

0:0 1:1 5:0

1:0 ლეკლერი 20'19 (9); 1:1 შარიფიანოვი 29'40 (1); 2:1 ჯოუნსი 40'45 (3); 3:1 ლინდროსი 42'52 (10); 4:1 ბრინდამორი 44'13 (7); 5:1 ლინდროსი 50'11 (11); 6:1 ლეკლერი 56'18 (10)

ექს კოლორადოელ კეიტ ჯოუნსის (1+1) დებიუტი ახალ კლუბში იღბლიანი გამოდგა. ფორვარდმა გამარჯვების გოლი გაიტანა, „მფრინავებს“ უიღბლო სერია (+0-5=2) შეაწყვეტინა და თავისი სახელოვანი პარტნიორები — ერიკ ლინდროსი (2+3) და ჯონ ლეკლერიც (2+1) თამაშის იშტაზე მოიყვანა.

**ბოსტონი — დალასი 1:3**

1:1 0:0 0:2

1:0 ტორნტონი 2'23 (2); 1:1 ჰალი 4'20 (5); 1:2 ჰალი 55'34 (6); 1:3 ლეჰტინენი 59'26 (5)

მატჩის გმირი ბრეტ ჰალი გახდა. თავდამსხმელმა 2 გოლს პასიც დაამატა, რომელმაც კარიერაში მე-1000 ქულა მოუტანა.

**აილენდერსი—ვაშინგტონი 3:5**

1:1 1:3 1:1

1:0 იუნსონი 7'34 (4); 1:1 კლი 16'48 (1); 1:2 ნიკოლიშინი 20'55 (1); 1:3 ბლექი 23'11 (2); 1:4 ბელოუზი 34'29 (3); 2:4 ლინდენი 37'50 (7); 2:5 იუთსი 53'30 (4); 3:5 ლინდენი 56'52 (8)

**ლოს ანჯელესი — კაროლინა 3:5**

0:2 1:1 2:2

0:1 შეპარდი 5'00 (4); 0:2 კრონი 10'33 (3); 1:2 ლაპერიე 29'56 (1); 1:3 ფრენსისი 33'55 (4); 2:3 შტუმპელი 44'34 (1); 2:4 პრიმო 45'30 (7); 3:4 ლაიფაიეტი 49'00 (1); 3:5 პრიმო 59'51 (8)

**კალგარი — ანაჰაიმი 0:1**

0:1 0:0 0:0

0:1 კროული 12'54 (1)

**ფინიქსი — ტამპა 4:1**

1:0 1:1 2:0

1:0 ტკაჩუკი 18'06 (9); 2:0 ბრირი 33'41 (1); 2:1 ტაკერი 37'12 (7); 3:1 რენიკი 49'51 (5); 4:1 ტოკეტი 56'34 (5)

15 ნოემბერი

**ჩიკაგო — ოტავა 2:2**

0:0 1:1 1:1 0:0

0:1 პიტლიკი 23'07 (1); 1:1 ამონტე 26'12 (12); 1:2 ვან ალენი 44'58 (2); 2:2 დაზე 45'47 (5)

**ვანკუვერი — კოლორადო 1:2**

1:0 0:0 0:2

1:0 მაკეიბი 0'42 (2); 1:1 დედმარში 44'20 (6); 1:2 დედმარში 47'37 (7)

კოლორადოსა (+12=3-0) და პეტერ ფორსბერგისთვის (1 პასი და ბოლო 14 მატჩში 30 (7+23 ქულა) ბოლო წლებში ვანკუვერი ყველაზე სასურველი მეტოქეა.

**სამველ ლარიბიანი**



გაყოჩაღებულ კოლორადოელ ჯო საკიკს (19) ვანკუვერელი დეივ სკაჩარდი დაუხვდა

REUTERS ვანკუვერიდან

რაგბი

# ჰოლანდიამ 0:110 წააგო! ირლანდია — საქართველო 70:0

დასაწყისი პირველ გვერდზე

ამ დროს და შემდეგაც, მთელი თამაშის განმავლობაში, ქართველებს მხოლოდ აუტში ბურთის გადაგდება გამოსდით ხეირიანად (რასაც 18 ათასამდე ადგილობრივი და 19 ქართველი გულშემატკივარი ოვაციით ხვდებოდა), მაგრამ რად გინდა — დერეფანი პირწმინდად წაგებულია. ერთი სიტყვით, თამაში რასაც ჰქვია, პირველი ნახევრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მორჩა. ამ დროისთვის ანგარიში შედარებით სოლიდური (ჩვენთვის, ცხადია) — 14:0 იყო, ტაიმის გასრულებამდე ეს რიცხვიც გაორმაგდა (28:0), საბოლოოდ კი ორივე გუნდისთვის სარეკორდო შედეგი დაფიქსირდა: თანაგუნდელების ათი ლელო 29 წლის ერიკ ელვუდმა ათჯერვე გარდასახა, სანაკრებო კარიერაში დაგროვილ პირად 222 ქულას კიდევ 20 შემატა და ირლანდიის ნაკრებმაც თავის ისტორიაში უდიდესი ანგარიშით მოიგო.

არადა, შეიძლებოდა შედარებით „ნორმალური" სხვაობით წაგვეგო. იმას არ ვამბობ, უძლიერესი შემადგენლობით გვეთამაშა-მეთქი (ამ შემთხვევაში, ნაკრების მწვრთნელის გურამ მოდებაძის თქმით, სადღაც ათიოდ ქულით წავაგებდით). ის მომენტი მაქვს მხედველობაში, როცა 63:0-ზე შეცვლაზე შესულ ზურაბ მჭედლიშვილს ჩამოცილებული ჰყავდა მასინძლები და ლელოსაც გაიტანდა, უცლსელ მსაჯს რომ არ ჩაესტვინა რაღაც, მოთამაშეთა თქმით, უმნიშვნელო ჯარიმის გამო. უნამუსო არ მიწოდოთ — მსაჯი ქართველიც რომ ყოფილიყო, მაინც არაფერი გვეშველებოდა — აქაურმა გულშემატკივარმაც ტრადიციული „ბუუ"-თი დაგმო ლამაზი შეტევის ჩაშლა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში მატჩი 63:5 ან 63:7 დამთავრდებოდა და ირლანდიის ნაკრების სარეკორდო გამარჯვების გრაფაში ჩვენი ქვეყნის სახელი აღარ მოიხსენიებოდა, ვინაიდან წინა უდიდესი გამარჯვება კელტებს 60:0 ჰქონიათ.

ცხადია, ასეთ წაგებას, ყველაფრის მიუხედავად, არავინ ელოდა, თუმცა, ერთხელაც ვიტყვი — ჩვენი გუნდის ხელმძღვანელთა ტაქტიკის ავკარგიანობა მხოლოდ ოთხშაბათ საღამოს გაირკვევა. რაც მთავარია, ამ ანგარიშს ფსიქოლოგიური ზიანი არ მოუტანია — რა თქმა უნდა, ამხელა წაგება პირველ რიგში ჩვენმა ბიჭებმა განიცადეს, მაგრამ — გავიდეთ მსოფლიოს თასზე და იქ გვნახონ მერე — რომ ამბობენ, კაცი ხვდები, რომ ამათ არც თავმოყვარეობა აკლიათ, არც მონდომება, არც ძალა, არც კაცობა და არც პროფესიონალიზმი. უბრალოდ, ტაქტიკაა ასეთი: როგორმე გავიდეთ იმ ჯგუფიდან. ისე კი, დასაწყნარებლად სათაურს ახედეთ — იმავე დღეს ჰოლანდიამ ასეთივე ტაქტიკა ირჩია ინგლისთან.

## გული დავიმშვიდოთ. ოთხშაბათამდე

როგორც მოსალოდნელი იყო, წავაგეთ. თანაც, რაკილა გაფრთხილებულნი ვიყავით, არც გვინერვიულია, ეგაა, ძალიან შეგვრცხვა — 0:70 რა ამბავია?!

კუნძულელთა მასმედიას ქართველი მორაგბეების გასაკრიტიკებლად თავი არ გამოუდვია. ერთადერთი, ბესიკ ტეფნაძეს მოსდეს შარი, გაუგებარია, მაისურზე ნომერი 10 რად ეწერაო. ცოტათი უხეშობაც დაგვიწუნეს, ისედაც აგებდნენ და ჩვენებს რაღას ალურჯებდნენო.

იმისთვის, ქართველებს მთლად შინ რომ ეგრძნოთ თავი, მასპინძლებს პრესკონფერენციის დროს შუქიც კი გამოურთავთ, რასაც ერთი ჩვენებურის შეძახილი მოჰყოლია — ზუსტად ისეა, როგორც ჩვენთანო. „სარბიელთან" ინტერვიუში „ბორჯღალოსანთა" ფრანგ მწვრთნელ კლოდ სორელს არ დაუმალავს, რომ საუკეთესო მოთამაშეებს რუმინელებთან შეხვედრისთვის ინახავდა: „შევეცადე, 26-კაციანი გუნდიდან რაც შეიძლება მეტი ძირითადის მოთამაშე, ესე იგი, 11 კაცი დამესვენებინა. ჩვენთვის მთავარი რუმინელებთან შეხვედრაა."

ირლანდიელებს გული ძალიან რომ არ დასწყვეტოდათ, სათადარიგოთა ნაკრებს მოვუგეთო, თურმე სორელმა მასპინძლებს თამაში მოუწონა, ძალიან მოგიმატებიათ და ბევრ გუნდს გაამწარებთო, თანაც დაურთო, 70-ით კი არა, 40 ქულით წაგებას ველოდიო. ფრანგს არც თავისი შეგირდების გაკრიტიკება დავიწყებია: „შერკინებამ ვერ ივარგა, ალბათ, ფიზიკურად სათანადოდ ძლიერნი ვერ აღმოვჩნდით. ვერც ის მცირე შანსები გამოვიყენეთ, რაც გვქონდა."

გული კი იმით დავიმშვიდოთ, რომ შაბათს ყველაზე დიდი ანგარიშით ჩვენ სულაც არ დავმარცხებულვართ — მსოფლიოს თასის მეორე შესარჩევ ჯგუფში ინგლისმა ჰოლანდიასთან სამნიშნა ციფრსაც უწია 110:0. ამ ჯგუფშიც ორი მატჩი დარჩა: 18 ნოემბერს ჰოლანდია - იტალია, 22-ში ინგლისი - იტალია.

III შესარჩევ ჯგუფში კი ასპარეზობა თვის ბოლოს დაიწყება: 28 ნოემბერი — შოტლანდია - პორტუგალია; 2 დეკემბერი — ესპანეთი - პორტუგალია; 5 დეკემბერი — ესპანეთი - შოტლანდია.

**პაატა თოთაძე**

ძალოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კახიაშვილი ბერძნებს ამდიდრებს

კახი კახიაშვილმა, აწ აკაკიოს კაკიაშვილისმა, ფინეთის ქალაქ ლახტიში, ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საბერძნეთს მესამე ოქროს მედალი მოუტანა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 94 -კილოგრამიან ათლეტთა შეჯიბრში ჯერ 180 კგ. აიტაცა, მერე 220 აჰკრა, ორჭიდში 400 კგ. დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

ფინურ ფიცარნაგზე, გიორგი ასანიძის გამოსვლის მერე ჩვენი ყურადღება 105 კილოგრამიან ათლეტთა შეჯიბრისკენ იყო მიმართული. ამ წონაში მუხრან გოგია ეჭიდებოდა შტანგას. მუხრანისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ვერაა სასურველ ფორმაში, მედალს არავინ ელოდა. ასეც მოხდა. მან ორჭიდში 390 კგ. მოაგროვა - და ჩემპიონატი მერვე ადგილზე დაასრულა.

ოქროს მედალი კი უკრაინელმა იგორ რაზარიონოვმა ირგუნა, რომელიც ატაცის 190, აკვრის 232,5 და ორჭიდის 422,5 კგ-ით ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

კვირას კი ფიცარნაგზე 75 კგ-ზე მძიმე ქალები და ყველაზე მძიმე კაცები გავიდნენ.

სუსტი სქესის ძალოსნებში ჩინელი ტანგ გონ ჰონგის გამარჯვება არავის გააკვირვებს: ფინეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ჩინელმა დიაცებმა მართლაც ბევრი ოქრო მოიპოვეს. გონ ჰონგმა ატაცში 110 კგ. დაიმორჩილა, მერე 145 კგ. აკრა და ორჭიდში 255 კგ. დააგროვა.

გოლიათ კაცებში კი ბადალი არ ჰყავდა რუს ანდრეი ჩემერკინს. მან 437,5 კგ-ით (197,5 - 240) დაიკავა პირველი ადგილი და ერთდროს ძალოსნური სამყაროს ლიდერს ერთადერთი ოქროს მედალი მოუტანა.

ზემოთ გითხარით, ქალებში ჩინელებმა იძალესო, კაცებში ყველას ბერძნებმა და ბურგარელებმა აჯობეს. თითო ოქრო კი თურქეთს, უკრაინას და რუსეთს დარჩათ.


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


ჩოგბურთი



REUTERS მოსკოვიდან

გორან ივანიშევიჩი ევგენი კაფელნიკოვის უკან

## გრაფს ტრავმაც უხდება

**ფილადელფია. აშშ. ადვანტას ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $**

**მეოთხედფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) 6:2, 4:6, 6:0; ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 5:7, 6:3, 6:3; მონიკა სელეში (5, აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:0, 6:1; ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 4:6, 6:4.**

შტეფი გრაფისა და მარტინა ჰინგისის შეხვედრას საჩოგბურთო სამყარო ორი წელი ელოდა. მას შემდეგ, რაც დიდმა გერმანელმა 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ახალგაზრდა კონკურენტს ხეთ სეტში მოუგო, ბევრმა წყალმა ჩაიარა: გერმანელს მუხლის ოპერაციის გამო სრული წელი გაუცდა, 16 წლის ვუნდერკინდმა კი ამასობაში ყველაფრის მოგება, უძლეველის სახელის დადება და მერე ასევე ლამის ყველაფრის, მათ შორის, პირველი ჩოგნობის დაკარგვაც მოასწრო.

ორი ასე თუ ისე თანაბარი სეტის შემდეგ გერმანელს მარცხენა ფეხი წამოსტკივდა და კორტი ექიმის თანხლებით დატოვა. თუმცა, ჰინგისის გულშემატკივრებს სიხარული ნაადრევი გამოდგა. „სანამ სამედიცინო დახმარებას მიწევდნენ, საკუთარ თავს შთავაგონე, რაც შეიძლება მეტი გარისკე და სანამ ძალა გეყოფა, ითამაშე-მეთქი. ვგრძნობდი, რომ დასაკარგი არაფერი მქონდა, მარტინას დამარცხება მხოლოდ ასეა შესაძლებელი" — შტეფი გრაფს ზემოხსენებულმა ტაქტიკამ, ალბათ, უფრო მეტადაც გაუმართლა, ვიდრე თავად ეგონა — დარჩენილი დროის მანძილზე ჰინგისს ერთი გეიმიც არ მოუგია.

„არ ვიცი, რა მოხდა იმ შესვენების დროს, მაგრამ უკან დაბრუნების შემდეგ შტეფი ერთი ორად უკეთ ათამაშდა. ჩვენ კარგა ხანია, ერთმანეთს არ შევხვედროდით და ჩემთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა" — თავი იმართლა ჰინგისმა, რომელიც სეზონის დასაწყისში ირწმუნებოდა, გრაფის დრო დიდი ხანია, წასულია, ველარაფერს მიაღწევსო.

**ნახევარფინალი: გრაფი — ტოზია 6:1, 6:4; დევენპორტი — სელეში 6:3, 6:3.**

**ფინალი: გრაფი — დევენპორტი 4:6, 6:3, 6:4.**

ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი? რა თქმა უნდა, კანდიდატურებს რა გამოლევს, მაგრამ ამ კითხვას ლეგენდარულმა გერმანელმა ფილადელფიის ტურნირზე კიდევ ერთხელ გასცა პასუხი: აქამდე არასოდეს მომხდარა, რომ ოპერაციის შემდეგ ორი თვის უთამაშებელ ჩოგბურთელს ზედიზედ ორი ტურნირი მოეგოს, მით უმეტეს, ტურნირზე განუთესავ მოთამაშეს მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები დაეჩაგროს.

არადა, დევენპორტს მოგება ძალიან სჭირდებოდა — საკმარისი იყო, ფინალში ემარჯვა და სეზონის ბოლომდე კლასიფიკაციის სათავეში ყოფნას გაინაღდებდა.

1:4 ჩამორჩენის შემდეგ ამერიკელმა ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად პირველი სეტიც მოიგო. „ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი, ლინდსიმ ის მონაკვეთი შეუცდომლად ჩაატარა და მატჩზე კინაღამ ხელიც ჩავიქნიე. მეტად მნიშვნელოვანი იყო, მეორე ხელის პირველი გეიმიც არ წამეგო" — შტეფიმ ამ მცირე ამოცანას წარმატებით გაართვა თავი, მეორე წელკავის საწამლოდ ექიმს უხმო და მატჩი რომ განახლდა, მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ჩოგნის სასოწარკვეთის დროც დადგა.

„რა თქმა უნდა, მწარე მარცხი იყო, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ შტეფი ისევ ჩვენთანაა — მას იმდენი რამის გადატანა მოუხდა. თუ ტრავმები აღარ შეაწუხებს, გაისად მას დიდი სლემის ტურნირების მოგება და სულ ცოტა საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაც ძალუძს" — კეთილი სიტყვები არ დაუშურებია მეტოქისთვის დევენპორტს.

კარიერის 106-ე ტიტულისა და 79 ათასი დოლარის მომპოვებელ ცოცხალ ლეგენდას სიხარული არ დაუმალავს: „არ ველოდი, თუ საუკეთესო ფორმაში ასე სწრაფად ჩავდგებოდი, წლეულს ხან დეპრესიაში ვვარდებოდი, ხან სპორტიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც გამიმართლა."

**სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 825 ათასი $**

**ნახევარფინალი: ტოდ მარტინი (აშშ) — ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) 4:6, 6:1, 6:2; ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — გრეგ რუზეცკი (4, ინგლისი) 7:5, 7:6 (9:7)**

ინგლისური ჩოგბურთის ამ შავი დღით განსაკუთრებით გრეგ რუზეცკი დაზარალდა — ექსკანადელი ფინალში გასვლით ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ინაღდებდა, მაგრამ თავისიანებით გამხნევებულ იოჰანსონს და მეოთხედფინალში მიღებულ ბარძაყის ტრავმას ვერაფერი მოუხერხა, მეორე დღეს „კრემლის თასის" ფინალში კაფელნიკოვის წაგების იმედადღა დარჩა და რაღა გასაკვირია, რომ საძაგელ ხასიათზე გახლდათ: „საშინლად იმედგაცრუებული ვარ, ჰანოვერში რეზერვში ყოფნაზე ანამდვილად არ ვოცნებობდი. წარმოუდგენელია, რომ ევგენი ხვალ დამარცხდეს."

რაც შეეხება ჰენმანს, ჰანოვერში ასპარეზობის უფლება მან ჯერ კიდევ მეოთხედფინალში მაგნუს გუსტაფსონის დამარცხებით მოიპოვა.

**ფინალი: მარტინი — იოჰანსონი 6:3, 6:4, 6:4.**

ფინალში შვედეთის ახალგამომცხვარმა პირველმა ჩოგანმა ამერიკელს ვერაფერი დაუპირისპირა და სწრაფი საფარისთვის შეუფერებელ უკანახაზელთა ბრძოლაში სეტიც ვერ მოიგო. „უცნაური მატჩი იყო. ტომასმა ცუდად დაიწყო, ძალიან ნერვიულობდა. მერე ეს ნერვიულობა მეც გადმედო და თავადაც ცუდად გავაგრძელე" — ცუდად, მაგრამ სავსებით საკმარისად იმისთვის, რომ მარტინს კარიერის მეშვიდე ტიტული და 112 ათასი დოლარი მიეთვალა, მთავარი პრიზი თავად სტეფან ედბერგისგან მიეღო და ორწლიანი შესვენების შემდეგ საუკეთესო ოცეულსაც დაბრუნდებოდა (მე-16 ადგილზე).

**მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი". დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,15 მილიონი $**

**ნახევარფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — მარკ როსე (6, შვეიცარია) 6:1, 2:0 — ტრავმა; გორან ივანიშევიჩი (3, ხორვატია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:5, 6:2.**

გორან ივანიშევიჩს ნახევარფინალური მატჩის ბოლოს ცალი წუღა გაეხა და შეხვედრა ნახევარი ზომით დიდ ფეხსაცმელში დაასრულა.

**ფინალი: კაფელნიკოვი — ივანიშევიჩი 7:6 (7:2), 7:6 (7:5).**

რუზეცკის შიში გამართლდა — კაფელნიკოვმა კვირას გამარჯვება, ზედიზედ მეორე „კრემლის თასი" და ზედიზედ მეოთხედ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. მატჩის ბედი კი, ფაქტობრივად, ივანიშევიჩის ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა — ხორვატმა პირველი ხელის სეტ-პოინტზე სმეში ბადეში გაახვია და დაწინაურების ნაცვლად ნერვები საბოლოოდ აიშალა: „მაშინ დარტყმით კორტის გახვრეტის ნაცვლად მეორე მხარეს გადაგდებაზე რომ მეზრუნა, იქნებ ყველაფერი სხვანაირად დასრულებულიყო."

ასე კი დაზარალებული მხოლოდ რუზეცკი დარჩა: სამპრასს, რიოსს, მოიას, აგასის, კორეტხას, კუჩერასა და ჰენმანს ჰანოვერში სოჭელი ჟენია შეუერთდება.

მარსელო რიოსმა შევროლეტი ღია პირველობის მეოთხედფინალში ხუან ანტონიო მარინთან წაგებით კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან კლასიფიკაციაში დაწინაურების შესაძლებლობა. ფინალში კი ესპანელმა ფრანსისკო კლავეტმა მაროკოელ იუნეს ელ აინაუის აჯობა 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**